Nara Xnigu

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—59
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—43.

ოთხშაბათი, 23 ივნისი 1926 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 141 (1596)

დ ღ ი უ რ ი

— ამხ. კაბაკჩიევს ბულგარეთის მთავრობამ არ მისცა საზღვარგარეთ გასვლის ნებართვა.
— ვენაში გაიმართა კომუნისტების და სოც.-დემ. შეერთებული დემონსტრაცია სკოლებში სამღვთო სჯულის [illegible] წინააღმდეგ.
— ესსენში (გერმანია) შესდგა სამთამადნო [illegible] კავშირების საერთაშორისო კონფერენცია.
— გერმანიის სამეფო გვარეულობის ქონების კონფისკაციის სასარგებლოდ ხმა მისცა 14.442.000 კაცმა. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 15.535.000 კაცმა.

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34, (ტელეფ. 10—49)

ღარიბი გლეხობა და კრედიტის საკითხი

უღარიბეს გლეხკაცობის საკითხი მუდამ იპყრობდა ჩვენი პარტიის განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს გასაგებიცაა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გლეხობის ეს ფენა პროლეტარიატის უახლოეს კლასიურ მოკავშირეს წარმოადგენს სოფლად. საბჭოთა კავშირისათვის კი, როგორც უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყნისათვის, ღარიბ გლეხთა საკითხს უაღრესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ იყო, რომ პარტიის თითქმის ყველა ყრილობები და კონფერენციები განსაკუთრებული ყურადღებით იხილავენ სოფლის საკითხებს და კერძოთ უღარიბეს გლეხობის შორის მუშაობის საკითხს. საკავშირო კომპარტიის ცეკას ოქტომბრის პლენუმი კი უმთავრესად სწორედ ამ საკითხების გარჩევას მოუნდა. ამ პლენუმის დადგენილებებში ვრცლად არის დასახული ღარიბ გლეხთა ეკონომიურად და პოლიტიკურად დარაზმვის ღონისძიებანი და აქვე, სხვათა შორის, ლაპარაკია სოფლის უღარიბეს მოსახლეობის კრედიტით უზრუნველყოფის შესახებ.

„საჭიროა შექმნილ იქნას მუდმივი, სპეციალური ფონდი ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან, ამბობს პლენუმის დადგენილება, რომ ამ ფონდიდან სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საერთო წესის მიხედვით გაძლიერებულ იქნას უღარიბეს გლეხობაზე სესხის გაცემა, ამ გლეხობის მეურნეობის გაზრდა-განმტკიცების მიზნით. მიეცეს ამ ფონდს, ღარიბ გლეხებზე და კერძოთ კოლექტივებზე განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებში სესხის გაცემის სპეციალური დანიშნულება (შეღავათიანი ვადა, ვალის უზრუნველყოფის განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები და სხვა)“.

პარტიის ამ დადგენილების პრაქტიკულად გატარებისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯები. ის ფონდი, რომელზედაც ლაპარაკია პლენუმის დადგენილებაში, უკვე შექმნილია სას.-სამ. ბანკებთან, რომლისთვისაც სახელმწიფო სალარომ გადასდო 10 მილიონი მანეთი. ეს თანხა მოთხოვნილების შესადარისათ დანაწილებულია მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებზე.

ამრიგათ, ჩვენს ძირითად სას.-სამეურნეო საკრედიტო ქსელის წინაშე ისმება საკითხი სესხის განაწილებისა და ორგანიზაციის შესახებ. პირველყოვლისა გადაჭრით და აშკარათ უნდა ითქვას, რომ ამ ფონდს, რომელიც იქმნება სას.-სამ. ბანკებთან ღარიბ გლეხკაცობისათვის სესხის მიწოდების გაძლიერების მიზნით, არას შემთხვევაში არა აქვს რაიმე ქველმოქმედების დანიშნულება. საკრედიტო ფონდის მიზანი, როგორც ეს ცეკას რეზოლიუციიდან სჩანს, გარკვეული და ნათელია: ღარიბ გლეხობის მეურნეობის გაძლიერება-გაღონიერება და მისი კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობა.

როგორ უნდა მოხდეს ეს? აი მთავარი კითხვა, რომელიც ეხლა ჩვენს წინაშე ისმება. რომ პარტიის მიერ მოცემული ხაზი მტკიცეთ იქნას დაცული, ამისათვის საჭიროა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა სესხის განაწილების დროს შეითვისონ მუშაობის ერთი ხაზი.

პირველ რიგში სესხის მიღების უპირატესობით უნდა სარგებლობდნენ ღარიბ გლეხთა კოლექტივები: კომუნები, ამხანაგობები, არტელები და სხვა. ეს ორნაირათ სასარგებლოა ჩვენთვის. ერთი მხრივ ამით ხელს ვუწყობთ სოფლად კოლექტიურ მეურნეობის ფორმების ზრდას და მეორე მხრივ სესხის გამცემ ორგანოს საიმედო მოვალესთან აქვს საქმე.

გარდა ამისა, სესხი შეიძლება მიეცეს ცალკე ღარიბ გლეხებსაც, იმ შემთხვევაში, თუ ისინი კოოპერატივის წევრი იქნებიან. ამასთანავე, როგორც პირველ, ისე ამ შემთხვევაშიაც სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა სასტიკი თვალყური უნდა ადევნონ იმას, თუ რას ხმარდება გაცემული ფული. სესხი შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ და მხოლოდ წარმოების (მეურნეობის) გაუმჯობესებაზე ან შრომის იარაღების შეძენაზე.

ამ პირობის გარეშე სესხის გაცემა სასტიკად უნდა აიკრძალოს. ეს ერთნაირათ აწესრიგებს იმ მუდამ სადაო საკითხს, რომელიც ყოველთვის იჭრება სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების წინაშე ღარიბ გლეხზე სესხის გაცემის დროს. ღარიბი გლეხი, როგორც დეფიციტიან მეურნეობის პატრონი, უიმედო მოვალეთ მიაჩნია საკრედიტო ამხანაგობებს. მაგრამ თუ გაცემული სესხი ნამდვილათ მეურნეობის გაუმჯობესებას მოხმარდა, თუ ამ სესხმა ხელი შეუწყო ღარიბ გლეხის ბიუჯეტის აღდგენას, ეს უკვე იმის საკმაო საწინდარი იქნება, რომ ეს გლეხი თავის დროზე და პირიანათ შესძლებს აღებულ ვალის განაღდებას.

ამიტომ მიზნობრივი მომენტი, ე. ი., თუ რას ხმარდება სესხი, აუცილებლად მთელი სიმტკიცით უნდა იქნას დაცული ღარიბ გლეხთა კრედიტით დაკმაყოფილების დროს.

მაგრამ ყოველივე ამის გარდა საჭიროა კიდევ ერთი პირობა, რომ გაცემული სესხი თავის დროზე და უნაკლოდ აინაზღაურონ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ პირობებზე, რომელშიაც უნდა მიეცეთ ღარიბ გლეხებს სესხი. საჭიროა მათთვის შემოღებული იქნას ხანგრძლივი და შეღავათიანი სესხი. ამას ითხოვს მიზნობრივი პირობაც, რომელიც საფუძვლად ედება ღარიბ გლეხთა სესხით დაკმაყოფილებას. მეურნეობაში დაბანდებული ფულის ამოგება-განაღდებას დრო ესაჭიროება და ეს დრო უნდა მისცენ სას.-საკრ. ამხანაგობებმა სესხით მოსარგებლე ღარიბ გლეხს, თუ კი მათ სურთ, რომ გაღებულ სესხმა გაამართლოს თავისი დანიშნულება და ეს სესხი არ დაუკარგოს საკუთარსავე სალაროს.

შთაბეჭდილებები აფხაზეთში ყოფნის დროს

ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ საქართველოს ცაკის უკანასკნელ სესიას, რომელიც აფხაზეთის დედა-ქალაქში—სოხუმში ჩატარდა, დიდი მნიშვნელობა ექნება. ცაკის სესიის სხდომების თბილისიდან სოხუმში გადატანამ ყველა ჩვენ თაგანს დაანახვა და აგრძნობინა ის, რომ აქნობამდის საქართველოს და აფხაზეთის ხალხნი ერთმანეთისაგან ფაქტიურად **დაშორებული და მოწყვეტილი ყოფილან,** ორგანიული, მჭიდრო კავშირი **მათ შორის** არ არსებობდა. სესიის დროს გამოაშკარავდა, რომ ჩვენ პასუხისმგებელ ამხანაგების დიდ უმეტესობას სრულებით არ ჰქონია ცოტად თუ ბევრად სწორი და მართალი წარმოდგენა არც აფხაზეთზე და არც მის მოსახლეობაზე. მართალია, ხანდისხან, წელიწადში ერთხელ, თბილისიდან სოხუმში იგზავნებოდენ ჩვენი ამხანაგები საბჭოების ყრილობებზე ან პარტიულ კონფერენციებზე დასასწრებლად, მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალური მხარე და მოსახლეობასთან დაახლოვების და დაკავშირების საქმე ამით ოდნავად წინ არ მიდიოდა.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საქართველოს ცაკის მესამე სესიის ჩატარება აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოადგენს **ახალი ხანის** დასაწყისს საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობაში. ამ ფაქტმა ყველა დაარწმუნა იმაში, რომ საბჭოთა აფხაზეთის რესპუბლიკა შედის საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკაში, რომ ისინი ორგანიულად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ სოხუმის სესიაზე **ფაქტიურ დაკავშირებასთან** ერთად მოხდა აგრეთვე საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებით საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობის **იურიდიული ჩამოყალიბებაც.**

სესიის დროს საქართველოს ყველა კუთხის მშრომელი ხალხის წარმომადგენლები ეცნობოდენ აფხაზეთის სხვადასხვა ეროვნებებს და განსაკუთრებით აფხაზებს. ამგვარად, აქ ჩაეყარა მკვიდრი საძირკველი საქართველოს და აფხაზეთის ხალხთა დაკავშირებას და დამეგობრებას ნამდვილი ძმობის და თანასწორობის საფუძველზე. შემდეგში ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ეს დაწყებული საქმე ოდნავადაც არ შეფერხდეს, არამედ წარმატებით იქნას გაგრძელებული.

სესიამ მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა აფხაზეთის მთელ მოსახლეობაზე განურჩევლად ეროვნებისა. განსაკუთრებით უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სესიამ აფხაზებზე. ჩვენ ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, აფხაზ გლეხებზე. ესენი სესიამ ძლიერ დააინტერესა. თითქმის ყველა საკითხის განხილვის დროს, რომელიც სესიაზე ირჩეოდა, აფხაზი გლეხები იღებდენ მხურვალე მონაწილეობას. იმათ აინტერესებდათ თითქმის ყოველი წვრილმანი საკითხიც კი. ხოლო ქართული და რუსული ენის უცოდინარობა რამოდენიმედ ხელს უშლიდა იმათ ამაში. მაგრამ სამაგიეროდ თითქმის ყველა მოხსენებები და სიტყვები ითარგმნებოდა აფხაზურ ენაზე. ამნაირად აფხაზ გლეხებს სრული შესაძლებლობა მიეცათ სესიის მუშაობისათვის ყური ედევნათ და ამ მუშაობას გასცნობოდენ. სიტყვები, რომელიც სესიაზე წარმოთქმული იქნა აფხაზ გლეხების მიერ, ამტკიცებენ, რომ აფხაზები სესიის მუშაობით სრული კმაყოფილი შეიქნენ. ამ გარემოებას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და აი რისთვის.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ აფხაზებს დღევანდელ საბჭოთა აფხაზეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ: აფხაზები აფხაზეთში მოსახლეობის **უმცირესობას წარმოადგენენ** და მეორე ისეთ უმცირესობას, რომელიც **სწავლა-განათლებით, კულტურით და ეკონომიური მდგომარეობით** შედარებით სხვა იქ მოსახლე ერებთან ჩამორჩენილია. რატომ მოხდა ეს ასე,—ამაზე აქ არ ღირს ლაპარაკი. მეორე მხრით ჩვენ ვიცით, რომ აფხაზების წარსული, როგორც საერთოდ ყველა კავკასიის მთიელთა წარსული ისტორია—სავსეა ტრაგიკული მომენტებით, მათ ბევრი უბედურება უნახავთ და გადაუტანიათ შემოსეულ ხალხთაგან. ამიტომ სრულებით გასაკვირალი არაა, თუ აფხაზი ეჭვის თვალით უყურებს სხვა ერის წარმომადგენელს, განსაკუთრებით იმათ, ვისგანაც მას კარგი არაფერი ახსოვს, ვისგანაც მან წარსულში გარდა ჩაგვრისა და შეწუხებისა არაფერი იცოდა. ამიტომ საჭიროა აფხაზების სრული ნდობის დამსახურება, რაც ასე ადვილი არაა. უნდა ვთქვათ გადაჭრით, რომ სესიამ ამ მხრივ ბევრი გააკეთა.

რას წარმოადგენს დღევანდელი აფხაზი-გლეხი? მართალია, როგორც არა ერთხელ გვითქვამს,—იგი დღეს ძალზე ჩამორჩენილია, მაგრამ ჩვენ გვაქვს სრული საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ აფხაზები **ნიჭიერი ხალხია,** რომ ამ ხალხს შეუძლია მაღალი კულტურის შეთვისება და ითვისებს კიდევაც. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ კულტურის შეთვისება აფხაზებს უხდებათ მეტად ძნელ და არახელსაყრელ პირობებში. უმთავრესი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზურ ენაზე თითქმის არ არსებობს რაიმე მწერლობა; მხოლოდ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხდება პირველი ცდა *) აფხაზურ ენაზე ლიტერატურის შესაქმნელად. რა თქმა უნდა, ამას უდიდესი დაბრკოლებები ელობება წინ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება დასძლევს და გადალახავს ყველა ამ დაბრკოლებებს და უზრუნველჰყოფს აფხაზების კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას. ამის გარანტია ჩვენ დღეს უკვე გვაქვს.

ამ წერილში მე არ ვლაპარაკობ იმ მუშაობაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს გაკეთებულა აფხაზეთში. აქ არაფერს ვამბობ აგრეთვე დანარჩენ ერებზე, რომლებიც აფხაზეთში სცხოვრობენ, როგორც მაგ., ქართველებზე (უმეტეს ნაწილად მეგრელებზე), სომხებზე, რუსებზე, ბერძნებზე და სხვ. ეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ მათი ბედი ჩვენ ნაკლებ გვაინტერესებდეს. და თუ ჩვენ მაინც აფხაზებს ვაყენებთ დღეს პირველ რიგში, ეს აიხსნება მით, რომ აფხაზები განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან იმ მხრივ, რომ ისინი, შედარებით, უფრო ჩამორჩენილი არიან და ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ზომების მიღება მათ წინ წასაწევად.

რაც შეეხება დღევანდელი აფხაზეთის ეკონომიური განვითარების და აღორძინების შესაძლებლობათ, რაც უაღრესად საინტერესოა ჩვენთვის, ამას ცალკე წერილი უნდა მიუძღვნათ.

ფ. მახარაძე.

---

*) თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ ასეთ ცდას თვითმპყრობელობის მხრით 1912 წელს, როცა აფხაზურ ენაზე პირველად დაიბეჭდა სახარება.

ბრიანმა ვერ შეადგინა მთავრობა

ინგლისის მთავრობას თემთა პალატაში შეაქვს კანონპროექტი ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ

ოსმალეთში დააპატიმრეს რეაქციონური შეთქმულების მთავარი მონაწილეები

საბჭოთა მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციას არ მისცეს ავსტრიაში შესვლის ნებართვა

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

ბრიანი თათბირობს

პარიჟი, 21 ივნისი. 22-ს დილით ბრიანს თათბირი უნდა ჰქონოდა პუანკარესთან, რომელსაც ბრიანმა ფინანსთა მინისტრის პორტფელი უნდა გადასცეს.

21-ს ბრიანს თათბირი ჰქონდა მთელ რიგ ფინანსიურ და პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ბრიანი ფიქრობს, რომ 22 ივნისს საღამოსთვის დამთავრებს კაბინეთის შედგენას.

პუანკარემ უარი სთქვა

პარიჟი, 22 ივნისი. პუანკარემ უარი სთქვა ფინანსთა მინისტრის პორტფელის მიღებაზე, ვინაიდენ იმედი არა აქვს, რომ დეპუტატთა პალატისაგან მიიღებს შესაფერ რწმუნებას ხარჯების სათანადოთ შემცირების გასატარებლათ.

ამასთან ერთად პუანკარემ განაცხადა, რომ ის არ უჭერს მხარს ვაშინგტონის ხელშეკრულების რატიფიკაციას, რომლის პროექტს ფინანსთა სამინისტრო ამ დღეებში შეიტანს პარლამენტში.

უშედეგო მოლაპარაკება

პარიჟი, 22 ივნისი. ბრიანს თათბირი ჰქონდა დუმერთან, პუანკარესთან, ლავალთან, პერიესთან, დიურანთან და ლეიგთან.

დუმერმა დასტოვა იგი დილის 11 ს. 15 წუთზე და განაცხადა: „ჩვენ განვიხილავთ შექმნილ მდგომარეობას და დავუბრუნდებით მას საღამოს 5 საათზე“.

შეკითხვაზე — მიიღებს თუ არა იგი ფინანსთა სამინისტროს, მან განაცხადა: „ჯერ არა. ახლა ლაპარაკი არა ჩემ პიროვნებაზე, არამედ იმაზე, თუ რას გააკეთებენ ან არ გააკეთებენ“.

პუანკარე და ლეიგი წავიდენ 11 ს. 25 წ. პუანკარემ სთქვა, რომ ის „დაბრუნდება 5 საათზე“ და დაუმატა: „როცა გვეყოლება ფინანსთა მინისტრი. ჯერ-ჯერობით კი საქმე შეეხება მდგომარეობის სერიოზულად შესწავლას და პროგრამის გამომუშავებას“.

პენლევემ და პერიემ დაადასტურეს ბრიანის სიტყვები, რომ საკითხი ეხებოდა ფინანსიურ გაჯანსაღებას და იმ პროგრამას, რომლითაც შეიძლება წარდგომა პალატის წინაშე. საკითხის განხილვამ ხანგრძლივი ხასიათი მიიღო და გაგრძელდება ნაშუადღევსაც. ბრიანის სიტყვით არ უნდა იქნას შედგენილი ისეთი სუსტი კაბინეტი, როგორიც იყო წინანდელი, უნდა შესდგეს მთავრობა, რომელიც დაეყრდნობა მნიშვნელოვან უმრავლესობას და მოქმედების თავისუფლებით ისარგებლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფრის გაკეთება არ შეიძლება. საჭიროა ნდობის მოპოვება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ.

ბრიანმა დაუმატა, რომ მას საღამომდი მთავრობის შედგენის იმედი აქვს.

ბრიანმა მიიღო კაზალსი, მალვი და ბოკანოვსკი.

ოსმალეთის რეაქციონერების შეთქმულება

ოსმალეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა

ანგორა, 21 ივნისი. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ **პოლიციამ სმირნაში აღმოაჩინა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო რესპუბლიკის პრეზიდენტის ქემალ-ფაშის მოკვლა მისი სმირნაში ჩამოსვლის დროს.** იტყობინებიან, რომ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებენ ოპოზიციის ზოგიერთი დეპუტატები.

ქემალ-ფაშის მოწოდება

ანგორა, 21 ივნისი. ოსმალეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქემალ-ფაშამ მოსახლეობას მიმართა მოწოდებით, რომელშიაც მადლობას უცხადებს თანაგრძნობისათვის და აცხადებს: „ეჭვს გარეშეა, რომ **ვერაგული შეთქმულება მიმართული იყო არა მარტო ჩემი პიროვნების წინააღმდეგ, არამედ უფრო მეტად რესპუბლიკის და იმ პრინციპების წინააღმდეგ, რომელნიც მის საფუძველს შეადგენენ.**

დემონსტრაცია რეაქციონერების წინააღმდეგ

ანგორა, 21 ივნისი. როგორც კი მიღებული იქნა ცნობა შეთქმულების აღმოჩენის შესახებ, მთელს სახელმწიფოში გაიმართა დემონსტრაციები შეთქმულების მომწყობთა წინააღმდეგ.

დაწესებულებებმა, ქალაქის თვითმართველობებმა, დეპუტატებმა და სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მაღალ თანამდებობის პირებმა ქემალ-ფაშას გაუგზავნეს წერილები და დეპეშები, რომელშიაც აღშფოთებას აცხადებენ შეთქმულების გამო და ერთგულებას აღუთქვამენ რესპუბლიკას.

შეთქმულების მონაწილეთა დაპატიმრება

სტამბოლი, 21 ივნისი. შეთქმულების აღმოჩენის გამო სმირნაში და სტამბოლში დაპატიმრებულია 40 კაცი, მათ რიცხვში ყოფილი სამხედრო მინისტრი **ჯემალ ფაშა,** ყოფილი განათლების მინისტრი (სულთანის დროს) და პროგრესიულ-რესპუბლიკანური პარტიის პრეზიდიუმის წევრი **ახმედ-შუქრი,** სტამბოლის ყოფილი დეპუტატი **შუქრი** და პროგრესიული პარტიის რამოდენიმე დეპუტატი. დაპატიმრება ხდება დამოუკიდებლობის ტრიბუნალის განკარგულებით. პროვინციაში დაპატიმრებები გრძელდება.

დამოუკიდებლობის სასამართლოს თავმჯდომარემ **ალი-ბეიმ** განაცხადა, რომ შეთქმულება მოაწყვეს სტამბოლელმა პროგრესისტებმა და მის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო პროგრესიულ-რესპუბლიკანურ პარტიის პრეზიდიუმის წევრმა, განათლების ყოფილმა მინისტრმა (სულთანის დროს) შუქრი-ბეიმ.

ქემალ-ფაშაზე თავდასხმა მზადდებოდა სმირნაში სამ ადგილას: მოედანზე, სადგურზე და ხათუნიეს მეჩეთთან.

პლებისციტის შემდეგ

როგორ ჩატარდა კენჭის ყრა

ბერლინი, 21 ივნისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „სახელმწიფოს სხვადასხვა ოლქებიდან მიღებული ცნობების თანახმად საყოველთაო კენჭის ყრა საერთოდ მშვიდობიანად ჩატარდა. მხოლოდ ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა შეტაკებას ყოფ. ჯარისკაცთა წითელი კავშირის და „ფოლადის მუზარადის“ კავშირის (ფაშისტური ორგანიზაცია) წევრებს შორის. ასეთი შეტაკება მოხდა გალეში და მაგდებურგში.

კენჭის ყრაში მონაწილეობის მიმღებთა პროცენტი 15-დან 70-მდე ადის.

მთავრობის პროექტი

ბერლინი, 21 ივნისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „საყოველთაო კენჭის ყრა ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების კონფისკაციის შესახებ უარყოფითი შედეგით დამთავრდა. აუნაზღაურებლად კონფისკაციას ხმა მისცეს 14.400.000 კაცმა. ვერ იქნა შეკრებილი ხმის მიცემის უფლების მქონეთა ხმების საჭირო 50 პროცენტი. 36,3 პროცენტმა ხმა მისცა აუნაზღაურებელ კონფისკაციას. თავი შეიკავა საარჩევნო უფლების მქონეთა დიდმა რაოდენობამ. **კონფისკაციის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ 580.000 კაცმა.**

მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მოითხოვოს რეიხსტაგისაგან კომპრომისული წინადადებების მიღება. ამ წინადადების თანახმად დაარსებულ უნდა იქნეს სპეციალური სასამართლო, რომელიც განიხილავს ყოფილ მეფის გვარეულობათა პრეტენზიებს. მთავრობის პროექტის თანახმად ამ პრეტენზიების განხილვის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს გარმანიის ცალკე სახელმწიფოების ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა“.

ვილჰელმს ახარეს

ლონდონი, 22 ივნისი. „დეილი მეილ“-ის ბერლინელ კორესპონდენტის ცნობით, ჰოგენცოლერნთა გვარეულობის მთავარმა აგენტმა **ფონ-ბერგერმა** აცნობა ექს-კაიზერს დოორნში, რომ „გერმანელმა მამაკაცებმა და ქალებმა, რომელნიც ხმის მიცემის უფლებით სარგებლობენ, უარჰყვეს კანონპროექტები ყოფილ მეფის და მის საგვარეულოს ქონების კონფისკაციის შესახებ“. ამ ქონების ღირებულება უდრის 175 მილ. გირ. სტერლინგს. კანონპროექტს ექსპროპრიაციის შესახებ ხმა მისცა 14.440.590 კაცმა 584.733-ს წინააღმდეგ, გაუქმებულად ჩაითვალა 358.259 ხმა.

მთავრობამ, რომელიც ექსპროპრიაციის წინააღმდეგ წავიდა, თავის დროზე გამოარკვია, რომ პლებისციტი კანონიერად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტს მხარს დაუჭერს ნახევარი იმ მოქალაქეებისა, რომელთაც ხმის მიცემის უფლება აქვთ, რაც ცოტათი აღემატება 19.500.000 კაცს.

ალბათ ყოფილი კაიზერი და დანარჩენი პრინცები ვერ მიიღებენ ყველაფერს, რასაც ისინი მოითხოვენ. სპეციალური უმაღლესი სასამართლო გადასწყვეტს, თუ რომელი ნაწილი ჩაითვლება კერძო საკუთრებად და რომელი სახელმწიფოს საკუთრებად.

სოციალ - დემოკრატების პოზიცია

ბერლინი, 22 ივნისი. სოციალ-დემოკრატები და კონსერვატორები ენერგიულ ოპოზიციაში ჩაუდგენ მთავრობის იმ კომპრომისის მთლიანად მიღებას, რომლის მიხედვით გადაწყვეტილი უნდა იქნეს ყოფილ სამეფო გვარეულობის პრეტენზიების დაკმაყოფილების საკითხი. მმართველი პარტიები მოითხოვენ საკითხის სასწრაფოდ გადაჭრას. საერთოდ ფიქრობენ, რომ კომპრომისს სერიოზულ წინააღმდეგობას არ გაუწევენ.

მდგომარეობა ინგლისში

სამთამადნო მუშების რევოლიუციონურ კავშირების საერთაშორისო კონფერენცია

ბერლინი, 21 ივნისი. ესენში შესდგა სამთამადნო მუშების რევოლიუციონურ კავშირთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა პროფკავშირების, ინგლისის სამთამადნო მუშების უმცირესობის, საფრანგეთის და ჩეხო-სლოვაკიის სამთამადნო მუშების უნიტარულ პროფკავშირების და გერმანიის რევოლიუციონურ უმცირესობათა წარმომადგენლები.

კონფერენციამ მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს ამსტერდამის ინტერნაციონალის სრულ პასიურობას, რის გამო ნახშირის გატანა ინგლისში გერმანიიდან, საფრანგეთიდან და პოლონეთიდან თანდათან იზრდება. მოწოდება აცხადებს, რომ **ინგლისის სამთამადნო მუშების დამარცხება გამოიწვევს ახალ იერიშებს არა მარტო ინგლისის, არამედ სხვა ქვეყნების მუშათა კლასის სამუშაო ხელფასის და სამუშაო დღის წინააღმდეგ. ყოველი მუშა ვალდებულია გაიღოს ინგლისის სამთამადნო მუშების სასარგებლოთ არა ნაკლებ დღიური სამუშაო ხელფასის ერთი მეოთხედისა.**

სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის საგანგებო სესია

ლონდონი 21 ივნისი. ხოჯესმა სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის წევრები მიიწვია ლონდონში სამთამადნო მუშების ინტერნაციონალის საგანგებო სესიაზე, რომელიც გაიხსნება 23 ივნისს.

ბირკენხედის სიტყვა

ლონდონი, 22 ივნისი. ლეტონში სიტყვა წარმოსთქვა ლორდმა ბირკენხედმა. საბჭოთა კავშირის მუშების მიერ სამთამადნო მუშების ფედერაციისათვის გადმოგზავნილ დახმარების შესახებ და მოსკოვის მთავრობასთან დიპლომატიური ურთი-ერთობის შენარჩუნების საკითხზე მან განაცხადა:

„განიხილა რა საკითხი ყურადღებით და ყოველ მხრივ, მთავრობამ გადასწყვიტა, რომ რამდენათაც ისინი, ე. ი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, იმყოფებიან აქ, ჩვენ სავსებით ვიცით მათი მოქმედება, მათი მეთოდები და მიზნები და მათ არც შეუძლიათ იმაზე მეტი ზიანის მოყენება, ვინემ მაშინ, როცა სხვა ადგილას მოქმედებენ. რუსეთის მთავრობა სცდება, თუ ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობა ფხიზლად აღარ ადევნებს თვალყურს მათ მოქმედებას ინგლისში და სხვა ქვეყნებში. სანამ ჩვენ ამ მხრივ არ ვხედავთ არავითარ ცვლილებას, ვფიქრობ, რომ საჭირო იყოს მთელი საკითხის გადასინჯვა იმის გადასაჭრელათ: სწორად ვიქცევით ჩვენ თუ არა, როცა ასე თუ ისე ურთიერთობას ვიჭერთ იმ ქვეყანასთან, რომელიც მსოფლიოს ყოველ კუთხეში სცდილობს ძირი გამოუთხაროს ინგლისის ისტორიულ სიდიადეს“.

გაფიცვის შედეგები

ლონდონი, 22 ივნისი. ინგლისელ სამთამადნო მუშების გაფიცვამ ქვა-ნახშირის მსოფლიო ამოღება შეამცირა კვირაში 5 მილ. ტონით, ე. ი. 18 პროცენტით.

ამ რაოდენობიდან ინგლისს ყოველ კვირეულად საზღვარ-გარეთ გაჰქონდა 1 მილ. ერნა. მიუხედავათ იმისა, რომ სამთამადნო მუშების გაფიცვის გამო სავსებით შეწყდა რკინის ამოღება და მთელ რიგ სხვა წარმოებათა მუშაობა, ძლიერ შემცირდა სარკინიგზო მოძრაობა, რომ არ ვიანგარიშოთ სავაჭრო ფლოტის დაკმაყოფილების საჭიროება), ინგლისი მაინც იძულებულია სხვა ქვეყნებიდან შემოიტანოს დაახლოებით 1.500.000 ტონა ქვა-ნახშირი ყოველ კვირაში.

ამრიგად, ქვა-ნახშირის წარმოება ინგლის გარეთ უნდა გადიდდეს არა უმცირეს 2½ მლ. ტონისა კვირაში.

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 21 ივნისი. თემთა პალატაში ჩემბერლენს მისცეს შეკითხვა რუსეთის მიერ განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე უარის განცხადების შესახებ: განზრახვა ხომ არა აქვს ჩემბერლენს შეეცადოს, რათა საბჭოთა მთავრობამ მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ. ჩემბერლენმა ამ შეკითხვაზე უპასუხა: „დიდის სიამოვნებით გადავდგამდი სათანადო ნაბიჯებს, დარწმუნებული რომ ვიყო, რომ რომელიმე ნაბიჯთაგანი გამოიწვევს საბჭოთა მთავრობის მხრივ ამ საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების გადასინჯვას.

მაგრამ არა მჯერა, რომ საბჭოთა მთავრობა მიიღებს რჩევას ამ საკითხის შესახებ, რადგან, საბჭოთა კავშირის პასუხი ჟენევაში ერთა ლიგის სესიაზე მოწვევის შესახებ, არ იძლევა ასეთ იმედებს“.

მთავრობის კანონ პროექტი

ლონდონი, 22 ივნისი. დღეს გამოქვეყნდა ორი კანონპროექტის ტექსტი ქვა-ნახშირის მრეწველობის შესახებ, რომელთაც მთავრობა წარმოადგენს დასამტკიცებლად.

პირველი კანონპროექტი ავსებს არსებულ კანონმდებლობას იმ მიზნით, რომ **მაღაროებში დაშვებული იქნეს 7 საათზე მეტი მუშაობა ხუთი წლის განმავლობაში კანონპროექტის მიღების დღიდან.**

ეს ღონისძიება თემთა პალატაში წარდგენილ უნდა ყოფილიყო გუშინ, მაგრამ მთავრობამ ანგარიში გაუწია მუშათა პარტიის ოპოზიციის სურვილს და მისი წარდგენა გადასდო მომავალ კვირამდე. ამის გამო მთავრობის კანონპროექტი ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ პირველ რიგში იქნება განხილული.

ამ უკანასკნელ ღონისძიებების ტექსტი გრძელი და დაწვრილებითია. ის შესაძლებლად ხდის ნახშირის წარმოებების საერთოდ ან ნაწილობრივ გაერთიანებას. იმ შემთხვევაში, როცა მაღაროების პატრონებს შრომის ნაყოფიერების მიზნით სურთ გაერთიანება სხვა წარმოებებთან, რომელთა მესაკუთრეებს ეს არ სურთ მათ თავისი გეგმა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უნდა წარუდგინონ. ახალი გაერთიანების გეგმა უნდა გულისხმობდეს არსებულ კომპანიის დაშლას და ახალის შექმნას. ამასთან ერთად სრული გაერთიანების გეგმის თანახმად გაუქმებული უნდა იქნეს ის კომპანიები, რომელთაც სხვები ნთქავენ.

ვაჭრობა - მრეწველობის სამინისტრო განიხილავს წარმოდგენილ გეგმებს და გადასცემს მათ რკინისგზების და არხების კომისიას, რომელიც განიხილავს ყველა მუხლებს და მხოლოდ მაშინ დაამტკიცებს გეგმებს, თუ დაინახავს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ნაციონალურ ინტერესებს.

შემოსავლის თვითეულ გირვანქა სტერლინგიდან ერთი შილინგი გადარიცხული იქნება მაღაროების მუშების კეთილდღეობის გაუმჯობესების ფონდში აბანოების და სხვ. მოსაწყობად ყველა მაღაროებში.

კანონპროექტის უკანასკნელი მუხლი [illegible] იმ კომპანიებს, რომელთაც აქვთ მაღაროები, მათი წესდების მიუხედავათ შეიმუშაონ გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მოსამსახურეების მონაწილეობას სარგებელში.

გაზეთები მნიშვნელობას აძლევენ იმ ფაქტს, რომ სანამ კანონპროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ შეტანილი იქნებოდეს თემთა პალატაში მეორედ წასაკითხად, თითქმის მთელი ერთი კვირა შეიძლება მოხმარდეს საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. ბევრი ფიქრობს, რომ ასეთი წესი მაღაროების მუშების ბელადებს ხელსაყრელ შემთხვევას მისცემს იმისათვის, რომ განიხილონ თავისი პოზიცია არსებული მდგომარეობის მიმართ.

2000 ახალი წევრი კომპარტიაში

ლონდონი, 22 ივნისი. ადგილობრივი ორგანიზაციების გამოკვლევა, რომელსაც ახდენს ამჟამად ინგლისის კომპარტია, მოწმობს პარტიის წევრთა გამალებულ ზრდას საყოველთაო გაფიცვის შემდეგ. გამოკვლეულია ჯერ ხუთი რაიონი (არსებული თორმეტიდან). წინასწარი ანგარიშის თანახმად ახალი წევრთა რიცხვი უდრის ორი ათასს.

ინგლისის კონსერვატორების რეზოლიუცია

ლონდონი, 21 ივნისი. 17 ივნისს თერთმეტმა კონსერვატორმა თემთა პალატაში შემდეგი რეზოლიუცია შეიტანა:

„პარლამენტი ჰგმობს საბჭოთა ორგანიზაციების დაუშვებელ პოლიტიკურ მუშაობას არსებულ სავაჭრო ურთი-ერთობის პირობებში და სთვლის, რომ საბჭოთა კავშირთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება გაუქმებულ უნდა იქნეს მისი უდიდებულესობის მთავრობის მიერ“.

მუშები მტკიცედ არიან

ლონდონი, 21 ივნისი. სამთამადნო მუშების ფედერაციის თავმჯდომარემ სმიტმა ბარნოლში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

„მე არ დავეთანხმები სამუშაო დღის გადიდებაზე სანახშირო მრეწველობაში, ვინაიდან ჯერ კიდევ არ ვიმყოფები ამ უკიდურეს მდგომარეობაში. მაგრამ ჩემს წინაშე, რომ დადგეს არჩევანი სამუშაო ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდების შორის, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, მე უფრო ადვილად დავეთანხმებოდი სამუშაო ხელფასის შემცირებაზე.

შიშს დიდი თვალები აქვს

საბჭოთა კავშირის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციას უარი უთხრეს ავსტრიაში შესვლაზე

ვენა, 21 ივნისი. ავსტრიის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირთან არსებულ პროფკავშირთა კომისიისაგან მიღებულია დეპეშა, რომლითაც იუწყებიან, რომ **საბჭოთა კავშირის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციას უარი უთხრეს ავსტრიაში შესასვლელ ვიზაზე.** სოც. დემოკრატები აგიტაციას ეწევიან დელეგატების ჩამოსვლის წინააღმდეგ და ზომებს ღებულობენ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ავსტრიის მუშათა დელეგაციის მოხსენებების წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობა ჩქარობს

ლონდონი, 22 ივნისი. თემთა პალატაში მაკდონალდის შეკითხვის საპასუხოდ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ როგორც ოსმალეთის ნაციონალურმა კრებამ, ისე ირაქმა დაადასტურეს ხელშეკრულება მოსულის შესახებ. ამიტომ ძალიან სასურველია, რომ ინგლისშიც მახლობელ დღეებში დაამტკიცონ ეს ხელშეკრულება. მიუხედავათ იმისა, რომ მაკდონალდმა მოითხოვა ხელშეკრულების განხილვა პალატაში, მეფეს წინადადება მიეცემა დაამტკიცოს ხელშეკრულება რამდენიმე დღის განმავლობაში.

ინგლისის კომპარტია და საყოველთაო გაფიცვა

ცეკას პლენუმის რეზოლიუცია

ლონდონი. შესდგა ინგლისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მსჯელობა იქონია **საყოველთაო გაფიცვის გაკვეთილების შესახებ.** მან მიიღო ამ საკითხზე ვრცელი რეზოლიუცია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„საყოველთაო გაფიცვა დამლეული იქმნა არა კაპიტალისტური კლასის ძლიერებისა, არამედ მუშათა კლასის მემარჯვენე ხელმძღვანელების უვარგისობის გამო. მემარჯვენე ბელადებმა მუშათა კლასში გაავრცელეს ილიუზია, რომ მაისში გაფიცვა არ მოხდება, მიტომ რომ „ქვა-ნახშირის კომისია“ სამთამადნო წარმოების კრიზისს გადასჭრის. ამ პოლიტიკასთან ერთად მემარჯვენე ხელმძღვანელები თავს ესხმოდნენ კომუნისტებს. როცა „ქვა-ნახშირის კომისიის“ მოხსენება გამოქვეყნდა, მემარჯვენე ბელადები მას აღფრთოვანებით შეხვდნენ. საყოველთაო გაფიცვა, მემარჯვენე ბელადებმა სურვილის წინააღმდეგ მიიღეს. მასსების ძალდატანებამ გენერალურ საბჭოს ხელი შეუშალა, რომ აშკარად ზურგი შეექცია მემაღაროებისათვის. როცა საყოველთაო გაფიცვა დაიწყო, მუშების ყოფაქცევა ყოველი მხრივ ღირსეული იყო. მით უფრო სამარცხვინო იყო მეთაურების ყოფაქცევა. გენერალური საბჭოს ღალატი იმაში მდგომარეობს, რომ მან სამუელის მემორანდუმი მიიღო (სამუელი „ქვა-ნახშირის კომისიის“ თავმჯდომარეა). ეს იყო ლოღიკური შედეგი გენერალური საბჭოს პოლიტიკისა. ამიტომ კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ საყოველთაო გაფიცვის ძირითადი შეცდომა მეთაურების უთაურობისაგან გამომდინარეობს. **მუშათა კლასმა ზიზღით უნდა უკუაგდოს ის აზრი, რომ გაფიცვა შესუსტდა და აუცილებელი გახდა მისი შეწყვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩაიშლებოდა.** ცუდი გამოდგა არა იარაღი, არამედ ის ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ ამ იარაღის ხმარებაში. საყოველთაო გაფიცვის შემდეგ მუშათა კლასს წინ ორი ამოცანა უძევს: **ერთია მემაღაროების გაფიცვის გამარჯვება, ხოლო მეორე ბრძოლა ხელმძღვანელების შეცვლისთვის.** მემაღაროების გაფიცვის მოგება კიდევ შეიძლება შემდეგი პრინციპის საფუძველზე: არავითარი შემცირება ხელფასისა, არავითარი გაგრძელება სამუშაო დღისა. რკინისგზელებმა და ტრანსპორტის მუშებმა, მემაღაროების კავშირის მოწოდების მიხედვით, უნდა შეაჩერონ ქვა-ნახშირის ტრანსპორტი. გარდა ამისა საჭიროა, რომ პროფმოძრაობაში ყოველი მუშა ჩაებას, გამოუკლებლივ. **გენერალური საბჭოს უფლება უნდა გაფართოვდეს მემარჯვენე ბელადების გაძევების შემდეგ.** მუშათა მოძრაობის ადგილობრივი ცენტრები უნდა გაძლიერდეს მომქმედი საქარხნო კომიტეტებისა და პროფკავშირთა გაერთიანების შემწეობით. კოოპერატიულ მოძრაობაში სისტემატიური მუშაობა უნდა სწარმოებდეს **იმ ბიუროკრატების დასაძლევად, რომელთაც საყოველთაო გაფიცვის დროს კოოპერატივებს ხელი შეუშალეს, რომ მუშათა კლასისთვის დახმარება გაეწიათ.** უნდა შეიქმნას მემარცხენე ფრთა მუშათა მოძრაობაში: **მის პროგრამას უნდა შეადგენდეს პრინციპიულად შეურიგებელი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ** და შეთანხმება საპარლამენტო მოღვაწეობისა პარლამენტის გარეშე მასსიურ მოქმედებასთან“.

რეზოლიუცია ასე თავდება:

„მემარჯვენე ბელადები ყოველ ღონისძიებას მიიღებენ, რათა თავიანთი პოსტები შეინარჩუნონ. მუშები მხოლოდ იმ შემთხვევაში აიცილებენ მომავალ დამარცხებებს, თუ მემარჯვენე ბელადებს შეებრძოლებიან. **მხოლოდ კომუნისტური პარტიის მასსიურ პარტიათ გადაქცევა [illegible] პროლეტარიატს რწმენას, რომ [illegible] შეუძლია თავისი ახალი ამოცანები გადასჭრას.** ინგლისის კომუნისტური პარტია მოუწოდებს პროლეტარიატს: **დაეხმარე მემაღაროებს, განდევნე მემარჯვენე ბელადები, შექმენი კომუნისტური მასსიური პარტია!“**

ჩემბერლენის მწუხარება

ლონდონი, 22 ივნისი. თემთა პალატაში შეკითხვის საპასუხოდ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ამჟამად მას ხელთ აქვს საბუთები, რომელნიც მოწმობენ ბრაზილიის გამოსვლას ერთა ლიგიდან. მას გულწრფელად სამწუხაროდ მიაჩნია, რომ ბრაზილიის მთავრობამ გადასდგა ეს ნაბიჯი და იმედი აქვს, რომ ბრაზილიის მთავრობა გადასინჯავს თავის გადაწყვეტილებას და არ მოისურვებს სავსებით კავშირის გაწყვეტას იმ დიდ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება და რომლის წარმატებას თვითონ ბრაზილიამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი წარსულში.

ჩემბერლენმა დასძინა, რომ თუმცა ოფიციალური ცნობა მას არ აქვს, მაგრამ ძალიან აწუხებს ის გარემოება, რომ ესპანეთსაც ასეთივე ნაბიჯის გადადგმა განუზრახავს.

ლოკარნო და ბერლინი

კონსტანტინოპოლი, 22 ივნისი. ცნობილი ჟურნალისტი იუნუს ნადი სახალხო პარტიის ორგანო „ჯუმხარიეტის“ ფურცლებზე უბრუნდება ლოკარნოს და გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების ანალიზს.

„ლოკარნო — სწერს ის — ინგლისმა შექმნა აღმოსავლეთის წინააღმდეგ. თუ საჭირო იქნება ოსმალეთი უყოყმანოთ შეუერთდება ბერლინის ხელშეკრულებას“.

ბარტელი თათბირობს

ვარშავა, 22 ივნისი. ბარტელმა მოიწვია სეიმის პარტიების ბელადები და განუცხადა, რომ პარლამენტარულ სისტემის მომხრეა და ეწინააღმდეგება ახალ არჩევნების დანიშვნას ახლო მომავალში. ბარტელი სეიმს სთხოვდა მხოლოდ ბიუჯეტის და აგრეთვე კონსტიტუციის დამატებების დამტკიცებას. ცვლილებებს საარჩევნო კანონში ის არ მოითხოვს, რადგან იცის, რომ ეს განაახლებს პარტიულ შეხლა-შემოხლას. ხოლო თუ სეიმი თვითონ შეიმუშავებს ასეთ პროექტს, მთავრობა წინდაწინვე აცხადებს, რომ ის არ გაილაშქრებს ამის წინააღმდეგ.

ახალი მინისტრები

ვარშავა, 22 ივნისი. კონსერვატორი ალექსანდრე რაჩინსკი დანიშნულია მიწათმოქმედების მინისტრად. ვილნოს უნივერსიტეტის პროფესორი სტანევიჩი დანიშნულია აგრარულ რეფორმათა მინისტრად.

ლინდეს მკვლელი

ვარშავა, 22 ივნისი. ოფიცერ ჟეგალევსკის, რომელმაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოჰკლა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ლინდე, მიუსაჯეს 10 წლის ციხე.

მენშევიკური ორპიროვანი იანუსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

პუანკარე ყოყმანობს

პარიზი, 22 ივნისი. პუანკარეს ვერ გადაუწყვეტია მიიღოს თუ არა ფინანსთა მინისტრის პორტფელი. ახალი სამინისტრო პარლამენტს მომავალ კვირის დასაწყისში წარუდგება.

ბრიანი ფიქრშია

პარიზი, 22 ივნ. ბრიანმა განაცხადა, რომ მას სურს შეისწავლოს ფინანსიური მდგომარეობა, რათა შეადგინოს ისეთი კაბინეტი, რომელიც საკმაო უმრავლესობით იქნება უზრუნველყოფილი და რომელიც მთავრობის მოქმედებას საშუალებას მისცემს.

ტოკიო-კოპენჰაგენი

მოსკოვი, 22 ივნისი. გუშინ დილის 11 საათ. 10 წ. მოსკოვში მოფრინდა მფრინავი ბოტველი, რომელმაც გადმოფრენა მოახდინა ტოკიო-მოსკოვ-კოპენჰაგენის ხაზით.

ტოკიოდან ის გაფრინდა 8 დღის წინად. მთელ გზის, ტოკიოდან კოპენჰაგენამდე,—12.000 კილომეტრს ის გადაიფრენს 9 დღეში.

გლეხ მეურნეობის გარეშე შემოსავლის დაბეგვრის შემცირება

მოსკოვი, 22 ივნისი. ს. ს. რ. კ.-ის სახ. კომ. საბჭომ 22 ივნისის სხდომაზე მოისმინა ცნობა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის გატარების შესახებ. სახ. კომ. საბჭომ გადასწყვიტა წინადადება შეიტანოს ს. ს. რ. კ.-ის ცაკში, რათა მიღებულ იქმნას ერთი კანონი, რომელიც შესწორებებს შეიტანს სას.-სამ. გადასახადის აკრეფის საქმეში და თავიდან ააშორებს გლეხობას ზედმეტ დაბეგვრას.

ამხ. კალინინის დეპეშა ქემალ-ფაშას

მოსკოვი, 22 ივნისი. ს. ს. რ. კ.-ის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა ქემალ-ფაშას მისალოცი დეპეშა გაუგზავნა უკანასკნელი საფრთხის თავიდან აცილების გამო და უსურვებს ჯანმრთელობას, ენერგიას და ძალას თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად.

ასეთივე დეპეშა გაუგზავნა გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ისმეტ-ფაშას.

მემაღაროეთა ბრძოლა

ლონდონი, 22 ივნისი. თემთა პალატამ პირველი წაკითხვით მიიღო ბილი რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. ჰფიქრობენ, რომ სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომი სამუშაო ხელფასის შეკვეცას უფრო დასთანხმდება, ვიდრე 8 საათის სამუშაო დღის კანონს.

საბაბი ჩაგვრის გაძლიერებისათვის

პეკინი, 19 ივნისი. ჩინეთის გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, რომელიც მეგობრულადაა განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, სიუნ-ტი-ლინმა წერილობითი მიმართა კარახანს გაზეთების მოთავსებულ ცნობის შესახებ, რომლის მიხედვით, ვითომც 8 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი გაიგზავნა კალგანში.

კარახანმა კატეგორიულად უარჰყო ეს ცნობა რომელიც სიცრუესა და ცილის-წამებას წარმოადგენს.

„არავითარი საბჭოთა ჯარები არაა არც კალგანში, და ჩინეთის არც სხვა რომელიმე პუნქტში,—ხაზს უსვამს კარახანი,—და საბჭოთა კავშირი არასოდეს არ მისცემს საბაბს იმპერიალისტებს, რომ გააძლიერონ ჩინეთის ჩაგვრა.

ფინეთის პრეზიდენტი რიგაში

რიგა, 21 ივნისი. რიგაში ჩავიდა ფინეთის პრეზიდენტი რელანდერი.

მთავრობა იმუქრება

პარიზი, 22 ივნისი. კანცლერი და მთავრობის კოალიციების ბელადები შეთანხმდნენ, რომ რეიხსტაგმა გადასდოს თავისი არდადეგები მანამდე, სანამ მოხდებოდეს კანონპროექტების დამტკიცება ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების ანაზღაურების შესახებ. თუ რეიხსტაგმა უარჰყო მთავრობის კანონპროექტი **კანცლერს განზრახული აქვს კაბინეტთან ერთად გადადგეს და დაითხოვოს რეიხსტაგი.**

მმართველ პარტიების ბელადები უარჰყოფენ ყოველგვარ დამატების შეტანას მთავრობის კანონპროექტში. სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ მასში ცვლილებების შეტანას. კომუნისტები კი—რეიხსტაგის დაუყოვნებლივ დათხოვნას და ექსპროპრიაციის შესახებ კანონის გამოყენებას“.

რეფერენდუმის შედეგები

ბერლინი, 21 ივნისი. უკანასკნელი ცნობებით, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 15.535 ათასმა კაცმა. მათ შორის 14.442 ათასმა ხმა მისცა გერმანიის ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების კონფისკაციის სასარგებლოდ, 583 ათასმა კაცმა წინააღმდეგ, ხოლო 56 ათასი ხმა გაბათილებული იქნა.

რეფერენდუმის მონაწილეთა უდიდესი პროცენტი ბერლინზე მოდის, სადაც ხმა მისცა კონფისკაციის სასარგებლოდ 1.747 ათასმა კაცმა, ე. ი. ხმის უფლების მქონეთა 66 პროცენტმა. ყველაზე ცუდი შედეგები კენჭის ყრამ პომერანიაში, აღმოსავლეთ პრუსიასა და ბავარიაში მოიტანა. რეფერენდუმის შედეგი კომპარტიის პოლიტიკის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრივ ბურჟუაზიისა და ყველა ბურჟუაზიულ პარტიების ხელმძღვანელთა საბოტაჟს, რომელსაც მხარი დაუჭირეს პრეზიდენტმა და ყველა მინისტრებმა, მთავრობის დაწესებულებებმა, სამღვდელოებამ და გაზეთების უდიდესმა ნაწილმა და აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მემარჯვენე პარტიებმა თავის ძალთა მობილიზაცია მოახდინეს და პროვინციებში სასტიკი ტერორი გაამეფეს.

ასეთ პირობებში 15 მილიონ ხმის შეგროვება და 1918 წლის რევოლიუციის შემდეგ მონარქიზმის საწინააღმდეგოთ უდიდესი მობილიზაციის ჩატარება უსათუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

კომპარტიამ შესძლო მტკიცე კონტაქტი დაემყარებია ფართო მასებთან და გამოიმუშავა ფართო პლატფორმამ ამ მასების მომავალი ბრძოლისათვის.

მონგუსოს საქმე

პარიზი, 21 ივნისი. პარიზის სააპელაციო სასამართლოში გაირჩა შრომის რევოლიუციონურ ფედერაციის მდივნის მონგუსოს საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ანარქისტულ პროპაგანდის წარმოებაში. მონგუსოს ბრალი ედება შარშანდელი წერილის გამო. სასამართლომ დაადასტურა მონგუსოს დანაშაულობა და მიუსაჯა 4 თვით დატუსაღება.

კიდევ ექვსი...

ლონდონი, 22 ივნისი. კიდევ ექვსმა „მტკიცე“ კონსერვატორმა მოაწერა ხელი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის რეზოლიუციას, რომელსაც ლემპსონი (მინისტრის ძმა) შეიტანს 25 ივნისს. მაგრამ იტყობინებიან, რომ მთავრობას განზრახვა აქვს არ დაუშვას ლემპსონის რეზოლიუცია კენჭის ყრამდე, და ამ მიზნით იგი შეიტანს წინადადებას კამათის შეწყვეტის შესახებ.

„ჩვენ საზღვარგარეთ უნდა შევქმნათ ისეთი შთაბეჭდილება, განაცხადა ბოლდუინმა, რომ პოლიტიკა მეორე ხარისხოვან ადგილს იჭერს.

ბოლდუინის ქარხანა უნახშიროდ

ლონდონი, 22 ივნისი. ბოლდუინის კომპანიის ქარხნებში ნახშირის უქონლობის გამო მუშაობა გამოურკვეველ დრომდეა შეჩერებული. პრემიერს ეკუთვნის ამ კამპანიის 282.117 აქცია; კამპანიას აქვს მაღაროები, ლითონის ჩამომსხმელი ქარხნები და სხვა წარმოებები.

უმუშევრობის ზრდა

ლონდონი, 22 ივნისი. უკანასკნელი ოფიციალური ცნობების მიხედვით ინგლისში 1.629.200 უმუშევარია. ამ რიცხვში არ შედიან ის მუშები, რომლებმაც მუშაობა შესწყვიტეს სანახშირო მრეწველობაში.

მოჰკლეს პეტლიურას თანამებრძოლი

ბერლინი, 22 ივნისი. გრადეკში (პოლონეთი) მოჰკლეს უკრაინის არმიის ყოფილი უფროსი ატამანი, პეტლიურას თანამებრძოლი, ოსპილკო.

აბდ-ელ-ქერიმი ფრანგების ხელში დასტოვეს

პარიზი, 22 ივნისი. საფრანგეთ - ესპანეთის კონფერენციამ დაადგინა, რომ აბდ-ელ-ქერიმი ფრანგების ხელში დასტოვონ.

საფრანგეთის კომპარტიის კონგრესი

პარიზი, 21 ივნისი. ლილში გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის კონგრესი. პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდა სემარი. შეჩერდა რა საფრანგეთის მდგომარეობაზე, სემარმა აღნიშნა, რომ საფრანგეთი გრძნობს, რომ შინაგან დაბრკოლებათა წინაშე სდგას, რომელთა მიზეზია სირიისა და მაროკოს ომი, რომელმაც ძალიან დიდი ხარჯებით გა[illegible] ფინანსიური კრიზისი და აქედან გა[illegible] სიძვირის ზრდა.

გაუკეთა რა ანალიზი საფრანგეთის კომპარტიის მუშაობას უკანასკნელ კონგრესის შემდეგ, სემარმა აღნიშნა, რომ ეს მუშაობა ფრიად მძიმე პირობებში სწარმოებდა, განსაკუთრებით პარტიის რეორგანიზაციის გამო საწარმოო უჯრედების სისტემასთან დაკავშირებით. პარტიის წევრთა რიცხვი ოდნავ შემცირდა. დაშვებულია შეცდომათა მთელი რიგი: მაგალითად, დღემდე არაა გა[illegible]ბული ყოველივე ის, რაც აუცილებელი სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ფრთის მიმხრობისათვის.

მთლიანი ფრონტის ტაქტიკის გამოყენების დროსაც დაშვებულია ზოგიერთი შეცდომები.

მაგრამ, მიუხედავად სიძნელეთა, პარტია თავისი ძალების კონსოლიდაციის გზაზე სდგას, რასაც მეტად შეუწყობს ხელს შემოტევა ბურჟუაზიის მხრივ.

თავის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში საფრანგეთის კომპარტიამ პირველად შეიგნო მასებთან ფართო კავშირისა და მათი პროფესიონალურ ორგანიზაციებში ჩაბმის აუცილებლობა.

ბალტიის სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი

რიგა, 21 ივნისი. ბალტიის სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელშიაც, სხვათა შორის ნათქვამია:

„მისწრაფვის რა ბალტიის სახელმწიფოებსა და საბჭოთა რუსეთს შორის კეთილმეზობლურ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისაკენ, კონფერენცია სცნობს, რომ ბალტიის სახელმწიფოებსა და საბჭოთა რუსეთს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ბალტიის ზღვასთან მშვიდობიანობის განმტკიცებისა და პოლიტიკურ ურთიერთობის სტაბილიზაციისაკენ გადადგმული. კონფერენცია აუცილებელ საჭიროებად და შესაძლებლად სცნობს ასეთ ხელშეკრულების დადებას — საბჭოთა კავშირსა და ყველა ბალტიის სახელმწიფოებს შორის.

სამღვთოსჯულის სწავლების წინააღმდეგ

ვენა, 22 ივნისი, ავსტრიის სახალხო განათლების მინისტრი **შნეიდერი** იძულებულია გადადგეს, ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარე რამეკმა არ დაამტკიცა კომპრომისული შეთანხმება, რომელიც მან დასდო სოციალ - დემოკრატებთან სამღვთო სჯულის სწავლების შესახებ სკოლებში. გადადგა აგრეთვე ქრისტიანული სოციალისტური პარტიის ვენის ორგანიზაციის თავმჯდომარე კუნჩაკი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ შეთანხმების დადებაში.

გუშინ გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია რამეკის მთავრობის წინააღმდეგ.

დემონსტრაცია მოაწყო სოციალ - დემოკრატიულ პროფკავშირების კომისიამ. დემონსტრაციის ლოზუნგი იყო: „სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმება სკოლებში“.

მთლიანი ფრონტი

ვენა, 22 ივნისი. რამეკის მთავრობის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციასთან ერთად, რომელიც „სამღვთო სჯულის სწავლების“ საწინააღმდეგო ლოზუნგით ტარდებოდა, მოხდა უმუშევართა დემონსტრაცია. „უმუშევრებისა და ინვალიდების დახმარების“ ლოზუნგით.

დემონსტრაციაში მონაწილე მრავალი უმუშევარი მოითხოვდა საბჭოთა შეკვეთების უზრუნველყოფას.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ - დემოკრატებმა უარი სთქვეს კომუნისტების წინადადებაზე — საერთო დემონსტრაციის მოწყობის შესახებ, დემონსტრაცია მაინც საერთო ხასიათს ატარებდა და მასში მონაწილეობას იღებდა 300.000 კაცი.

ნადავლს ინაწილებენ

პარიზი, 21 ივნისი. საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია გრძელდება.

ესპანეთი დაეთანხმა საფრანგეთის მოთხოვნილებას, რომ ესპანეთის ჯარებმა დაიკავონ რიფის ოლქის ნაწილი, ამ ნაბიჯით საფრანგეთი ისწრაფის თავიდან აიცილოს ახალი აჯანყების შესაძლებლობა.

სხვადასხვა

ექსპრესის გადავარდნა ლიანდაგიდან. ჩქარი მატარებელი, რომელიც პარიზიდან ბორდოში მიდიოდა, ბუვრეის ახლო ლიანდაგიდან გადავარდა. კატასტროფის დროს მოკვდა 5 კაცი, დაიჭრა—30, მათ შორის 7 მძიმედაა დაჭრილი.

უცხოელებზე თავდასხმისათვის. ჩენ-ტუში ამერიკელ ქალებზე თავდასხმის გამო, ჩინეთის მთავრობამ გამოაქვეყნა პროკლამაცია. რომელშიაც ნათქვამია, რომ ყოველი ჩინელი, რომელიც ძალადობას იხმარს უცხოელების მიმართ, იქვე იქნება დახვრეტილი.

გადაფრენა ქაირი-კაპშტადტი-ქაირი. 21 ივნისს ინგლისში მოელიან აეროპლანებს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ გადაფრენაში ქაირი კაპშტდატი-ქაირი.

აფრიკის მატერიკზე გადაფრენა და უკან დაბრუნება (სულ 23.000 კილომეტრი) წინდაწინვე შემუშავებული გეგმის თანახმად მოხდება როგორც დღისით, ისე ღამით.

კაბაკჩიევს უარი უთხრეს ვიზაზე. ბულგარეთის მთავრობამ უარი უთხრა კაბაკჩიევს საზღვარგარეთ გასასვლელ ვიზაზე იმ მოსაზრებით, რომ წინასწარი გამოძიება მისი საქმეზე საზღვრის არალეგალურად გადასვლის ცდის შესახებ ჯერ არ არის დამთავრებული.

აღმოსავლეთში

რიფების დამარცხება

აბდ-ელ-ქერიმის დამარცხების შემდეგ რიფების ოლქს ფრანგი და ესპანელი იმპერიალისტები დაეპატრონენ. მაგრამ სწორეთ ეს საფრანგეთ-ესპანეთის „ყოვლისშემძლეობა“ უდიდეს დაბრკოლებებს ჰქმნის ორივე გამარჯვებულისათვის, რადგან სხვა იმპერიალისტებს—ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებიც დაინტერესებული არიან მაროკოს საკითხით, არ სურთ დაუშვან თავისი მეტოქეების თავისუფალი თარეში რიფების ოლქში.

ამით აიხსნება იტალიის პრესის განკაში მაროკოს საკითხის გარშემო. აბდ-ელ-ქერიმის დამარცხების შემდეგ ინგლისისა და იტალიის პრესა სწერდა, რომ მათი ქვეყნები გულგრილათ ვერ უყურებენ შექმნილ მდგომარეობას.

ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება საფრანგეთ-ესპანეთის „გამარჯვების“ დიპლომატიური მხარეს გაცნობა.

პირველი დიპლომატიური შეხვედრა დამარცხებულებსა და გამარჯვებულებს შორის ჯერ კიდევ 26 მარტს მოხდა. საფრანგეთის სახელით რწმუნებულებად იყვნენ მაროკოში: საფრანგეთის უმაღლესი კომისარის სამმართველოს მოხელე **გაბრიელი** და გენ. **მუჟენი,** რიფების მხრივ კი—**აზერხანი** და **ხადდუ**—აბდ-ელ-ქერიმის უახლოესი თანამშრომლები.

საფრანგეთის რწმუნებულებმა წარმოადგინეს 4 საზავო პირობა: 1) რიფების დამორჩილება მაროკოს სულთანისადმი, 2) აბდ-ელ-ქერიმის განდევნა, 3) რიფების ტომების განიარაღება, 4) ტყვეების დაუყონებლივ გადაცვლა.

რიფების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს პირობები ალბად მიღებული იქნება აბდ-ელ-ქერიმის მიერ, მაგრამ ისეთი საკითხები, როგორიც არის დამორჩილება სულთანისადმი, განიარაღება და რიფთა ოლქის მომავალი ბედი, მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ამიტომ დაწვრილებით განხილვას მოითხოვენ.

ასეთივე ხასიათის იყო აბდ-ელ-ქერიმის პასუხიც, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ მიიღეს საფრანგეთის წარმომადგენლებმა. აბდ-ელ-ქერიმი დასთანხმდა საფრანგეთის პირობებზე, მაგრამ უარი განაცხადა ისეთი განყენებული ფორმულების მიღებაზე, რომელიც ფაქტიურად არაფერს ავალებდა გამარჯვებულებს. ამიტომ აბდ-ელ-ქერიმი მოითხოვდა კონფერენციის მოწვევას სადაო საკითხების დეტალურად განხილვის მიზნით.

საფრანგეთისა და ესპანეთის მთავრობას პირველად უარის თქმა უნდოდათ კონფერენციაზე, მაგრამ იმის შიშით, რომ ეს ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებრივ აზრზე, ბოლოს დასთანხმდენ კონფერენციის მოწვევაზე უჯდაში, მაგრამ ეს თანხმობა ორივე მთავრობამ დაუკავშირა ახალ პირობას: რიფებს არ უნდა შეეშალათ ხელი საფრანგეთ-ესპანეთის ჯარების შეერთებისათვის უედ-კერგის რაიონში, სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ, რიფებს უბრძოლველად უნდა დაეთმოთ მტრისათვის მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი მხოლოდ იმიტომ, რომ ესპანეთ-საფრანგეთის წარმომადგენლებს ენებებოდათ რიფებთან მოლაპარაკების დაწყება.

აბდ-ელ-ქერიმმა კატეგორიულად უარი განაცხადა ამ პირობის მიღებაზე და ბოლოს და ბოლოს ესპანეთ-საფრანგეთი იძულებული შეიქნენ დასთანხმებულიყვნენ კონფერენციის მოწვევაზე ყოველგვარი პირობების გარეშე.

26 აპრილს გაიხსნა კონფერენცია უჯდაში, ფრანგები წარმოდგენილი იყვნენ გენ. **სიმონით,** ესპანელები—**ლოპეც ოლივანით** და რიფები—**აზერხეიჯანით, დე-ხადდით და უედდით.**

როგორც კი რიფების წარმომადგენლებმა სცადეს დაეთანხმებიათ მოწინააღმდეგენი გარკვეული პირობების შემუშავებაზე, გამოირკვა, რომ საფრანგეთ-ესპანეთის წარმომადგენლები განზრახ გაურბიან ამას, რომ შემდეგში ისეთი შინაარსი მიეცათ შეთანხმებისათვის, როგორიც მათთვის იქნებოდა უფრო [illegible]ილსაყრელი.

ასე მაგალითად, რიფებ[illegible] წარმომადგენლები ემყარებოდენ რა ფრანგებ[illegible] წინანდელ განცხადებებს, მოითხოვდენ, რომ [illegible]როკოს სულთანისადმი დამორჩილება იყოს მხოლოდ სარწმუნოებრივი ხასიათის და არა ადმინისტრატიულის. განიარაღების საკითხში, თანხმდებოდენ რა ამ მოთხოვნების მიღებაზე, რიფების წარმომადგენლები ამტკიცებდენ, რომ კანტროლისათვის (განიარაღებაზე) საკმაო არის მათ ქვეყანაში დარჩეს კომისია ფრანგ და ესპანელ ოფიცრებისაგან შემდგარი და არა მთელი ჯარის შემოყვანა რიფების ოლქში. გარდა ამისა რიფები მოითხოვდენ, რომ მათ მისცემოდა წესრიგის დასაცავად ადგილობრივი მილიციის შექმნის უფლება. ავტონომიის საკითხში რიფები მოითხოვდენ, რათა მათი ქვეყანა გამოყოფილი ყოფილიყო დამოუკიდებელ ზონათ, სადაც არც ესპანეთსა და არც საფრანგეთს არ მიეცემოდა რაიმე განსაკუთრებული უფლებები.

მაგრამ საზავო პირობებისათვის გარკვეული ხასიათის მიცემა ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთ-ესპანეთის ინტერესებს. რიფები უსიტყვოთ და უდაოთ უნდა დამორჩილებოდენ მაროკოს სულთანს, რადგან მაროკოს სულთანი მხოლოდ შირმაა. ფაქტიურად კი მაროკოს ბედ-იღბალს განაგებს საფრანგეთის რწმუნებული, რომლის თანხმობის გარეშე სულთანი ფეხსაც კი ვერ გადადგამს.

განიარაღებაზე კანტროლისათვის მოკავშირეებს სურდათ მთელი არმიის შეყვანა რიფების ოლქში. რაც შეეხება რიფების წინადადებებს ავტონომიის შესახებ, ეს მოთხოვნილება სრულიად მიუღებელი იყო საფრანგეთ-ესპანეთისათვის, რადგან მისი მიღებით ხელიდან ეცლებოდათ ყველაფერი ის, რისთვისაც ამდენხანს იბრძოდენ—რიფების ოლქის აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეზე.

ოთხ დღეს გაგრძელდა მოლაპარაკება და შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. სამხედრო მოქმედება განახლდა და აბდ-ელ-ქერიმი დაამარცხეს.

მაგრამ სწორეთ ასეთი „გამარჯვება“ სახიფათოა გამარჯვებულთათვის. რომ უჯდაში შეთანხმება მიეღწიათ, რიფების ბელადები მართლა დააწყნარებდენ მხარის. ახლა კი ყველა ტომებს არ დაუყრია იარაღი. პარტიზანული რაზმები დარჩნენ და ხელსაყრელ მომენტში განაახლებენ ბრძოლას.

გარდა ამისა, ინგლისი და იტალია, რომელთაც არათრათ ესიამოვნა საფრანგეთ-ესპანეთის გამარჯვება რიფების ოლქში. გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ამბების განვითარებას და მზად არიან გამოიყენონ ყოველგვარი „[illegible]“ თავისი ინტერესების დასაცავად მაროკოში.

როგორ მოჰკლეს გრიგოლ ვეშაპელი

რა სწერია ამის შესახებ პარიზის გაზ[illegible]

რას გადმოგვცემენ ამის შესახებ გაზ. „ლიუმანიტე“-ს თანამშრომლები

საბჭოთა კოლონიის კრებაზე თავდამსხმელთა საქმის გარჩევა სასამართლოში

პარიზის გაზეთების უკანასკნელი ფოსტა, რომელიც ჩვენ მივიღეთ გუშინ, შეიცავს ცნობებს გრიგოლ ვეშაპელის მოკვლისა და საბჭოთა კოლონიის კრებაზე თავდამსხმელთა საქმის გარჩევის შესახებ სასამართლოში. ქვემოდ მოყვანილი ცნობები ამოღებულია გაზ. „ლიუმანიტე“-დან (11 ივნისი).

რედ.

როგორ მოჰკლეს

ამ ცოტა ხნის წინად სომხის რეაქციონერებმა მუშა-კომუნისტი ბაიდენაზიანი მოჰკლეს ლიონში; ეხლა ჯერი ქართველ თეთრგვარდიელებზე მიდგა: გუშინ მათ წუთისოფელს გამოასალმეს ჟურნალისტი გრიგოლ ვეშაპელი, საბჭოთა ხელისუფლების მომხრე და საბჭოთა კავშირის მოქალაქე, გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორი.

გუშინ სასამართლოში ირჩეოდა იმ თეთრგვარდიელი ქართველი სტუდენტების საქმე, რომელნიც შარშან „კაფე ვოლტერში“ თავს დაესხნენ საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ქართველებს.

სხდომა გათავდა: ვეშაპელი სასამართლოს დარბაზიდან გამოვიდა ოთხ საათზე თავის ცოლთან და თავის ბიძაშვილთან, სტუდენტ ხაჩიძესთან ერთად. ხაჩიძემ ავტომობილს დაუძახა და სამივენი შიგ ჩასხდნენ; უცებ ვიღაც უცნობი, რომელიც შემდეგ მერაბიშვილი აღმოჩნდა და რომელიც იქვე დადიოდა სასამართლოს წინ, მივარდა ტაქსომეტრს, რომელიც ჯერ კიდევ არ დაძრულიყო. მან დაუმიზნა ვეშაპელს. ცოლი ქმარს წინ გადაეფარა. მაგრამ თავდამსხმელმა ქალი გასწია და ვეშაპელს ორი ტყვია დაახალა მკერდში. ხუთის ნახევარზე ვეშაპელი უკვე საავადმყოფოში იყო, მაგრამ სისხლის დენის გამო 5 საათსა და 5 წუთზე ის გარდაიცვალა...

ვეშაპელის ბინაზე

შატო რუჟში, პელეს ქუჩაზე, მეოცდარვე ნომერი, უბრალო სახლს წარმოადგენს. ჩვენ მკვლელობის ამბავი შევატყობინეთ მეკარე ქალს.

ქალი ამბობს: „ის მხიარულად წავიდა თავის მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად... არა, ეს შეუძლებელია!“.

მესამე სართულში ორი პატარა ოთახია, წყნარი და უბრალოდ მოწყობილი... გაისმის ქვითინი. ვეშაპელის მეუღლე გვხვდება და ზეადამიანური ძალდატანებით სცდილობს თავისი საშინელი ტანჯვა დაიმორჩილოს; ის დაესწრო თავის ქმრის უკანასკნელ წუთებს... თითქმის ვერაფერი გამოვკითხეთ...

„ჰო, საჭიროა, ამბობს ის, რომ გაბათილებულ იქნას საზიზღარი ცილისწამება... ჩემი ქმარი პირდაპირი, პატიოსანი, გულკეთილი ადამიანი იყო.. ის მხოლოდ სინდისის კარნახით მოქმედობდა... საქართველო მისი სამშობლო იყო; ის არ იყო კომუნისტი... მაგრამ ღრმად დარწმუნდა, რომ მხოლოდ საბჭოებს შეეძლო მისი ქვეყნის ხსნა... ის სცდილობდა ვნებათა ღელვის დაცხრომას, ყველა იმ ქართველების გაერთიანებას, რომელთაც მშვიდობიანი მუშაობა უყვარდათ. ჩვენ ჩქარა სამშობლოში ვაპირებდით წასვლას... და აი ეხლა... ეხლა!..“.

ქალბატონი ვეშაპელი ქვითინებს სასოწარკვეთილად... ჩვენ ველარ ვბედავთ მის შეწუხებას და მოკრძალებულათ ვსტოვებთ მას.

ვინ იყო ვეშაპელი?

მიცვალებულის მეგობრებმა გვიამბეს, ვინ იყო ვეშაპელი და დაგვანახვეს, რა დიდი დანაკლისია მისი სიკვდილი საბჭოთა საქართველოსთვის. მკვლელმა, როგორც სჩანს, ძლიერ კარგად იცოდა რას სჩადიოდა. მან მოჰკლა ერთი იმათგანი, ვინც თავისი მოქმედებით ყველაზე მეტად აშფოთებდა იმ არამზადებს, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებამ სამუდამოთ გამორეკა უცხოეთში.

გრიგოლ ვეშაპელი 35 წლისა იყო. 1918—19 წელს ის საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად იქნა არჩეული; იმ დროს ის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი იყო და ჟორდანიას მენშევიკურ მთავრობაში თავდადებით სხვადასხვა მისიას ასრულებდა. უცხოეთში ყოფნის დროს ის თანდათან დარწმუნდა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია ეროვნული საკითხის გადაჭრა, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში. საქართველოს არ შეუძლია საბჭოთა კავშირს გამოეთიშოს.

ბერლინში ვეშაპელი აარსებს საკუთარ ჟურნალს „ახალ საქართველოს“, და ბრძოლას აწარმოებს ყალბ პარტიების წინააღმდეგ, რომელთაც უნდოდათ, რომ მისი სამშობლო უცხოეთის იმპერიალიზმისთვის გადაეცათ და აჯანყება მოეწყოთ მშრომელი საქართველოს ხელისუფლების დასამხობათ. 1924 წლის აგვისტოში ქართველი მსხვილი მემამულეები, მენშევიკებისა და უცხოელების დახმარებით, აჯანყებას იწყებენ; ვეშაპელი დაუღალავად ამჟღავნებს ამ ყალბ სოციალისტების ბინძურ საქმიანობას და საზიზღარ ბოროტმოქმედებას. 1924 წელს მან თავისი ჟურნალი პარიზში გადმოიტანა.

„ახალ საქართველოს“ დიდი გავლენა ჰქონდა ემიგრაციაში. გრიგოლ ვეშაპელს ნიჭიერი და პატიოსანი ჟურნალისტის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თანამემამულეებში. ის ამხელდა ქართველი ყალბი პატრიოტების მოქმედებას, შეუბრალებლად ააშკარავებდა, რომ ისინი არსებითად ანტინაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ, რომ ისინი მოსყიდულნი არიან უცხოეთის იმპერიალისტების მიერ. გააფთრებული თეთრგვარდიელები ხედავდენ, რომ მათი რაზმები დნებოდა; მათი გავლენა უკანასკნელი აჯანყების შემდეგ არარაობათ იქცა, ხოლო ვეშაპელის ჟურნალმა, პირიქით, დიდს წარმატებას მიაღწია. ამიტომ ცხადია იმათ შური უნდა ექიათ და აკი ვიღაც ვიგინდარას მოაკვლევინეს კიდეც.

მკვლელი

ერთ-ერთ კომისარიატში ბრტყელ სახიანი და ბრიყვული გამომეტყველების კაცი ზის: ეს არის მკვლელი, ავთანდილ მერაბიშვილი, 26 წლისა, რენოს ქარხნის მექანიკოსი. ის იცინის, პოზებს აკეთებს, პაპიროსებს ეწევა... მას ატყობინებენ, რომ მისი მსხვერპლი გარდაიცვალა კიდეც... ის კმაყოფილია, და თეატრალური ჟესტით თმაზე ხელს ისვამს (როგორც ამბობენ, ის ყოფილი დრამატიული მსახიობია).

ჩვენ მას კითხვებს ვაძლევთ:

„თქვენ სოციალისტი ხომ არ ხართ?“

ის ყოყმანობს, იღიმება და გვიპასუხებს: „ჰო, მე სოციალისტი ვარ!“.

როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატობა საქართველოში ნიშნავს კავშირს უკიდურეს რეაქციასთან, უცხოეთის იმპერიალიზმთან, საუკეთესო რევოლიუციონური მებრძოლების მოკვლას. როგორც სჩანს, ამ უბედურს არაფერი ესმის და ბოროტმოქმედება ჩაადენინეს...

ის აცხადებს: „მე მქონდა შურისძიების მისსია (?) ყველა შოვინისტები საქართ.-ში გაიგებენ ჩემს მოქმედებას, მე არ ვნანობ“. ეს განცხადება საყურადღებოა: ის ააშკარავებს, თუ რა ღირსებისაა ეს „შოვინისტური სოციალიზმი“, რომელსაც ასეთი გააფთრებით იცავს ბატონი პიერ რენოდელი.

თეთრგვარდიელები დაისჯებიან

საბჭოთა მოქალაქე ვეშაპელი კომუნისტი როდი იყო; ის უპარტიო იყო და გულწრფელად მუშაობდა საბჭოთა საქართველოსათვის; ის მოკლულ იქნა ქართველი მუშათა კლასის მტრების მიერ.

დიდი ხანია მას უთვალთვალებდნენ: მენშევიკები მას უდარაჯებდნენ იმ ჩხუბის დროსაც, რომელიც „კაფე ვოლტერში“ მოხდა. დღეს მათ მიზანს მიაღწიეს.

ეს თეთრგვარდიელები, რომელნიც სტუმართ-მოყვარე საფრანგეთის რესპუბლიკამ შეიფარა, გულდამშვიდებულად ხოცავენ ადამიანებს.

მაგრამ საბჭოთა საქართველო ძლიერია, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირი, და უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტები, რომელნიც ყველგან მარცხდებიან, საკადრის პასუხს მიიღებენ საფრანგეთისა და მსოფლიოს პროლეტარიატისაგან.

გ. ა.

სასამართლოში

1925 წელს, 9 აგვისტოს, ქართველმა მოქალაქეებმა, რომელნიც საბჭოთა წესწყობილებას მიემხრენ, კერძო კრება მოაწყვეს „კაფე ვოლტერში“.

ეს გაიგო ქართველ ნაციონალისტ-სტუდენტების ერთმა ჯგუფმა, რომელიც თეთრგვარდიელთა ორგანიზაციას ეკუთვნოდა და გადასწყვიტა ხელი შეეშალა კრებისათვის.

ვინმე **დგებუაძისა** და **კინწურაძის** მეთაურობით (ეს უკანასკნელი საფრანგეთის ჯარის ოფიცერია). ეს გმირები, რომელთაც სხვა მენშევიკებიც შეუერთდნენ, შეიჭრენ „კაფე ვოლტერში“ და ჯოხებით [illegible] დამსწრეებს. თერთმეტი ამ უკანასკნელთა შორის დაიჭრა, დარბაზი დარბეულ იქნა.

სამმა მსხვერპლთაგანმა, **ვეშაპელმა, ბაკურაძემ** და **ჭაბუკიანმა,** რომელთაც იცნეს თავდამსხმელები, სასამართლოში უჩივლეს მათ.

ამ საქმის გამო 10 ივნისს სასამართლოში წარსდგენ შემდეგი პირები: **დგებუაძე, კედია, ბერეჟიანი, სალია (?), ქარცივაძე და ნოზაძე.** ზოგიერთი საქმე, მათ შორის ოფიცრის კინწურაძისა, შეწყვეტილ იქნა, თუმცა მოწმეები ერთხმად ამტკიცებდენ, რომ ისიც მონაწილეობას იღებდა თავდასხმაში. ბრალდებული ვექილები ბატაილი და გონენი იცავდნენ, ხოლო ვეშაპელისა და ბაკურაძის მხარეზე ჰანრი ტორრესი გამოდიოდა.

კონტრ - რევოლიუციონერები უარყოფენ ბრალდებას

ამ საქმემ, რომელსაც შემდეგ ასეთი ტრაღიკული შედეგი მოჰყვა, სისხლის სამართლის დარბაზში დიდძალი ხალხი მიიზიდა; განსაკუთრებით ბევრი იყო ქართველი კონტრ-რევოლიუციონერი. ვეშაპელის მკვლელი, **მერაბიშვილი,** ბრალდებულთა მოწმეების რიცხვში იყო.

ბრალდებულებმა უარჰყვეს, რომ სცემეს თავიანთ მსხვერპლთ. იმათ განაცხადეს, რომ არასოდეს შეიარაღებულნი არ ყოფილან, რაიცა მართლაც ჩქარა საუცხოვოდ დამტკიცდა, როცა რევოლვერით ვეშაპელი მოჰკლეს.

მაგრამ „ახალი საქართველოს“ რედაქტორმა განაცხადა, თუ რა იყო იმ კრების მიზანი, რომელსაც ის თავმჯდომარეობდა. მან განაცხადა, რომ მას სურდა ქართველი ემიგრანტების მორიგება, პარტიული მიმართულების დამოუკიდებლად და მათი დაბრუნება სამშობლოში.

ბოდრილიარისა და შევალიეს ფარისევლური მოწმობა

ბრალდებულთა მოწმეებათ ეპისკოპოსი ბოდრილიარი და ბატონი შევალიე გამოცხადდენ: ეს უკანასკნელი საფრანგეთის კომისრად იყო კავკასიაში. პირველად ეპისკოპოსმა მისცა ჩვენება. მან ნელსაცხებლით სავსე სიტყვაში გამოსთქვა თავისი თანაგრძნობაიმ „უბედური ახალგაზრდობისადმი“, რომელნიც სამშობლოდან გაძევებულნი არიან „უსაშინელესი რეჟიმის“ წყალობით; ბოლშევიკები „მხეცურ ძალმომრეობას“ სჩადიან. ის აცხადებს, რომ ქართველი პატრიოტები პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში იკრიფებიან. ის აღარებს, რომ ეს ახალგაზრდები ხანდახან ერთგვარ სიცხარეს იჩენენ, მაგრამ მას არ შეუძლიათ ამისათვის მათი გაკიცხვა.

შემდეგ შევალიე ლაპარაკობს. ის საქართველოში იმყოფებოდა „ბოლშევიკების შემოსვლამდე“ და თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა წესწყობილების უბილო კრიტიკას იწყებს. ის ცრემლებს ღვრის „საბრალო ემიგრანტების“ უბედურების გამო, რომელნიც იძულებულნი არიან მძიმე შრომით მოიპოვონ „პური არსებისა“.

ტორესის სიტყვა

შემდეგ ტორესმა ილაპარაკა. ის შეეცადა კონტრ-რევოლიუციონერების დანაშაული, მათი ბოროტმოქმედების წინასწარი განზრახულობა დაემტკიცებინა. ის ახსენებს სასამართლოს და დამსწრეებს, რომ საბჭოთა კავშირი ოფიციალურად ცნობილია საფრანგეთის მთავრობის მიერ. რაც შეეხება დამნაშავეთა „უბედურებას“, ეს ძნელი დასაჯერებელია, თუ მათ ლაზათიან ტანსაცმელს დავაკვირდებით. ტორესს ციტატები მოჰყავს ემიგრანტების ქართულ გაზეთ „სამშობლოდან“, სადაც კონტრ-რევოლიუციონერები შესხმას უძღვნიდენ თავდამსხმელების „გმირობას“ და ძალმომრეობას. შემდეგ ის აფართოებს საკითხს და ბრალს სდებს განდევნილ მენშევიკების მთავრობას, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისთან და „სამშობლოს“ ინგლისელ კაპიტალისტებზე ჰყიდდა, იმ პირობით, რომ ისინი საქართველოს საქმეებში ჩარეოდნენ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმოქმედებდნენ.

კამათში გამოირკვა, რომ ამ ძალმომრეობის სამი მსხვერპლი საფრანგეთიდან გააძევეს, ხოლო 16 თავდამსხმელი განთავისუფლებულ იქნენ და არხეინად დასეირნობენ საფრანგეთში. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ გამომძიებელი, სოციალისტი ლავალი, თვითონაც მონაწილეა ამ კონტრ-რევოლიუციონერების ბოროტმოქმედებისა. ხანმოკლე თათბირის შემდეგ, სასამართლომ განაჩენის გამოტანა ერთი კვირით გადასდო.

სასამართლოდან გამოსვლის დროს ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა. რამდენიმე წუთის შემდეგ ეპისკოპოს ბოდრილიარის ერთმა ახალგაზრდა „კათოლიკეს მოციქულმა“ ვერაგულად მოჰკლა გრიგოლ ვეშაპელი, რომელიც ის კარგა ხანია უთვალთვალებდა.

პლატონ.

რუსული ენა და ჩვენი ინტელიგენციის ექსპორტი

მთელი ჩვენი კულტურისათვის, მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სკოლას, კერძოთ, და ენის საკითხს, საზოგადოთ. ბევრნი ენას ისე უყურებენ მხოლოდ, როგორც ნაციონალურ ჩვეულების და გარდმოცემათა საფუძველს. ეს მთავარი და ძირითადი შეცდომაა. ენა უბრალო ლაპარაკის იარაღი როდია, იგი წარმოების საშუალებაა უმთავრესად. ჩვენ კიდევ არ მიგვიქცევია ენისათვის ყურადღება, როგორც წარმოების საშუალებისათვის.

ინგლისში ამჟამად 45 მილიონი მცხოვრები ითვლება, მაგრამ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს 400 მილიონი ხალხი მსოფლიოში. ინგლისის იმპერია არა მარტო დიდი ენის სახელმწიფოა, იგი ამავე დროს დიდი ინდუსტრიის სამეფოა. აქ ინგლისური ენის საკითხი მარტივათ სდგას და იგი თანასწორათ არის როგორც ნაციონალური კულტურის საფუძველი, ისე წარმოების საშუალებაც.

სხვა პირობებია საქართველოში. განიხილეთ ქართველი ხალხის მდგომარეობა ეკონომიური თვალსაზრისით და თქვენ ნათლად დაინახავთ და შეაფასებთ ენის მნიშვნელობას მთელი ჩვენი პოლიტიკურ და ეკონომიურ არსებობისათვის.

საქართველო წარმოადგენს პატარა ქვეყანას, სადაც თითქმის არავითარი მრეწველობა არ შეუქმნია ძველ მოღვაწეთა თაობას, ხოლო რომლის სოფლის მეურნეობა დღესაც პირველყოფილ მდგომარეობაშია. ამავე დროს მიწის საოცარი სივიწროვე, ხალხის საარაკო სიღარიბე და ირგვლივ კი კაპიტალისტური აღებ-მიცემობის გაფართოვება ჰქმნიდა ობიექტიურ პირობებს, რომ ქართველი ხალხი გასულიყო სამშობლოს გარეთ და იქ გაეჩინა წარმოება, მუშაობა.

მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, რომ საქართველოს შვილები უხვათ იღებდენ ლუკმა-პურს არა მარტო თბილისსა და ბათომში, არამედ ბაქოში, როსტოვში, ნოვოროსიისკში, მოსკოვში, ლენინგრადში, ვლადივასტოკში. თქვენ ვერ ნახავდით და რამოდენიმე დღესაც ვერ ნახავთ ვერც ერთს დიდ რკინისგზის სადგურს, ვერც ერთს ქალაქს, რუსეთის სასწავლებლებს, დაწესებულებებს, ჯარის ნაწილებს, სადაც არ ყოფილიყვნენ ქართველები.

მეორმოცდაათე წლებიდან (მე-19 საუკუნე) საქართველოს მთელი ინტელიგენცია რომ ჩინოვნიკებიდან შესდგებოდა და უმთავრესად — ეს აიხსნება იმით კი არა, რომ ჩვენ ხალხს უყვარს ჩინოვნიკი, არამედ აიხსნება უფრო ღრმა მიზეზით: უძლური ეკონომიური ცხოვრება არ მოითხოვდა ინჟინერებს, არ საჭიროებდა გეოლოგებს, სტატისტიკოსებს, კარგ ბუხჰალტერებს და დანარჩენ სპეცებს. დიდი ბაზარი ჰქონდა ზოგადი მცოდნე ხალხს, ჩინოვნიკებს, რომელნიც მწერლად შუხუთშიც გამოდგებოდა და ბორისო - გლებსკშიც. ე. ი. ჩინოვნიკობა და ზოგადი ცოდნა, რუსულ ენაზე დაყრდნობილი, წარმოადგენდა ქართველი ხალხის ერთ-ერთ საწარმოო საშუალებას, ერთს დიდ შემოსავლის წყაროს.

ასეთ პირობებში რუსულ ენას ჰქონდა ქართველი ხალხის ეკონომიური მდგომარეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. ყველა ქართველის ოჯახი მთელს უკანასკნელი ორმოცდაათ წლის განმავლობაში, სულ ერთია გლეხის ოჯახი იყო, ვაჭრის, აზნაურის, თუ შავი მონაზონის, მეტად სცდილობდა, რომ თავის შვილს აუცილებლად და კარგათ შეესწავლა რუსული ენა. რათ ხდებოდა ეს? საიდან მომდინარეობდა ეს სტიქიური ინტერესი? რასაკვირველია, ეს ბრმა ალღო იმით კი არ აიხსნებოდა, რომ ლომონოსოვის ენა ადამიანს დაუახლოვებდა ალექსანდრე პუშკინს, ლერმონტოვს, დოსტოევსკის, ტოლსტოის და სხვებს, არამედ იმიტომ, რომ მარტო ქართული ენით ქართველი ხალხის შვილებს გასაქანი არ ჰქონდათ, იმიტომ, რომ მხოლოდ ქართული ენით მთელი ქართული ინტელიგენცია სიმშილით ამოწყდებოდა, ხოლო მთლიანად საქართველოს მოაკლდებოდა ის დიდი შემოსავალი, რომელსაც ის იღებდა რუსული ენის საშუალებით.

რუსული ენა იყო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი დიდი წყარო. ის იყო საქართველოს სიმდიდრის ერთი დიდი საშუალებათაგანი და აი ეს უმთავრესი ინტერესი იყო მიზეზი ქართველ ხალხში რუსული ენის სიყვარულისა.

რევოლიუციის შემდეგ ამიერ - კავკასიის ყველა ერისათვის ენის საკითხი წარმოადგენს ყველაზე დიდ მნიშვნელოვან ნაციონალურ, პოლიტიკურ საკითხს. მე ვაქცევ ჩვენი ხალხის, ჩვენი ინტელიგენციის და სათანადო ორგანოების ყურადღებას ამ საკითხისადმი იმიტომ, რომ მიმაჩნია იგი კვლავ პრობლემად, რომელიც დღესაც არ არის გაშუქებული და რომელსაც ჩვენ ნებსით თუ უნებლიეთ შეცდომით ვწყვეტთ.

მოგეხსენებათ, რომ რევოლიუციამ სხვათა შორის ჩვენ ერთი დიდი ლოზუნგი მოგვცა: ერის თვითგამორკვევა და ენის თავისუფლება. კერძოთ ქართული ენა მეტად იდევნებოდა ძველი წყობილების დროს, ხოლო რევოლიუციის შემდეგ ქართული ენის „განთავისუფლება“ ბევრმა ისე გაიგო, როგორც სხვა ენის სრულიად უარყოფა და ხმარებიდან გაგდება.

გაუმარჯოს ქართულ ენას, ძირს რუსული ენა,—აი რა მიმართულება მიიღო ბევრის თავში ერის თვითგამორკვევის ლოზუნგმა.

კულტურულ ღირებულებათა ნაციონალიზაცია ჩვენში განსაკუთრებით რუსულ ენას დაუკავშირეს. მენშევიკებმა რუსეთის მიტოვება რუსულ ენის უარყოფით მოინდომეს. მთავარ საკითხად ხდებოდა ის, თუ აბრაზე პირველად რუსული წარწერა იქნებოდა თუ ქართული.

მე მინდა არავინ ისე არ გამიგოს, თითქოს მე ძალიან დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევდე ქართულ ენას და ქართულ კულტურას. ყველა შეგნებულმა მოქალაქემ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიხსომოს, რომ ყოველი კომუნისტი მტკიცედ იცავს ქართულ ენას იმიტომ კი არა, რომ გორგასლანის დროს ამ ენაზე ლაპარაკობდენ ძველი ქართველები და რომ ეს არის ენა ჩახრუხაძის, შოთა რუსთაველის და პეტრიწის, არამედ იმიტომ, რომ მთელი კომუნისტური პარტიისათვის ნაციონალური ენა და ნაციონალური კულტურა აუცილებელი პირობაა ყოველი აღმშენებლობისა და აღორძინებისა.

ამ წერილით მე მხოლოდ რუსულ ენას ვაქცევ ყველას ყურადღებას და ვიკვლევ მის ობიექტიურ და სუბიექტიურ ღირებულებას მთელი ქართველი ხალხისათვის.

უკვე ცხრა წელიწადია, რაც რევოლიუცია მოხდა და ჩვენ დავადექით გაქართულების გზას. ეს გზა მტკიცედ უნდა დავიცვათ, მაგრამ ამ გზიდან ჩვენ განვაგდეთ რუსული ენა. დაწესებულება (სკოლა), სადაც ისწავლება საზოგადოთ ენა საბჭოთა ხელისუფლების დროს, არა თუ შემცირდა, არამედ ძალიან გამრავლდა, ხარჯები, განათლების საქმეზე რომ იხარჯება, მეტად გადიდდა. განათლების ირგვლივ 1924/25 საბიუჯეტო წელში ჩვენ ვხარჯავდით სახელმწიფო ბიუჯეტით 2 მილიონ მანეთს, ხოლო წელს 3,2 მილიონ მანეთს. ადგილობრივ ბიუჯეტიანად წელს საგანმანათლებლო ხარჯები აღემატება 8,1 მილიონ მანეთს. საგანმანათლებლო დაწესებულებანი (ყველა სკოლები, საბავშვო სახლები და სხ.) ირიცხებოდა და მის გარშემო მუშაობდნენ:

	დაწესებ. რაოდ.	ხელმძღვანელნი	მოწაფენი
1923—24 წ.	2674	9678	249977
1924—25 „	4214	12012	279756
1925—26 „	4541	12909	323971

ეს ციფრები ჩვენ ყოველის მხრივ უნდა შევისწავლოთ და დავაფასოთ. ჯერ ერთი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს იმდენი საგანმანათლებლო დაწესებულებანი, იმდენი აღმზრდელი-მასწავლებელი და ისე მრავალრიცხოვანი ლაშქარი მოწაფეთა.

სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს სწორი სტატისტიკური ცნობები საზოგადოთ ქართულ ინტელიგენციის შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ საქართველოში ამჟამად ცხოვრობს სულ 2.162.688 სული 5 წლის ზევით და ამათში 850 ათასი სული ითვლება წერა-კითხვის მცოდნე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველ ინტელიგენციის სიებში 18 წლის ზევით იქნება დაახლოვებით 100—140 ათასი სული.

რევოლიუციის შემდეგ ბევრი გადახვეწილი ქართველი დაუბრუნდა სამშობლოს, უმთავრესად ინტელიგენციის წრიდან. ბევრი მოაწყდა თავის სახლკარს ჯარის დაშლისა და რეორგანიზაციის შემდეგ.

რას გვეუბნება ჩვენ ეს მასალა. ეს მასალა იმას გვიმტკიცებს, რომ ჩვენს პატარა ქვეყანაში ასეთი დიდი ნაწილი ინტელიგენციისა ფრიად სერიოზული მოვლენაა და მას მოსდევს დიდი პოლიტიკური საკითხები. მე არ შევეცდები აღვნუსხო, რომ მეფის დროს ქართველი ინტელიგენციის საკითხი ისე მწვავედ არ იდგა, როგორც ის დღისა სდგას. ინტელიგენტურ ძალების მხრივ საქართველო ბევრი კუთხისათვის იყო მეტად შემძლე ექსპორტიორი. **საკითხი მთავარი სიმძიმე იმაშია, რომ ჩვენ დღესაც უნდა ვიყოთ ინტელიგენციის ექსპორტიორი.**

ჩვენ ხშირად გვესმის ჩივილი, რომ ხელისუფლება არ აქცევს სათანადო ყურადღებას ჩვენს ინტელიგენციას. რომ ჩვენში ბევრი ინტელიგენტი უმუშაოდ დადის და სამშობლოში ინტელიგენტ კაცს სამუშაო ვერ უშოვნია.

უსაფუძვლოა, რასაკვირველია, იმის მტკიცება, რომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევს უქმად დარჩენილ ინტელიგენციას, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი უმუშაოდ არის დარჩენილი.

ჩვენ ვამტკიცებთ: ვერავითარი მთავრობა, ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს მთელი ქართველი ინტელიგენციისათვის სამუშაოს აღმოჩენას. არც ერთს **მთავრობას იმდენი ახალი საქმეები არ დაუწყია, რამდენიც ჩვენს მთავრობას, მაგრამ ინტელიგენციის უმუშევრობა მაინც ფაქტია.** ყოველი ახალი სკოლა, ყოველი ახალი წელიწადი ჩვენს ინტელიგენციის ლაშქარს ახალ ინტელიგენტს ჰმატებს. ინტელიგენციის რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მასზე არსებული მოთხოვნილება—აი ამაშია მდგომარეობის სირთულე.

მე ამ გარემოებისაკენ მივაქცევ მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღებას, ვინაიდან თუ საკითხს ეხლავე არ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება, შემდეგ ძნელი იქნება მისი გადაჭრა.

საკითხის ერთს მომენტს შეუძლებელია არ მივაპყროთ ჩვენი გულისყური, მიუხედავათ ჩვენი ინტელიგენციის ასეთი სიმრავლისა, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ გვინდა ჩვენს ინტელიგენციას საქმე გაუჩინოთ — ჩვენ იძულებული ვართ სხვა ქვეყნებიდან უცხოელი ინტელიგენტებიც შემოვიყვანოთ. რაშია საქმე?

რასაკვირველია, ჩვენი მდგომარეობის სირთულე იმაშია, რომ ჩვენ დიდძალი ინტელიგენცია გვყავს, **მაგრამ ეს მასიური ინტელიგენცია მეტად დაბალი ხარისხისაა; ის აღიზარდა მხოლოდ ჰუმანიტარულ სკოლაში, იგი დილეტანტია, ერთის შეხედვით ყველაფრის მცოდნე, მაგრამ ნამდვილად კი არც ერთი საგანი არა აქვს მტკიცედ შეთვისებული. აი ამ დილეტანტურ და უნივერსალური ხასიათის აღზრდა - განათლებიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ინტელიგენცია არ ვარგა ყველა საქმისათვის, რომ ის გამოსადეგია ელემენტარულ სამუშაოზე, მხოლოდ დიდი საკითხებისათვის უვარგისი.**

მეოცე საუკუნე სპეციალისტების საუკუნეა, აქ ყველაფრის ცოდნა კი არ არის საჭირო, არამედ რომელიმე საკითხის სერიოზული ცოდნაა აუცილებელი. ჩვენ ვაარსებთ ქარხნებს, ვაარსებთ ფაბრიკებს, ელექტრონულ სადგურებს, მაგრამ ქართველი ინტელიგენციის ამარა ვერც ერთ ამ დაწესებულებას ვერ შევქმნით საქართველოში. **ლიუდინი და რაიხაჭრდი** ისეთივე საჭირო შეიქნა ჩვენი ზაჰესისათვის, როგორც **ვასილიევი აჭარისათვის, ან პროფესორი სუვოროვი** მაუდის ქარხნისათვის. არა თუ ასეთი დიდი ძალები შემოგვყავს საქართველოში, არამედ ჩვენ უბრალო მონტიორებიც უნდა მოვიწვიოთ უცხოეთიდან.

მე სერიოზულად ვამტკიცებ: **ჩვენ უცხოეთის კაპიტალი ისე არ გვესაჭიროება, როგორც უცხოეთის სპეციალური ინტელიგენცია.** საქართველოს აუცილებლად სჭირია [illegible] უცხო [illegible].

ძველად ჩვენი ინტელიგენცია იყო დილეტანტი და კანცელარიების საუკეთესო მომუშავე. ეს თუ ჩვენი ინტელიგენციის სივაგლახე იყო, ამჟამად მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ჩვენ გვინდა განვაახლოთ და განვახალისოთ ქართველი ინტელიგენცია. **თუ მის სხეულში არ შევუშხაპუნეთ მეოცე საუკუნის სპეციალი ბაცილები—ის მოისპობა აუცილებლად.** წლიდან წლებში ჩვენ ვამრავლებთ სპეციალისტურ ტეხნიკუმებს. 1924 წელში ჩვენ გვქონდა 19 სპეციალური ტეხნიკუმი, 1925 წელში —30, წელს კი—32. ამას გარდა, ჩვენ მთელ სწავლა-აღზრდას მჭიდროთ უკავშირებთ შრომის დარგის პროცესებს. მაგრამ განა შეიძლება ჩვენი დაავადებული ინტელიგენციის ასე ერთბაშად გადახალისება? ეს პირდაპირ შეუძლებელია.

რით გაუარესდა ჩვენი ინტელიგენციის მდგომარეობა, რით გაუარესდა მისი კულტურული ღირებულება? წინად ჩვენ გვყავდა დილეტანტი ინტელიგენცია და ვახერხებდით ამ დილეტანტი ინტელიგენციის ექსპორტს და ამრიგად ნელდებოდა შინაური ბაზარის კრიზისი, **ეხლა ჩვენი დილეტანტი ინტელიგენცია გლახა დილეტანტად გადაიქცა და ის საექსპორტო საქონლადაც აღარ ვარგა.—აი ეს არის მთელი ჩვენი ტრაგედია.**

ამას წინად ჩვენ გვესტუმრა რუსეთიდან საკავშირო ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ კალინინი. კალინინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ინტელიგენციის სიმრავლეს და აღნიშნა, რომ რუსეთი წარმოადგენს ამ ინტელიგენციის ერთად-ერთ დიდ ბაზარს, რომ ის ხელს შეუწყობს ქართველ ინტელიგენციის გამოყენებას რუსეთში. მაგრამ რა იცის ამხ. კალინინმა ჩვენი ინტელიგენციის ყოველი სიგლახე, რომ ის ამჟამად საექსპორტო საქონლადაც აღარ ვარგა?

სად უნდა წავიდეს ჩვენი თანამედროვე ინტელიგენტი, რომელსაც ქართულის მეტი არაფერი გაეგება? რა იცის კალინინმა, რომ ჩვენს ინტელიგენციას არ შეუძლია რუსულად უბრალო თხოვნის დაწერა, რომ რუსულად ვერ გააკეთებს მოხსენებას, ვერ დაამზადებს მასალას, ვერ შეასრულებს ვერავითარ დავალებას.

რუსული ენის პრობლემა არის ჩვენი ინტელიგენციის უმძიმესი საკითხი, ხოლო ხალხისათვის კი დიდი ეკონომიური საქმე.

მე ვამტკიცებ: ეს საკითხი ყველა საკითხზე ურთულესი საკითხია და ის უნდა გადაწყდეს მტკიცედ.

რუსულ ენას ჩვენს სკოლებსა და უნივერსიტეტში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს. კ. სულაქველიძე სავსებით მართალი იყო, როცა აღნიშნა უნივერსიტეტის სიძულვილი რუსული ენისადმი. ვისაც სინამდვილის გაგება შეუძლია ის დაგვეთანხმოს სავსებით, რომ ვინც რუსული ენას ებრძვის, ის სამარეს უთხრის ქართულ კულტურას და ქართულ ეკონომიკას. რუსული ენის ზედმიწევნით შესწავლა უნდა იყოს ჩვენი გულწრფელი ლოზუნგი და საქმე. არც ერთი სხვა ენა ჩვენ არ გვჭირია ისე, როგორც რუსული ენა. არც ერთი არ გვასაზრდოებს ჩვენ სულიერად და ხორციელად, როგორც რუსული ენა. **მხოლოდ რუსული ენით მიეცემა გზა ქართულ ინტელიგენციას, მხოლოდ რუსული ენის საშუალებით გაიხსნება რუსეთის ბაზარი და შესაძლებელიც გახდება ქართველი ინტელიგენციის ბუნებრივი ექსპორტი.**

ამბობენ, რომ რუსული ენა რევოლიუციის ენაა. ეს მართალია, მაგრამ ჩვენ მას მოვითხოვთ იმიტომ კი არა, რომ ის რევოლიუციის ენაა, არამედ ის ჩვენი ინტელიგენციის არსებობის ენაა, ჩვენი მარჩენალი ენაა, ჩვენი გაზრდის იარაღია.

ქართული ენის გამაგრება მხოლოდ რუსული ენით შეიძლება, ვინაიდან მარტო **ქართული ენა ნიშნავს მთელი ინტელიგენციის გადაშენებას.**

ვისაც უცხოეთის ენა აშინებს, ის უვიცი მოქალაქეა, ენა კი არ ზრდის ხალხს და ქვეყანას, არამედ ეკონომიკა. **მომეცით ეკონომიკა და მე თქვენ მოგცემთ საუკეთესო ენას.** დიდი ერის დიდი ენები ისპობიან, როცა ეკონომიურად ეცემა სახელმწიფო. ბერძნული ენა მსოფლიო ენა იყო ძველად, საბერძნეთის ეკონომიკის დაცემით ბერძნული ენის სამსოფლიო მნიშვნელობა მოისპო. ლათინურად ლაპარაკობდა არა მარტო რომი, არამედ ლონდონიც და პარიზიც, მაგრამ რომის ეკონომიკის დანგრევამ და ინგლისის და საფრანგეთის აყვავებამ შექმნა ინგლისური და ფრანგული ენები.

მხოლოდ ქართული ენის ამარა ქართული ინტელიგენცია ხელოვნურად ვამწყვდევთ პაწია ქვეყნის ფარგლებში. მარტო ქართული ენის საშუალებით ჩვენ გვებადება არა ინტელიგენცია, არამედ სახარელოდ გამზადებული ინტელიგენცია, ესე იგი უმდაბლესი ხარისხის ინტე[illegible] ინტელიგენცია მოშორდა გლეხს, როგორც მიწის მუშას, მაგრამ ის ვერ მივიდა მასწავლებელთან, სპეციალისტთან. მარტო ქართული ენის ინტელიგენციას მხოლოდ სწავლის მადა აქვს გაღვიძებული და მეტი არაფერი. იგი სოფელში ვერ მიდის, რომ მეურნეობას ხელი მოჰკიდოს იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობაში არ არის გაადვილებული და მაღალი ხარისხის შრომის პირობები, რომ ამპარტავნმა ჩვენმა ნახევრად ინტელიგენტმა სოფლის მეურნეობას ხელი მოჰკიდოს. ამავე დროს კი ის ქალაქისთვისაც უსარგებლოა და ზედმეტი ბარგი, ვინაიდან ამ ნახევარ ინტელიგენტს ვერ იტევს თვითონ ქალაქი.

თუ არ შეიცვალა არსებული მდგომარეობა, მე ვარწმუნებ ყველას, **რომ ქართველი ინტელიგენციის დაავადება იმ ზომას მიაღწევს, რომ თვით ქართული დაწესებულებანიც უარს იტყვიან ქართველი ინტელიგენციის მიღებაზე.** ესე იგი მარტო ქართული ენის გზით სიარული მოსპობს თვით ნაციონალიზაციის სისტემასაც, რომელზედაც ქართველი ინტელიგენცია სდგას.

განა დღესაც ქართული დაწესებულებანი ისეთ ქართველ მომუშავეს არ ირჩევენ, რომელთაც კარგათ იციან ქართულ ენასთან ერთად რუსული ენაც. განა ქართველი შოვინისტი, რუსული ენის მცოდნე, უკეთეს პირობებში არ იმყოფება.

დიახ, რუსული ენის საკითხი არის ძირითადი საკითხი ქართველი ინტელიგენციისათვის. შინ დარჩენილი ქართველი ინტელიგენციის მასა, რომელიც დღითი-დღე მრავლდება დაბალი ხარისხის მცოდნე ინტელიგენციით, წარმოადგენს არსებითად ყალბ ელემენტს, რომელიც ჯერ დაეძებს სამუშაოს, ხოლო როცა სამუშაოს ვერ იშოვნის, უნებლიეთ ხდება პროტესტის გუნებაზე, ათას ჭორებს მისდევს, წამოეგება ყოველგვარ ავანტიურას, ვინაიდან მას ავანტიურა და ურჩება ერთად-ერთ საქმედ.

ქართველ ინტელიგენციას გზა უნდა მიეცეს. მას ბაზარი უნდა გაეხსნას. იგი უნდა იყოს ბუნებრივი ექსპორტის მასალა, ამ დიდი მიზნების განალდება მხოლოდ და მხოლოდ რუსული ენისადმი განსაკუთრებული სიყვარულით შეიძლება.

თედო ღლონტი.

სრულიად საქართველოს ცაკის სესიას*)

დღეს კეკლუცი აფხაზეთი, ტურფა მხარე საოცნებო,
შვების ნამით მონათლული, გულწრფელი და სანაქებო,
თუმც კულტურით დაბლა მდგარი, მაგრამ მქონე მომავლის,
საქართველოს მეგობარი, მოყვარული თავის მხარის.

ერთის გრძნობით ანთებული, ერთი მიზნით გამსჭვალული,
თავისუფალ ქვეყნად ქმნილი, კარგად მცნობი მეგობარის,
სალამს გიძღვნის წრფელს, უნაზესს, გადაქცეულს სიხარულად,
და უსაზღვრო აღტაცებით თავს გევლებათ მშობლიურად.

მან მრავალი წლები ტანჯვის ბედთან ბრძოლას გააყოლა,
გამარჯვება მოიპოვა, ბოროტება თვით ჩაჰქოლა,
დღეს მის მოძმე ერთან ერთად მშენებლობის გზაზე მდგარი,
შრომის ქვეყნის შესამქნელად, იბრძვის სალად, მხნედ მედგარი.

მას აღარ ჰყავს ბატონები არც შრომაში, არც უფლებით,
შრომის ქვეყნად მონათლული ძმობას შესტრფის სავშვურ გზნებით,
დღეს უსაზღვრო სიხარულით იხსენიებს შრომის გმირებს,
ვინც მიზანი დაუსახა, გზა აჩვენა შრომის შვილებს.

და ვიხარით ყველა ერთად, შემოგცქერით აღგზნებული,
თქვენ, ვინც დაჰგმეთ ძველი წყობა და ჩაუდგით ახალს სული.
ჩვენს წინაშე თქვენი შრომა—ია-ვარდათ გადიშალა,
საამური სურნელებით ყოვლი არსი გაიმსჭვალა.

და ჩვენ გიცქერთ ყველა ერთად, გიცქერით და ვხარობთ სულით,
რომ ერთგული შრომის საქმეს ეკიდებით ნიჭით სრულით.

ქ. სოხუმი. 11 ივნისი.

შოთა სიხარულიძე.

---

*) ეს მისასალმებელი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა ავტორმა (შევირდია) ცაკის სესიაზე სოხუმში.

პატარა ფელეტონი

„ბრაზიანი კუზიანი"

„ფრანგებმა გარეკეს სირიელთა მთავრობა"
„ფრანგებმა კონტრიბუცია დაადევს რამოდენიმე სოფელს დამასკის ახლოს".
(დეპეშებიდან)

იყო და არა იყო რა,
იყო ქვეყანა სირია.
იგი საფრანგეთს ებარა
(ამის აღნიშვნა გვჭირია)
თუმცა საფრანგეთს თავისი
ეყოფა გასაჭირია,
სულ მინისტრების ძებნაში
გართულა ასი კვირეა,
მაინც არ იტეხს იხტიბარს
არ შეირცხვენა პირია,
თავის ტოლებში იკვეხნის:
„საპატრონო მყავს სირია".
—:—
მთავრობაში, რომ დასკუპდა
ბრიანი და რაულ პერე
(ამათ ამბავს დაწვრილებით
მოგიყვებით ცოტა მერე)
სირიაში გააგზავნეს
კომისარად ჟუვენელი
(შავი ჭირიც დამართია
მოსწყვეტია, თუნდა წელი)
უთხრეს: წადი, კომისარო,
სირიაში მბრძანებელად
და მას კარგად ეპატრონე
მოევლინე დრუზებს მხსნელად
ის სირია, ერთა ლიგამ
საპატრონოდ მოგვცა რაკი
მაშ, მადლობაც ათქმევინე:
დაადევი ზორბად ხარკი.
—:—
ჟუვენელი გაემგზავრა,
(არ გეგონოთ ეს არაკი)
სირიაში როგორ შეხვდენ
ახლა გვმართებს ლაპარაკი.
—:—
სირიაშიც, როგორც სხვაგან,
სცხოვრობს ხალხი, ჰქვიათ დრუზი
ფრანგების თქმით, სულ ყველაა
ან ყაჩაღი, ან ხუნხუზი.
მაგრამ, რადგან ყველას ჰკიცხავს
ვინც არ ჰმონებს მას „ფრანცუზი"
ბოდიშს ვითხოვთ, ვერ ვიჯერებთ
რომ ხუნხუზი იყოს დრუზი.
ის კი ვიცით: რომ ჩავიდა
ჟუვენელი, ფრანგთა „ტუზი",
დრუზმა ცხვირი გააქნია
მოიღერა, ვითომ ბუზი.
აქლემმაც კი, ამ პირუტყვმა,
ზურგს რომ ვინმე მუდამ უზის,
„უზენაესს" შეაქცია
მოგრეხილი თავის კუზი.
—:—
ერთი სიტყვით, მოკლეთ რომ ვსთქვათ,
მოხდა საქმე საკვირველი:
არვინ ბუზად არ ჩასთვალა
სირიაში ჟუვენელი.
გაგულისდა კომისარი
არ ელოდა ამას იგი,
მის კარებთან მთხოვნელების
ყოფილიყო უნდა რიგი.
სთქვა: მფარველის არ იციან
პატივი და კრძალვა, რიდი;
აქ აქლემიც უზრდელია
ხალხი კიდევ მასზე ფლიდი.
აწ ვასწავლო მაგათ უნდა
ზრდილობაცა და წესრიგი,
თორემ „ჩინი" გამიხუნდა
„საჩუქრების" ჩატყდა ხიდი.
ბრიანის და რაულ პერეს
ავასრულო უნდა ნება,
მე თუ არა ვინ აჩვენოს
დრუზებს ჩვენი ძლიერება.
სთქვა და მყისვე გააჩინა
თვის წესი და სამართალი:
დამასკს ტყვია დაუშინა
დრუზებს დაჰკრა თავში ხ
ბავშვებიც არ დაარჩინა,
რომ სთქვას კაცმა აქ მართალ
ყველას მოსცხო, დააშინა,
ბრალი იყო თუ მართალი.
ყველას ხარკი გააწერა,
მკვდარი იყო, თუ ცოცხალი
სისხლით გული მოიჯერა
და ნადავლით კიდევ თვალი.
და ამრიგად საფრანგეთის
სამართალი კვეთის
სირიაში „ქვეყნის მხსნელმა"
შეიტანა ჟუვენელმა.
—:—
დღეს კვლავ ბრაზობს კომისარ
ჯავრი მოსდის, გულზე სკდება
მას აქლემმა სტკიცა ვარი
არ ინება მორჩილება
კვლავ უზრდელად შეაქცია
მოგრეხილი თავის კუზი
თითქოს ამბობს: „რა კაცია
ჟუვენელი, ვიღაც ბუზი".
რისთვის ცხარობს კომისარი,
რატომ არის ბრაზიანი?!
ალბად თვითონ უნდა იყოს
აქლემივით კუზიანი.
კუზიანს კი გაასწორებს
სამუდამოდ ღრმა საფლავი.
ჟუნეველის ალაპისთვის
დავამზადოთ შილაფლავი.

ხოზიკა.

კოოპერაცია

ცეკავშირის გამგეობაში

ცეკავშირის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა მთელი რიგი საკითხებისა, მათ შორის საკითხი წინანდალის კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ გამგეობამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მიღებულ იქნეს ზომები კოოპერატივის გასაჯანსაღებლად, რისთვისაც საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა სამოქმედო გეგმის შედგენა იმ ანგარიშით, რომ კოოპერატივს სრულიად ჩამოეწეროს საკრედიტო ამხანაგობის ძველი დავალიანება 2000 მანეთის რაოდენობით, ხოლო დანარჩენი დავალიანება უნდა გადაეწეროს სამი წლის განმავლობაში გადასახდელად თამასუქებით. ვალის პირველი ნაწილი გადახდილ უნდა იქნეს 1½ წლის შემდეგ.

მეორე საკითხად განხილულ იქნა პროექტი მარილის სინდიკატთან დასადებ ხელშეკრულებისა, რომელიც დამტკიცებულ იქნა.

ამ ხელშეკრულების თანახმად მარილის სინდიკატი ვალდებულია შემოიტანოს ფოთში დასავლეთ საქართველოსათვის საჭირო რაოდენობა ევპატრიის მარილისა. აქედან მარილის გაცემა მოხდება ცეკავშირის დაკვეთით და თამასუქებით, კერძო პირებზე მარილის გაცემას სინდიკატი აწარმოებს ცეკავშირთან შეთანხმებით.

შემდეგ გამგეობამ გაარჩია კოოპერატიულ ქსელის საინსტრუქტორო რაიონებათ დაყოფის საკითხი. მთელი კოოპერატიული ქსელი დაყოფილი იქნა 141 საინსტრუქტორო რაიონად და თითოეულ რაიონზე მიმაგრებულია თითო ინსტრუქტორი. ზოგიერთი მაზრები დაყოფილი იქნენ რამოდენიმე რაიონებათ, მაგ. გორის მაზრა გაყოფილ იქნა ორ რაიონათ, ქუთაისის, ლეჩხუმის და რაჭის ორ რაიონათ, ზუგდიდის მაზრის რაიონს შეუერთდა ზემო-სვანეთის კოოპერატივი „მესტია". ქ. თბილისის კოოპერატივებზე ხელმძღვანელობა დაეკისრა ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებას. საინსტრუქტორო რაიონების გადიდების გამო გადიდებულ იქნა თვით ინსტრუქტორთა რაოდენობა, ორი პრაქტიკანტის ინსტრუქტორებათ დამტკიცებით და კოოპერატიულ კურსებიდან სამი კურსდამთავრებული პირის პრაქტიკანტად მოწვევით.

გაირჩა აგრეთვე ბიბლიოთეკის საკითხიც. ცეკავშირს ფრიად მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. იქ მრავლად მოიპოვება კოოპერატიული შინაარსის წიგნებიც.

გამგეობამ საჭიროდ სცნო ბიბლიოთეკის არაკოოპერატიული შინაარსის წიგნებიდან განტვირთვა და წმინდა კოოპერატიული ლიტერატურის დატოვება და გამდიდრება.

ტყვარჩელის ქვანახშირი

მუშაობა დაიწყო

მოსკოვიდან ჩამოსულმა გეოლოგ-ინჟენერთა კომისიამ უკვე დაიწყო მუშაობა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გამოსაკვლევად. კვლევა-ძიების ადგილზე ამჟამად შენდება შენობა მუშაკთა საერთო საცხოვრებლის და ქვა-ნახშირის გამომკვლევ კომისიის კანტორის მოსათავსებლად. უკვე დამთავრებულია დროებითი ბანაკის აგება ხელიქვა-არაშიყვარის რაიონში. გაყვანილია ბილიკი სოფელ ტყვარჩელიდან სამუშაო ადგილებამდე. დამთავრებულია აგრეთვე გეოლოგიური, საკვლევ-ტოპოგრაფიული და სამეურნეო-ადმინისტრატიული ნაწილების სამმართველოთა ორგანიზაცია.

ქვა-ნახშირის მადნების გამომკვლევმა გეოლოგ-ინჟენერთა პარტიის მიერ აღმოჩენილ იქნა სამი მივიწყებული მაღარო, რომელიც ამჟამად ქვებით და მიწით არის ამოვსებული. დაწყებულია აღმოჩენილი მაღაროების გაწმენდა და შეკეთება. ამ მუშაობის დასრულების შემდეგ დაიწყება ქვა-ნახშირის ამოღება. დაწყებულია აგრეთვე ტყვარჩელის ნახშირით მდიდარი მიდამოების გეოლოგიური დათვალიერება.

ალაგ-ალაგ უკვე აღნიშნულია ადგილები, სადაც ამ მოკლე ხანში დაიწყება მაღაროების ამოთხრა.

მიწის და კლდის სამუშაოებზე მოწვეულნი არიან ადგილობრივი გლეხები. ჯერ-ჯერობით სამუშაო ადგილებზე მოუგვარებელია საკვები პროდუქტების მიწოდების საქმე. რის გამო საკვები პროდუქტების დიდი ნაკლებობაა. აფხაზეთის სახალხო კომისართა და ს. მ. უ. ს. მიერ მიღებულია ზომები ამ პროდუქტების საკმარისი რაოდენობით მისაწოდებლათ.

მიწათმოწყობა

მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ მაზრებში მივლინებული იყვნენ რევიზორები მიწათმომწყობ პარტიების მუშაობის გამოსაკვლევათ.

მიწათმოწყობის საქმის მდგომარეობის გამოკვლევა უკვე დათავდა გორის და სიღნაღის მაზრებში. ამჟამად რევიზია სწარმოებს თელავის მაზრაში.

გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო სამმართველომ გაგზავნა ინსტრუქტორები კახეთში გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ მევენახეობის აღდგენის საქმეში.

კახეთში ამჟამად ძლიერ ჩქარის ტემპით მიმდინარეობს ახალი ვენახების გაშენება.

მანქანების შეფასება

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა აირჩიოს განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს ამოირჩიოს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილი იარაღ-მანქანები და მასალები და გამოიმუშაოს გეგმა ამ მანქანების გასანაწილებლად ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებს შორის.

კომისიაში შედიან ა.-კ. სახელმწიფო-საგეგმო კომისიის, სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს „სელმაშის", სასოფლო-სამეურნეო ბანკის და შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები.

ელექტროფიკაცია

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ გაანაწილა საკავშირო მთავრობის მიერ ამიერ-კავკასიაში ელექტროფიკაციისათვის გადადებული თანხა 695 ათასი მანეთი შემდეგი სახით:

სოხუმის ჰიდრო-ელსადგურს მიეცა—50 ათასი მანეთი, ერევნისას—225 ათასი, აბაშის ჰიდრო-ელსადგურის დასამთავრებლად გადადებულია—77 ათასი, ნუხის—68 ათასი, აჭარის წყლის—225 ათასი და იჯევანის—70 ათასი მანეთი.

გამოფენის ქრონიკა

აკადემიური გუნდის კონცერტი

დღეს გამოფენაზე გაიმართება აკადემიური გუნდის კონცერტი. კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით. შესრულებული იქნება საბჭოთა კავშირში მცხოვრებ სხვადასხვა ერების სიმღერები.

1.500 ექსკურსანტი

დღევანდლამდე გამოფენა დაათვალიერა 1.500 რკინისგზელმა; კიდევ განზრახულია გამოფენაზე გატარებული იქნეს 3000 რკინისგზელი.

სიმფონიური კონცერტები

სიმფონიური კონცერტების სეზონი გამოფენაზე თავდება მიმდინარე კვირაში; უკანასკნე-

პროფ. კ. ამირაჯიბის ლექცია

შაბათს, 26 ივნისს, გამოფენაზე პროფ. კ. ამირაჯიბი ლექციას წაიკითხავს ტრაქტორების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

აფხაზეთის მაზრკომების მდივნების თათბირი

აფხაზეთის მაზრკომების და გამოყოფილი უჯრედების მდივნების თათბირზე მოსმენილი იქნა მოხსენებები მერხეულის, მუგუძირხვის და პროკვემში გამოყოფილ უჯრედების მუშაობის შესახებ. მიღწევებთან ერთად თათბირმა აღნიშნა რამოდენიმე ნაკლი უჯრედების მუშაობაში.

1) უჯრედების წევრები ხშირად გაურბიან კომუჯრედის ამა თუ იმ დავალებებს.

2) უჯრედების მიერ არ არის მიღებული არავითარი ღონისძიებები სოფლის ინტელიგენციის საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებში მუშაობისთვის ჩასაბმელად.

3) თითქმის ყველა სოფლის უჯრედებში პოლიტცოდნა წევრებს შორის სუსტია, თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა ცხოვრებაში გასატარებლად.

1 გაძლიერდეს ხელმძღვანელობა უჯრედებზე პოლიტმეცადინეობის და კითხვების დამუშავების მხრივ.

2. მიმართული იქნეს მუშაობა იმ მხრივ, რომ გაძლიერდეს უჯრედების წევრთა აქტივობა.

3. უჯრედების ღია კრებებზე ხშირად უნდა ისმებოდეს კითხვები სოფლის მეურნეობის შესახებ, ამისათვის გამოყენებული უნდა იქნენ სოფლის აგრონომები.

4. პოლიტცოდნის მისაღებად იქნეს ახლო მომავალში დაარსებული მდივნების კურსები.

5. შემოღებული უნდა იქნეს უჯრედებში ჯგუფიანი მუშაობა.

6. ჩაბმული უნდა იქნეს საზოგადოებრივ მუშაობაში სოფლის ინტელიგენცია; მასწავლებლობა, აგრონომები, ექიმები და სხვა.

7. კომკავშირის აქტიური წევრები გადაირიცხონ კომპარტიის რიგებში.

8. გაძლიერდეს ხელმძღვანელობა ქალთა ორგანიზაციების და, მიმაგრებულ ამხანაგების დელეგატ ქალთა შორის მუშაობაზე.

9. შემოღებულ იქნეს ღარიბეს გლეხების კოოპერატივში ჩაწერა წევრებად და გაუგრძელდეს მათ ბაჟის გადახდის ვადა.

10. გაძლიერებულ იქნეს მუშაობა პარტწევრების შორის წერა-კითხვის უცოდინარობის საბოლოოდ მოსასპობად.

№.

რა სთქვა ქალაქის რაიკომის გაფართოებულმა პლენუმმა

I. მომჭირნეობის ლოზუნგი სწორად არ არის გაგებული

პლენუმმა გაუკეთა რა ჯამი უპარტიოთა კონფერენციის მუშაობას დაადასტურა, რომ პარტიის ლოზუნგი „მომჭირნეობის რეჟიმი"-ს შესახებ, ყველგან სწორად არ არის გაგებული. აღნიშნული ლოზუნგის გატარება ზოგან მუშათა შემცირებაში და წარმოებათა გეგმების შემცირებაში გამოიხატა.

ამის გამო პლენუმმა საჭიროდ დაინახა ფართო პარტიულ და უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია „მომჭირნეობის რეჟიმი"-ს საკითხის გარშემო და განმარტებითი კომპანიის ჩატარება უპარტიოთა ფართო კრებებზე. ამავე დროს გაძლიერებული უნდა იქნეს კომუჯრედების მხრით კონტროლი ადგილებზე არსებულ „მომჭირნეობის რეჟიმის" გამტარებელ კომისიების მუშაობაზე.

II მეტი ყურადღება სოფელს

პლენუმმა მიაქცია ყურადღება მუშა-მოსამსახურეთა ინტერესის ზრდას სოფლად წარმოებულ მუშაობის გაცნობის საქმეში. ამის გამო საჭიროდ დაინახა მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასის წინაშე პერიოდულად გააშუქოს პარტიის მიერ მიღებული ღონისძიებანი სოფლის მუშაობაში. საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა მიექცეს ყურადღება კულტ-საშეფო მუშაობას და გამოყენებულ იქნას კულტ-საშეფო და შეფებულებაში მომავალი ძალები ღარიბესი გლეხობის დასარაზმავად.

გ. დირექტივა კომკავშირს

პლენუმმა კომკავშირის ქალაქის რაიონულ ორგანიზაციის საერთო ზრდა დამაკმაყოფილებლად აღიარა.

პლენუმი ადასტურებს, რომ ორგანიზაციაში მუშათა პროცენტი შემცირდა. თუ 1/VIII-25 წ. იყო 49.9% მუშა-ახალგაზრდობისა, 1/VI-26 წლისათვის არის 47,7%, არა საკმაოდაა მიზიდული კომკავშირის რიგებში შინამრეწველობაში ჩაბმული ახალგაზრდობა და გლეხური ახალგაზრდობა.

შემცირდა პარტკადრი ორგანიზაციაში საერთოდ და არ ჰყავს ასეთი განსაკუთრებით კავშირის გლეხურ ნაწილს. მაქსიმალურად მიზიდულ უნდა იქნას კომკავშირის რიგებში მუშა-ახალგაზრდობა აგრეთვე მიზიდულ უნდა იქნას კავშირში კუსტარული ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. სოფლის უჯრედების გამაგრებით და მისი მუშაობის გაძლიერებით უპარტიოთა შორის, ჩათრეულ უნდა იქნას კომკავშირის რიგებში მოჯამაგირეები, ღარიბესი და საუკეთესო ნაწილი საშუალო გლეხური ახალგაზრდობისა. გატარდეს მუშაობა ქალთა განყოფილებებთან ერთად ქალების კომკავშირის რიგებში ჩასაბმელად. საჭიროების მიხედვით ჩამორჩენილ სოფლებში უნდა დაარსდეს ცალკე ქალთა უჯრედები.

პლენუმმა რაიკომს დაავალა მიაქციოს დიდი ყურადღება კომკავშირში პარტკადრის შექმნის საკითხს, პირველ რიგში მუშების მოჯამაგირეების, ღარიბესი და საშუალო გლეხკავშირელთა პარტიაში მიღების გზით.

ამავე დროს პარტიაში გადაყვანას არ უნდა მიეცეს კამპანიის ხასიათი, არამედ ის უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად. აგრეთვე კომკავშირის კადრის უზრუნველსაყოფად პიონერთა ორგანიზაციაში უნდა გაძლიერდეს პიონერთა საუკეთესო ნაწილის კომკავშირის რიგებში მიღება.

მუშაობაც ასეთი უნდა

(მამათის თემი, ოზურგ. მაზრა).

უნდა ითქვას რომ, თემურ სისტემაზე გადასვლამ საგრძნობი შედეგები მოგვცა არა მარტო პარტიულ არამედ მთელ რიგ სხვა მუშაობაში.

ზემო აღნიშნულ თემში პარტმუშაობა უწინ მოისუსტებდა სხვადასხვაგვარ მიზეზების გამო პარტ აქტივი სრულებით არ იყო და სხვა.

მაგრამ დეკემბრის შემდეგ, რაც არჩეულ იქნა თემკომი მდგომარეობა შეიცვალა. ჩამოყალიბდა აქტივისტთა კადრი. გაძლიერდა კავშირი უპარტიოებთან და ა. ლ. კავშირის უჯრედთან და საერთოდ და მთელ თემში პარტიული მუშაობა გაუმჯობესდა. ეხლა თვითეული სოფლის უჯრედი მართავს 15 დღეში ერთხელ ღია კრებას. კრებებს უპარტიოებიც ბლომად ესწრებიან და მონაწილეობას იღებენ კამათში.

ახალი აქტივი წამოყენებულ იქნა სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე. **მ.**

პარტიული ქრონიკა

— მეთოდიური ბიუროს დაარსება. ს. კ. პ. ც. კ. მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებასთან ამ რამოდენიმე ხნის წინად დაარსდა მეთოდიური ბიურო, რომლის მიზანია, როგორც ცენტრიდან, ისე ადგილებიდან—მაზრებიდან მიღებული სხვადასხვა მასალების გადასინჯვა და ადგილობრივი პირობების მიხედვით გადამუშავება.

ზემოხსენებული ბიუროს სხდომა შესდგა 15-აპრილს სამშაბათს, რომელსაც დაესწრო ბიურო მთელი შემადგენლობა. ამ სხდომაზე გადასინჯული იქნა სოფლის უჯრედების მიერ გამოყოფილი ორგანიზატორთა გადასამზადებელი 1-თვიანი კურსების პროგრამა, მასალები კლუბების და ქალთა კუთხეების მუშაობის შესახებ და აგრეთვე სოფლის გლეხ ქალთა სადელეგატო კრებების პროგრამის თანახმად შემუშავებული მასალები, რომელიც უნდა გამოიცეს მოკლე ხანში წიგნათ. ყველა აღნიშნული მასალები გადაეცა გადასაშინჯათ გადასამუშავებლათ ბიუროს წევრებს.

ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავეთა თათბირი. დღეს გაიხსნება საკადრო კოოპერაციის ა. კ. სასოფლო კომიტეტის მიერ მოწვეული ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავეთა თათბირი.

თბ. საბჭოს სექციებში

კომუნალური სექცია

კომუნალურ სექციის მორიგ სხდომაზე წყალსადენის მდგომარეობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ წყალსადენის გამოსაკვლევად არჩეულ საგანგებო კომისიის სახელით ამხ. ს. ქეიშვილის მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი კონკრეტიული ღონისძიებანი.

წყალსადენის სათავე ადგილების სისუფთავის დასაცავად შემოღობილი უნდა იქნეს ჯებირი; ჯებირებით უნდა იქნეს შემოღობილი აგრეთვე წყალსადენის მთავარი მკვებავი აუზი იმ მიზნით, რომ იგი დაცულ იქნეს ნიაღვრებისაგან; საფუძვლიანად შეკეთებული უნდა იქნეს წყალსადენის სადგურის შენობა, როგორც გარედან, ისე შიგნით; ვინაიდან სახელმწიფო დაწესებულებათა დავალიანება წყალსადენის მიმართ საგრძნობ თანხებს აღწევს (700 ათასს) მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები ამ დავალიანების დასაფარავად.

შემუშავებული უნდა იქნეს ინსტრუქციები წყლით სარგებლობის შესახებ და წიგნად გამოცემული დაურიგდეს აბონენტებს იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილ იქნეს ამჟამად არსებული გაუგებრობანი და კონფლიქტები.

მიეცეს წყალსადენის სამმართველოს უფლება ალმასკომის პრეზიდიუმთან წინასწარი შეთანხმებით შეიძინოს წყალსადენის მშენებლობისათვის საჭირო მასალები.

სექციამ კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მიიღო.

განათლების სექცია

განათლების სექციის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება შრომის სკოლების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისის შრომის სკოლებში სწავლების ახალი მეთოდების შემოღებამ სხვადასხვა გახნით კარგი ნაყოფი მოიღო. სკოლა დაუახლოვდა თანამედროვე ცხოვრებას. ალაგ სკოლების ნაყოფიერ მუშაობას აბრკოლებს სასწავლო ინსტრუმენტები და ფიზიკური კაბინეტები. მომავლისათვის სექციამ სურვილი გამოსთქვა შეკეთებულ იქნეს სკოლის შენობები.

ამასთან ერთად სექციამ გამოიტანა დადგენილება მოეწყობილ იქნეს თბილისის შრომის სკოლის მასწავლებელთა საბჭოთა კავშირის ცენტრებში ექსკურსიები სკოლების პრაქტიკული მუშაობის გასაცნობად.

სახ. განათლების ხელმძღვანელთა თათბირი

[illegible]

21 ივნისს საღამოს 8 საათზე საცდელ-საჩვენებელ სკოლის შენობაში სახალხო განათლების კომისარი ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქ. სამაზრო განათლების განყოფილებათა გამგეების მეხუთე და პოლიტგანათლების განყოფილებათა გამგეების მეოთხე კონფერენცია, რომელსაც გასაარჩევი და გადასაწყვეტი აქვს შემდეგი პრაქტიკული საკითხები. სკოლის ქსელი, სკოლის შენობები და მოწყობილობა, სკოლის ბიუჯეტი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, პროფტეხნიკური განათლება, ხელფასის საკითხები და სხვა.

პირველ ორ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები სახალხო განათლების და პოლიტგანათლების მდგომარეობის შესახებ გორის, რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთის, დუშეთის, ახალციხის, ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკის ოზურგეთის მაზრებში და ქ. ფოთში.

მომხსენებელთა გადმოცემით და დახასიათებით სახალხო განათლების საერთო მდგომარეობა ასეთია:

სკოლების საერთო მდგომარეობა

1925—26 საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის შემცირებამ სახალხო განათლების დარგში შეაფერხა სკოლების ქსელის გაფართოება და 4 წლედების და 7 წლედების ბუნებრივი ზრდით გამოწვეული ჯგუფების გამრავლება. მეტად განსაზღვრული ბიუჯეტი განათლების განყოფილებას საშუალებას უსპობს შეაკეთოს და აღადგინოს გაპარტახებული და დანგრეული სასკოლო შენობები. სკოლების უმრავლესობა მოთავსებულია უვარგისს და შეუფერებელ შენობებში, სკოლებს არ გააჩნია პირველი საჭიროების სასკოლო ინვენტარი: პარტები, სკამები, დაფები და სხვა სასწავლო ნივთები; სკოლებს არ ჰყავთ დარაჯები და მეტ წილად სკოლის მეურნეობა მოკლებულია სათანადო მოვლა-პატრონობას.

მასწავლებელთა კვალიფიკაცია

4 წლედის სკოლების მასწავლებელთა დიდი ნაწილი მოუმზადებელია და დღევანდელი შრომის სკოლის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. მომხსენებელთა დასკვნით, კომპლექსური მეთოდი, რომელიც სავსებით მიზანშეწონილი და მისაღებია ჩვენი ცხოვრებისათვის, ვერ ტარდება ცხოვრებაში სწორედ მასწავლებელთა მოუმზადებლობის და ადგილობრივი პირობების შეუფერებლობის გამო.

მომხსენებლები ერთხმად ხაზს უსვამენ მასწავლებელთა სიმცირეს 4 წლედებში. ყველა მაზრებში მრავალია ისეთი სკოლები, სადაც ერთ მასწავლებელს 3—4 ჯგუფთან უხდება მეცადინეობა. მომხსენებლებს საჭიროდ მიაჩნიათ ყოველ მაზრაში მოეწყოს 4—7 ასეთი სკოლა, სადაც ერთ მასწავლებელს დაკისრებული ექნება მხოლოდ ერთი ჯგუფის ხელმძღვანელობა.

4 წლედის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, განყოფილების გამგეები საჭიროდ სცნობენ მოეწყოს არა ერთი თვის, არამედ უფრო მეტ ვადიანი (3—4—6 თვიანი) სამასწავლებლო კურსები.

რაც შეეხება 7—9 წლედების მასწავლებლებს, ისინი უფრო მაღალი კვალიფიკაციის არიან და ამიტომ უფრო უკეთესად აქვთ დაყენებული მეცადინეობა სკოლებში.

7 წლედებში უმთავრესად მასწავლებლად მოწვეულნი არიან ისეთი პირები, რომელთაც დასრულებული აქვთ პედაგოგიური ტეხნიკუმები და საკმაოდ გაცნობილი არიან სწავლების ახალ პრინციპებს და მეთოდს.

მომხსენებლები საჭიროდ სცნობენ, რომ 9 წლედების სპეციალური ჯგუფების მასწავლებელთა ხელფასი გაუთანასწორდეს სპეცტეხნიკუმების მასწავლებელთა ჯამაგირს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია სპეც. საგნების მასწავლებელთა მიერ სკოლების მასსიური მიტოვება.

ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან

მასწავლებლობის ურთიერთობა კომკავშირის პიონერთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან დამაკმაყოფილებელია.

მომხსენებლები ეხებიან აგრეთვე სკოლებში მოწყობილ მოწაფეთა თვითმართველობის კომიტეტებს, რომელთაც უკვე გარკვეული ფუნქციები აქვთ [illegible]. მოწაფეთა თვითმართველობები დიდ ინტერესს იჩენენ არა მარტო ახალი სკოლის პრინციპების და მეთოდის არამედ სკოლის მეურნეობის მიმართაც. ხშირათ მწვავეთ კომიტეტები კისრულობენ სკოლის შენობის და მეურნეობის მოვლა-პატრონობას.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები

სკოლის ყველაზე უფრო შესაფერ ტიპად ჩვენი სოფლისათვის მომხსენებლებს მიაჩნიათ გლეხური ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც მოდექ და პრაქტიკულ ცოდნას აძლევს ახალგაზრდობას.

მომხსენებელთა გადმოცემით ყველგან, სადაც კი გლეხური ახალგაზრდობის სკოლა არსებობს, იგი ადგილობრივი გლეხობისათვის იქცა საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებათ, რომელიც სასარგებლო ცოდნას ავრცელებს მოსახლეობაში.

გლეხის შვილები დიდი ხალისით ეტანებიან ასეთი ტიპის სკოლებს. ამ სკოლებში მეცადინეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა კიდევ უფრო მომზადებული მასწავლებლები, ინვენტარი და საცდელ-საჩვენებელი მინდვრები.

მომხსენებლებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, თუ 7 წლედები მეცადინეობის ხასიათით დაუახლოვდება გლეხური ახალგაზრდობის სკოლებს.

გამგეები მომავალი სამოსწავლო წლისათვის მოითხოვენ სკოლების გამრავლებას განსაკუთრებით იმავე რაიონებში, სადაც სოფლები ერთმანეთს დიდი მანძილით არიან დაშორებულნი.

პოლიტ-განათლება

მაზრაში არსებულ პოლიტ-განათლების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და შენახვა დაკისრებული აქვთ პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს, საზ. „წერკომსს" და სამაზრო ალმასკომს. მომხსენებელნი აღნიშნავენ; იმდენად გამორკვეულია ადგილობრივი ბიუჯეტის მდგომარეობა ამ დარგში, რომ მოუხერხებელი ხდება გეგმით გათვალისწინებული ქსელის დაწესება და არსებული პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ნივთიერად უზრუნველყოფა.

პოლიტ- განათლების დაწესებულებები რობენ, წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, ქოხ-სამკითხველოები და სამეურნეო განხრის წითელი კუთხეები. ქოხ-სამკითხველოების ნაყოფიერ მუშაობას აბრკოლებს მომზადებულ ხელმძღვანელების უყოლობა. მცოდნე პირი ქოხ-სამკითხველოს ხელმძღვანელად არ მოდის, რადგან თვიური ჯამაგირი 9—12 მანეთს არ აღემატება. მომხსენებლები საჭიროდ სთვლიან რომ ყოველ თვეში მოეწყოს საცდელ-საჩვენებელი ქოხ-სამკითხველო, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს მთავრობას სხვადასხვა კამპანიის ჩატარების დროს.

მომხსენებელთა აზრით, სამეურნეო და პოლიტიკურ ლიტერატურის გარდა, ქოხ-სამკითხველოებს უნდა დაეუგზავნოთ გლეხისათვის გასაგებ ენაზე დაწერილი ამჟამად მხატვრული ლიტერატურაც, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

პასიური წინააღმდეგობის შესახებ

მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას წინ ეღობება ჩვენი პასუხისმგებელ სამეურნეო მუშაკთა ერთი ნაწილის გულგრილი დამოკიდებულება ამ ლოზუნგის მიმართ. ხშირად გაიგონებთ ასეთ სიტყვებს: „მე მოსაჭერი და დასაზოგი არაფერი მაქვს, ჩემს დაწესებულებაში თავიდანვე ყველაფერი დაზოგვილი და გამოზომილი იყო"-ო.

ეს პასუხი წინააღმდეგობაა მომჭირნეობის ლოზუნგის გატარების საქმეში. რაც უნდა ხელმომჭირნე და დაზოგვილი მუშაკი არ ყოფილიყო, ამა თუ იმ დაწესებულება-წარმოების ხელმძღვანელი, შეუძლებელია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ დაწესებულებაში თუ წარმოებაში არ მოიძებნოს ისეთი რამ, რაც ზედმეტ ბარგად აწევს სალაროს. ბოლოს და ბოლოს მართლაც, რომ მოიძებნოს ისეთი წარმოება ან დაწესებულება, სადაც მომჭირნეობა თავიდანვე სასტიკად ტარდებოდა, ეს იმას სრულიადაც არ ჰნიშნავს, რომ ამ დაწესებულება-წარმოებაში არ შეიძლებოდეს მომჭირნეობის მხრივ კიდევ რაიმეს გაკეთება.

სხვას რომ თავი დავანებოთ, საჭიროა თუნდაც იმ რეჟიმის დაცვა-განმტკიცებაზე ზრუნვა, რომელიც ზოგიერთ თავმომწონე სამეურნეო მუშაკის აზრით, მას უკვე თავიდანვე ჰქონდა განხორციელებული, საჭიროა ამ მომჭირნეობის გაფართოება და განვითარება.

ასე რომ, ხელის დაბანის პოლიტიკა, პილატესებური დამოკიდებულება მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიისადმი ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელია. ამიტომ ამგვარ სულისკვეთებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეხადოს.

ვინ უნდა აწარმოოს ასეთი ბრძოლა? პირველყოვლისა თვით მშრომელ მასებმა მათი ძირითადი ორგანიზაციების საშუალებით. განსაკუთრებული მოვალეობა აწევს ამ მხრივ დაწესებულება-წარმოებებთან არსებულ პარტიულ ორგანოებს. პარტიისა და კომკავშირის უჯრედებმა, თავიანთ ფრაქციების საშუალებით უნდა წამოაყენონ კითხვა ქარხკომში თუ ადგილკომში, რომ ადმინისტრაციამ სისტემატიურად აკეთოს მოხსენებები წარმოებაზე საქმის მსვლელობის შესახებ. ამასთანავე ძირითად პარტორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ, თავიანთ წევრების საშუალებით, ხელმძღვანელობა სარევიზიო კომისიათა მუშაობაზე.

გარდა ამისა, პარტიისა და კომკავშირის წევრები მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ წარმოება-დაწესებულებაში მუყაითი მუშაობით, შრომის დისციპლინით, საზოგადო ქონებისადმი ფრთხილი მოპყრობით, სამუშაო იარაღების მოვლა-შენახვით და სხვა.

პარტორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ თავიანთ გარშემო უპარტიო მასა, მომჭირნეობის რეჟიმი უნდა გადააქციონ ყოველდღიურ მუშაობის ამოცანათ. ისინი არ უნდა ელოდნონ, სანამ მათ დაწესებულებაში ცენტრიდან ან ზემომდგომარე ორგანოდან დანიშნული კომისია მივა, ან სანამ თვით ადმინისტრაცია „მოიფხანს თავს" მომჭირნეობის პრაქტიკულ ნაბიჯების გადასადგმელად.

მომჭირნეობის რეჟიმი გამოცხადებულია არა დროებით ან ნაწილობრივ ამოცანათ, ის ხანგრძლივათ და სერიოზულათაა შემოღებული, ის ერთნაირათ სავალდებულოა ყველა სახელმწიფო - საზოგადოებრივ დაწესებულებებისათვის. ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენ, ძირითად პარტიულ ორგანიზაციათა მუშაკებს და ყველა იმ სამეურნეო მუშაკებს, რომელნიც პასიურ წინააღმდეგობით ხვდებიან მომჭირნეობის ლოზუნგს.

ნ. ვლანი.

როგორ „მუშაობს" ელექტროტრესტი

გასაბჭოებამდე გარე-კახეთში არსებობდა ამხ-ბა „იორი", რომელსაც განზრახული ჰქონდა სოფ. ხაშმში გადაეკეთებია წისქვილი ჰიდრო-ელექტრო სადგურად.

1924 წელში დამტკიცებული იქნა, რომ წისქვილი არ გადაკეთდებოდა ჰიდრო-ელსადგურად. მიუხედავად ამისა, ცენტრალური რაიონის ელექტრო-ტეხნიკურმა ტრესტმა მაინც იკისრა ეს საქმე და რაიონულ ალმასკომს აღუთქვა, რომ ოთხ თვეში ჩააბარებდა გამზადებულ ელექტრო-სადგურს.

ტრესტსა და რაიონულ ალმასკომს შორის დადებული იქნა ხელშეკრულება, რომელსაც ტრესტის მხრიდან ხელი მოაწერა სალაყაიამ; სხვათა შორის ეს უკანასკნელი, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, სამი თვით ადრე დაესწრო ამხ-ბა „იორი"-ს წევრთა საერთო კრებას, რომელმაც მიზანშეწონილად არ მიიჩნია წისქვილის გადაკეთება ჰიდრო-სადგურად.

დრო გადიოდა და სადგურის დამთავრებას ბოლო არ უჩანდა; მუშაობას ინჟენერის მაგივრად აწარმოებდა ჯერ ტეხნიკოსი და შემდეგ მონტიორი. ხელშეკრულება დროზე არ იქნა შესრულებული.

12 თვის გასვლის შემდეგ სახელმწიფო ელექტრო-ტრესტმა სადგურის სამონტაჟო მუშაობა იჯარით გადასცა მესამე პირს, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ სადგური დაუმთავრებლად ჩააბარეს რაიალმასკომს. სადგური არ ამუშავდა ტურბინების უვარგისობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ სადგური დამთავრებული არ იქნა, სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი მაინც მოითხოვდა ალმასკომისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას მთლიანად.

ეს საკითხი გაირჩა საქ. საგეგმო კომისიაში, რომელმაც დაადგინა უარი ეთქვას ელექტრო-ტრესტს ფულზე და წინადადება მიეცეს მას უკან წაიღოს სადგურის მოწყობილობა და აუნაზღაუროს გლეხებს ზარალი (შრომა და მასალები).

პრესა მომჭირნეობის შესახებ

სინათლის რეკლამა

მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით მწვავეთ დაისვა საკითხი სარეკლამო ხარჯების შემცირების შესახებ. ზოგიერთან ეს ისე გაიგეს, რომ ერთი ხელის მოსმით აღკვეთს ყოველგვარ რეკლამის გაცემა, მიუხედავათ იმისა, საჭირო იყო თუ არა ასეთი ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებისათვის.

რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა ნორმალურათ ჩაგვეთვალა. რეკლამას ჩვენს პირობებში აქვს არა მარტო ის დანიშნულება, რომ უთუოდ გაასაღოს საქონელი, არამედ რეკლამა იგივე სამეურნეო პროპაგანდაა, რომელიც ამავე დროს უადვილებს მყიდველს საქონლის შერჩევას და გამოძებნას.

იმ შემთხვევაში, როცა ბაზარზე რომელიმე საქონლის ნაკლებობაა, ცხადია, აქ ამ საქონელზე რეკლამა საჭირო არაა, წინად კი რეკლამის საქმეში ისეთი არევ-დარევა იყო, რომ ამგვარ მოსაზრებებს იშვიათად თუ ვინმე დაგიდევდა. ეხლაც დარჩა ამ დაუდევრობის ერთი სახე. როგორც ვიცით, რეკლამა მრავალნაირია და ამ მრავალფეროვანებაში განსაკუთრებით განირჩევა სინათლის რეკლამა.

მაღაზიების გამოფენები, აბრები, დაწესებულება-წარმოებათა წარწერები და სხვა თითქმის ყოველთვის მთელი ღამეობით გაჩირაღდნებულია. უსარგებლოთ იხარჯება ელექტრონის ენერგია და ფუჭდება განათების მოწყობილობა.

გაზეთ „პრავდა"-ში ამხ. მივნიჩენკო ამის შესახებ სწერს:

„ბევრ ქალაქებში საღამოობით საუცხოვოთ გაშუქებულია მაღაზიების ფანჯრები, განსაკუთრებით განირჩევიან ამ მხრივ სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭროები. სინათლით უკეთებენ რეკლამას ღვინოს, დელიკატებს, საშაქარლამო და სხვა არაპირველმოთხოვნილების საგნებს. ამავე დროს თითეულ მყიდველმა საუცხოვოთ იცის, სად რა იყიდება. რაც შეეხება სხვა სახის განათებას, რომელიც მიზნად ისახავს ქურდობასთან ბრძოლას, ამ განათების შემცირება ხუთჯერაც კი შეიძლება".

ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი დღეს ჩვენს დაბა-ქალაქებში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს „პრავდა", სინათლის რეკლამას ყველაზე მეტად სახელმწიფო და კოოპერატიული მაღაზიები ეტანება, კერძო ვაჭარმა იცის თავის ჯიბის ყაირათი და ამიტომ აქ ის განსაკუთრებულ მომჭირნეობას იჩენს.

ამიტომ სინათლის რეკლამა უნდა მნიშვნელოვნად შეიკვეცოს, რომ აღარ იწოდეს უმიზნოდ ელექტრონის ენერგია და არ ფუჭდებოდეს უსარგებლოთ განათების მოწყობილობა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საბავშვო ბაღი

ოზურგეთი, 22 ივნისი. გურიის ქალთა განყოფილება ოზურგეთში ხსნის საბავშვო ბაღს.

გამოფენაზე

ოზურგეთი 22 ივნისი. თბილისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაემგზავრა 29 გლეხ-ექსკურსანტი. გურიის ყოველ მნიშვნელოვან თემს ხვდა თითო ექსკურსანტი.

სამკურნალო პუნქტი

ახალ-სენაკი, 22 ივნისი. სოფელ ნოქალაქევში თემის აღმასკომმა ააგო ახალი შენობა სამკურნალო პუნქტისათვის.

ახალსენაკი, 22 ივნისი. ახალსენაკის პედაგოგიურმა ტეხნიკუმმა გამოუშვა 31 პედაგოგი.

ბარალეთის რაიონული საავადმყოფო

ახალქალაქი, 22 ივნისი. დღეს გაიხსნა ბარალეთის რაიონული საავადმყოფო, რომელიც დახმარებას გაუწევს 35 სოფელს.

უწერაზე

ონი, 22 ივნისი. აგარაკ უწერაზე დიდი მუშაობა სწარმოებს ვანების მისადგმ ოთახების, აუზების და საცხოვრებელ ბინების შესაკეთებლად.

ახალქალაქის მაზრა

სოფელ სათხას და არკიალის რაიონში მოვიდა ძლიერი სეტყვა. სეტყვამ დააზარალა ნათესები.

შორაპნის მაზრა

ძლიერი ნიაღვარის გამო ადიდენ ღელეები. სოფელ უხხელეთში, კარანაულში და სხვ. წალეკილია ყანები და ვენახები.

აჭარისტანი

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 22 ივნისი. მაისის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში მოვიდა უცხოეთიდან 39 გემი, რომელთაც შემოიტანეს სხვადასხვა ტვირთები 4.788.936 კილოგრამის რაოდენობით. ამავე დროის განმავლობაში გატანილ იქნა 77.542.620 კილო, უმთავრესად ნავთის პროდუქტები.

სატყეო მეურნეობა

ბათომი, 22 ივნისი. საზამთრო სეზონში აჭარისტანის სატყეო მეურნეობის წმინდა მოგება უდრის 11.700 მან. წინა წლებში კი ტყეების არარაციონალურ დამუშავების გამო შემოსავალი სრულებით არ იყო.

არხის გაყვანა

ბათომი, 22 ივნისი. ბათომის ქალაქის ალმასკომის სანიტარულ-ტეხნიკურო სექციამ არტაანის ყაზარმების და ქალაქის საავადმყოფოს რაიონში შეუდგა 4 ვერსის მანძილზე არხის გაყვანას.

გლეხთა სახლი ჩაქვში

ჩაქვა, 22 ივნისი. ჩაქვის თემის გლეხებმა უფასოთ დაამზადეს მთელი სატყეო მასალა გლეხთა სახლის ასაშენებლად.

წერილები

აღარ უნდა განმეორდეს

(წერილი ზესტაფონიდან)

განათლების კომისარიატს განზრახული აქვს ამ ზაფხულზე მოაწყოს ოთხ ადგილას ოთხწლედის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, კურსებს მხოლოდ მაშინ შეუძლია ნაყოფი მოიტანოს, როცა ლექტორ ხელმძღვანელები სათანადო მომზადებული იქნებიან.

გასულ წელს, მაგალითად, გადასამზადებელ კურსებს ზესტაფონში არავითარი ნაყოფი არ მოუტანია. ამის მიზეზი იყო ის, რომ კურსებს ხელმძღვანელობდა ანანია გოგუაძე, რომლის უმსგავსო მოქმედებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ აყალმაყალისა და ჩხუბის მეტი არაფერი არ კეთდებოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი. მასწავლებლებმა ლექტორებს თხოვეს ზოგიერთ გაუგებარ საკითხების ახსნა-განმარტება. გარდა ანანია გოგუაძისა, ყველა ლექტორი დასთანხმდნენ. ლექტორმა ალექსანდრე ნიქაშაძემ და კ. გორგაძემ კიდევაც დაიწყეს ახსნა-განმარტების მიცემა, როდესაც შეუხტა მათ მოქალაქე გოგუაძე და მოსთხოვა აუდიტორია დაეტოვებიათ. მიზეზად ასახელებდა: უჩემოდ არავის აქვს უფლება ახსნა-განმარტება მისცეს მსმენელებსო და ამან აღელვა მსმენელები და ნიქაშაძეს სთხოვეს განეგრძო მუშაობა. ნიქაშაძეც დათანხმდა. მაგრამ ანანია გოგუაძე კვლავ შეუვარდა მას და აუდიტორია ძალით დაატოვებია.

გოგუაძე გულმოსული გაიძახოდა: „მე ვარ გამგე, რასაც მინდა, იმას ვიზამ, ახლავე მილიციას დაუძახებ და ყველას დაგაჭერინებთ". გოგუაძის ასითმა საქციელმა დიდი გაკვირვება გამოიწვია მსმენელთა შორის და მას მხოლოდ გოგუაძის სიმთვრალით ხსნიდენ.

ატეხილ დავიდარაბამ მთელი ქალაქის ყურადღება მიიპყრო. სხვებთან ერთად გამოცხადდა პარტკომის მდივანი, ამხ. შარიქაძე, მაგრამ იმის მოსვლამაც სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ვინაიდან გოგუაძე ყველას ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდა.

ცოტა აკლდა, კინაღამ ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდა, რომ მსმენელებს არ მოეთმინათ. ქალი მსმენელები შეშინებული წივილ-კივილით გაცვივდნენ გარედ. მსმენელებმა სთხოვეს მონაწილეობა მიეღო საქმის გამოკვლევაში პარტკომის მდივანს, ამხ. შარიქაძეს, ზესტაფონის ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიხა შარიქაძეს და სხვებს. გამოირკვა, რასაკვირველია, გოგუაძის დანაშაულობა, მაგრამ ლექტორთა და ზოგიერთ ამხანაგთა ჩარევით მსმენელები დაშოშმინდენ, ოღონდ მოითხოვდნენ, რომ ეს ინციდენტი მოხსენებიდა განათლების კომისარიატს. მაგრამ გოგუაძის ასეთი საქციელი კომისარიატმა მგონი დღესაც არ იცის.

ამ ინციდენტის შემდეგ უფრო მეტი საშუალება მომეცა კურსების მდგომარეობას გავცნობოდი. გამოირკვა, რომ გოგუაძეს არაერთხელ დაუხევია კურსების კედლის გაზეთი.

როგორც აღვნიშნე, კურსების არსებობას დიდი სარგებლობა არ მოუტანია და ამის მთავარი მიზეზი კი გახდათ გამგის უვარგისობა. ჩემ მიერ ზემოხსენებული გარემოება კარგად იცის განათლების კომისარიატთან არსებულმა რკინისგზის სექციამ და მიკვირს, რატომ ხმას არ იღებს?

შ. ზესტაფონელი.

წითელი ჯვარი

(გურია)

ამ საზოგადოებას გურიაში, სამუშაო ასპარეზი ცუდი აქვს, მიუხედავად ამისა მან შესძლო მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენება. ამჟამად ამ საზ-ბაში ითვლება 2500-დე წევრი. გამგეობა შეუდგა გამონახვა სხვადასხვა წყაროები ფონდის გასაძლიერებლად; ამ მოკლე დროში შეაგროვეს 900 მანეთამდე. ფონდის გაძლიერების მიზნით აპირებენ „3 დღიურის" ჩატარებას.

გამგეობის საქმიანობა გამოიხატება შემდეგში: საქართველოს წითელი ჯვრის სა-ბის—ნაგომრის საექიმო პუნქტის შენობის დასამთავრებლად გაიგზავნა 500 მანეთი და დამთავრებამდე დახმარებას განაგრძობენ. ამავე პუნქტის—ბებია ქალს ყოველთვიურად გამგეობა აძლევს ჯამაგირს. ნაგომრის რაიონის მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია ამ პუნქტის დაარსებით.

ეხლახან გამგეობამ დახმარება მისცა საბავშვო სახლს—100 მანეთი. დაეხმარა გლეხ ცელაძეს 50 მანეთით, რომელსაც სრულიად გადაეწვა სახლ-კარი.

ეს საზოგადოება ფრიად სიმპატიურია და ამიტომაც მისი ავტორიტეტი ფართოვდება. საჭიროა ამ საზოგადოების ხელის შეწყობა და მისდამი უფრო მეტი ყურადღების მიქცევა სათანადო ორგანოების მიერ.

კ. უჯმაჯურიძე.

უნდა ვებრძოლოთ უდისციპლინობას

(წერილი [illegible])

ხშირადაა ასეთი შემთხვევა, როდესაც ჩვენი რაიადგილკომი იწვევს წევრთა საერთო კრებას და წევრების დიდი უმრავლესობა არ ესწრებიან. ადგილკომი იძულებულია კრება გადასდოს, რის გამო საქმე ფერხდება. ვინც წესდებას ემორჩილება, მათაც გული უცრუვდებათ მუშაობაზე, როდესაც ისინი არ ხედავენ რომ უდისციპლინოთა წინააღმდეგ არ იღებენ სათანადო ზომებს. ის ელემენტი კი, რომელიც კრებას არ ესწრება და მოვალეობას არ ასრულებს ცხადია, რომ არ გრძნობს პასუხისმგებლობას ორგანიზაციის წინაშე; ზოგი კი ამას შეგნებულად სჩადის, ზოგს კი შეუგნებლობით ემართება.

ამისათვის საჭიროა ადგილკომის ხელმძღვანელობით დაარსდეს პროფ-წრე რაიონის ცენტრში, სადაც ყოველ თვეში ერთჯერ უნდა იქნას მოწვეული წრის წევრთა კრება. წრეში სასურველია სავალდებულო იყოს თემის რწმუნებულების ჩარიცხვა და მათი კრებაზე დასწრება; წრის წევრები შეისწავლიან წევრთა უფლება-მოვალეობას, (რომელიც ბევრ ჩვენგანს სუსტად ესმის): ჩვენი პროფ-მოძრაობის ისტორიას. სხვადასხვა ქვეყნებში პროფმოძრაობას, ჩვენი ორგანიზაციის სტრუქტურას, პროფკავშირთა წევრების მოვალეობას და სხვა.

რწმუნებულები შეძლებისდაგვარად ამ საკითხებს გააშუქებენ სოფელში მომუშავე ჩვენი კავშირის წევრებს შორის.

ეს წრე ჩემი აზრით დიდ ნაყოფს მოგვცემს.

ამის შემდეგ საერთო მოვალეობას, ვინც გაექცევა და თავს გაარიდებს, უნდა იქნეს მათ საწინააღმდეგოთ მიღებული შემდეგი ზომები:

1. კრებაზე არ დასწრებისათვის კრებაზე შემდგარ ოქმის შენიშვნაში უნდა იქნეს აღნიშნული მათი სახელი და გვარი, ვინც საპატიო მიზეზის გარეშე არ დაესწრო კრებას, რომლის ასლი რასაკვირველია გადაეგზავნება სამ-პროფ ბიუროს;

2. ჯერ უნდა მიეცეს გაფრთხილება და შემდეგ კედლის გაზეთის საშუალებით უნდა გამოეცხადოს საყვედური და სხვა.

ამგვარათ ადრე თუ გვიან ამ უდისციპლინო ხალხსაც გამოვასწორებთ.

პერო.

წერილებიდან

ს. სანდარი, (ბორჩ. მ.)

6.000 დესეტინა მორწყულია. 1922 წელში მდინარე ალგეთზე გაკეთებული იქნა ხის აკვედუკი (წყლის ღარი), რომლის სიგრძეც 85 საჟ. უდრიდა. უკანასკნელ ხანებში ეს ღარი იმდენად დაზიანდა, რომ წყალს ველარ იჭერდა. ამიტომ წყალთა მეურნეობამ გადასწყვიტა ხის აკვედუკის რკინა-ბეტონის აკვედუკით შეცვლა, რაც დღეს სისრულეშია მოყვანილი. ამრიგათ მომავალში 6.000 დესეტინა მიწა უზრუნველყოფილი იქნება წყალით.

ს. ჯიმშერიშვილი.

მცხეთა

ხშირად ასეთი საღამოები. 12 ივნისს, მცხეთის სახალხო თეატრში, თბილისის ახალგაზრდათა დრამწრის მიერ დადგმული იყო წარმოდგენა. მცხეთელები დიდი ინტერესით მოელოდა ამ წარმოდგენას. ამიტომ იყო, რომ წარმოდგენას აურაცხელი ხალხი დაესწრო.

ახალგაზრდა სცენის მოყვარეების უნაკლო თამაში მაყურებლებში აღტაცებას იწვევდა.

მადლობის ღირსია თბილისელი ახალგაზრდათა დრამწრე და მცხეთის თეატრის გამგე თათარიშვილი—რომელიც ხელს უწყობდა წარმოდგენის ჩატარებას.

მუშა ა. გვ—ძე.

სოფლის ქრონიკა

— გორის მაზრაში ამჟამად არსებობს 25 საექიმო პუნქტები, საიდანაც უფასო საექიმო დახმარება ეძლევა ღარიბეს გლეხობას.

— შაზვენაში შეუდგენ ხე-ტყის სახერხ ქარხნის აგებას.

— სოფ. ყორნისში (სამხრეთ-ოსეთი) გაიხსნა წითელი ჯვრის საექიმო პუნქტი.

— სკოლები. გორის აღმასკომს განზრახული აქვს გააფართოვოს ახალგაზრდობის სკოლების ქსელი.

მუშათა ცხოვრება

ქიმიკოსთა მექანიკურ სახელოსნოში

ქიმიკოსთა მექანიკურ სახელოსნოში და ცენტრალურ საწყობში მუშაობს 77 მუშა-მოსამსახურე, მათ შორის ორი ქალი.

სახელოსნოში და საწყობში დაცულია სისუფთავე. მუშებს ეძლევათ თავის დროზე სპეცტანსაცმელები და ხელფასი; უფასოდ ჩაი; მოწყობილი აქვთ სასადილო; ეძლევათ უფასო აბანოს ბილეთები. მუშებს აქვთ მოწყობილი კლუბი, სამკითხველო, ჩატარდა მუშებში წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია; ყველა მუშები და მათი ოჯახის წევრები დაზღვეული არიან; სისტემატიურად ხდება მუშების ჯანმრთელობის გასინჯვა. მუშებს აქვთ მოწყობილი ურთიერთ დამხმარე სალარო; სალარო დიდ დახმარებას უწევს მუშებს.

არა აქვს ადგილი შრომის კანონების დარღვევას. მუშების საერთო კრებაზე იწვევიან ლექტორები, რომელნიც უკითხავენ მუშებს ლექციებს ლოთობის და ვენერიული ავადმყოფობის შესახებ.

შვებულება ეძლევათ მუშებს წელიწადში ერთი თვის ხანგრძლივობით. საშვებულებო ფულებს მუშებს აძლევენ დროზე.

1-ლი ივნისიდან დაიწყო გადაგზავნა დაღლილ მუშებისა დასასვენებელ სახლებში და ავადმყოფებისა კი კურორტებზე.

სახელოსნოში მოწყობილია სასწრაფო დამხმარე აფთიაქი.

საექიმო დახმარება დამაკმაყოფილებელია. მიღებულია ზომები ეკონომიის რეჟიმის კამპანიის ჩასატარებლად; ამისათვის არჩეულია კომისიები, რომელნიც უკვე შეუდგა მუშაობას.

შრომის დაცვის კომისია ენერგიულად მუშაობს: საწარმოო კომისიის მუშაობას ნაყოფი მოუღია წარმოების ასამაღლებლად უთავბოლო ხარჯების შემცირებით. კულტკომისიების მუშაობაში ჩაბმულია მუშათა მასის უმრავლესობა.

მუშა ვ. კალუკვაძე.

პენსიონერებში

დამზღვევ სალაროს ამჟამათ ათას ხუთასამდე პენსიონერი ჰყავს—ქალი-კაცი. მათ ეძლევათ პენსია შრომის უნარიანობა და ხელფასის კატეგორიის მიხედვით თვეში 13-50 მანეთამდე. პენსიონერები მხოლოდ მუშა ხალხია. ყველანი წესიერად და თავის დროზე ღებულობენ პენსიის თავ-თავიანთ უბნებიდან და შორს არ უხდებათ სიარული.

პენსიონერები უკიდურეს შემთხვევაში: ავადმყოფობა და სოფელში წასვლის გამო პენსიას წინადვე იღებენ და აგარაკი და დასასვენებელ სახლითაც სარგებლობენ უფასოდ.

პენსიონერები დეკრეტით დაპირებული პენსიის მომატებას მიიღებენ პირველ მკათათვიდან.

საზოგადოდ, პენსიის მხრივადაც მუშა-ხალხი უზრუნველყოფილია და დიდი ხნის ოცნება მათი უძლურობის დროს ხელის შეწყობაზე განხორციელებულია.

პენსიონერები აპირობენ დაარსონ პენსიონერთა კავშირი და გაიჩინონ საკუთარი გაზეთი, სადაც მოთავსებული იქნება ხოლმე მთავრობის და დამზღვევ სალაროს დეკრეტები და ცირკულიარები პენსიის შესახებ, აგრეთვე მშრომელ ხალხის ყოფა-ცხოვრება, საერთოდ.

ჭალარა მუშა.

მისაბაძი მაგალითი

ა. წ. 5 ივნისს საჭილაოს ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშათა საზაფხულო კლუბის ეზოში მოწყობილ იქნა საღამო-სეირნობა, მარანჭალის 4-წლიან შრომის სკოლის სასარგებლოდ. საღამოს მოწყობაში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა, მუშებმა. საღამოს გამგეებმა და დიასახლისებმა კი გამოიჩინეს არა ჩვეულებრივი ენერგია ამ დიად მიზნისათვის მოწყობილ საღამოს ჩასატარებლად. მათმა ენერგიულმა მუშაობამ ამ საღამოზე დასტოვა 250 მ. და 83 კ. შემოსავალი, რაც გადაეცა სკოლას.

ზემოხსენებული სკოლის საბჭო ულრმეს მადლობას უცხადებს შემდეგ საპატიო გამგეებსა და დიასახლისებს: ვანო ჯიჯელავას, ნატა, ნანეიშვილისას, გულიჯან მიქელაძისას, ელენა დუნდუასას, მარო ბრელიძისას, სერგო ქელბაქიანს, სოლომონ მიქელაძეს, გიორგი გაბაევს, სპირიდონ კაკაბაძეს, ექვთიმე გახოკიას და ყველა იმ პირებს, ვინც გაგვიწია დახმარება ამ დიად საქმის მოწყობაში.

მარანჭალის სკოლის საბჭოს პრეზიდიუმი.

ეს ვერაფერი დახმარებაა

დიდი ხანია, რაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა ცდილობდა მოეწყო ქვიშხეთში ყოფ. ყიფიანისეულ მამულში დასასვენებელი სახლი უძლურ მწერალთათვის, მაგრამ ეს საკითხი დღემდე ძლივს მოგვარდა და ისიც არა ხელსაყრელად.

ამ დასასვენებელ სახლში ეწყობა ერთი საერთო დიდი დარბაზი უფასოდ, ჭამა-სმა კი, დამსვენებლის ხარჯზე იქნება.

ვინაიდან ხანში შესული მწერლები, თითქმის ყველანი ხელმოკლე არიან, არ გააჩნიათ სახსარი, თავიანთ ხარჯზე იმოგზაურონ იქ და „დაისვენონ", ამიტომ ეს „სიამოვნება" უფრო მდიდარ ლიტერატორებს ერგებათ.

ეს კი ვერაფერი დახმარებაა: ჩემი ხარჯით ვინ დამიშლის, რომ სადაც მინდა, იქ დავისვენო? მარტო ბინის დათმობა,—ვერაფერი შეღავათია ღატაკ მწერლისთვის. იგი იმდენათ ბინას არ საჭიროებს, როგორც კვებას, ცოტად მოსალონიერებლად მაინც.

მწერალთა კავშირი კარგს იზამდა თუ „მადლს მარილსაც მოაყრიდეს".

მწერალი ჭალარა.

შენიშვნები

1. ქალთა ჩაბმა საბჭოთა-საალმშენებლო მუშაობაში

ოქტომბრის რევოლიუციამ მშრომელი ქალი სავსებით გაანთავისუფლა და გაათანასწორა მშრომელ მამაკაცთან. იგი არის აღჭურვილი ყველა იმ უფლებებით, რა უფლებითაც სარგებლობენ მამაკაცები საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. მიუხედავათ ამისა, მშრომელი ქალი ჯერ კიდევ ძალზე მცირე რაოდენობითაა ჩაბმული მუშაობაში. ქალებს ნაკლებად ვხედავთ ჩვენ წამოწყება-დაწესებულებებში; ნაკლებ მონაწილეობას იღებენ ისინი აგრეთვე პროფმუშაობაში, პრესაში და სხვ. იქაც კი, სადაც ქალთა შრომა მაქსიმალურად გამოყენებულია, როგორც ეს სჩანს, პროფკავშირთა მასალებიდან, მშრომელ ქალთა რაოდენობა არ აღემატება 12-17 პროცენტს.

ამას გარდა, ქალთა შრომა უმთავრესად გამოყენებულია დაბალ დარგებში; საპასუხისმგებლო ადგილებზე ქალები იშვიათად თუ მოიპოვებიან ხოლმე; ქალი არის უფრო ხშირად [illegible] კანტორის მოხელე, მანქანისტი, რეგისტრატორი, საქმის მწარმოებელი, დამლაგებელი, შიკრიკი და სხვ.

მაღალი თანამდებობა კი ქალებს იშვიათად უჭირავთ.

სამსახურში მიღების და დათხოვნის დროსაც ჩვენი წამოწყებები ბევრ შემთხვევებში უპირატესობას აძლევენ მამაკაცებს.

ყველაფერი ამის მთავარი მიზეზები ის არის, რომ ქალი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მომზადებული სახელმწიფო-საალმშენებლო მუშაობისათვის; მისი კვალიფიკაცია დაბალია; მასთან ერთად მშრომელი ქალი ჯერ კიდევ ვერ იჩენს სათანადო აქტივობას ამ დარგში; იგი ჯერ კიდევ პასივობითაა შეპყრობილი.

ამიტომ ჩვენ უმაღლეს პროფორგანოებს კულტ-განყოფილებებს და ქალთა ორგანიზაციებს მართებთ მიიღონ ყოველგვარი ზომები მშრომელი ქალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სათანადო კურსებზე და პროფტეხნიკურ ინდუსტრიალურ და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში უმუშევარ და უსაქმო მშრომელ ქალთა მოთავსებით.

ამას გარდა, მშრომელ ქალებს უნდა გაეწიოს ყოველგვარი დახმარება სამსახურში მიღებაში; ქალების სამსახურიდან დათხოვნაც უნდა ხდებოდეს იშვიათ შემთხვევებში, რომ მშრომელი ქალი არ გახდეს „ქუჩის სტუმარი" და ცხოვრების „უბედური გერი".

საჭიროა აგრეთვე ქალების პროფმუშაობაში მასიურად ჩაბმა და სხ.

2. საბინაო ამხანაგობათ მეტი ყურადღება

თბილისის ფარგლებში მოწყობილია თითქმის სამასამდე საბინაო საარენდო ამხანაგობანი, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საბჭოთა მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლები. აღნიშნული სახლების ბედ-იღბალს განაგებენ. თვით ამ სახლებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურენი თავიანთ გამგეობათა სახით. აღნიშნულ ამხანაგობათა მუშაობა მიმდინარეობს წარმატებით ყველგან, სადაც სახლებში არ ცხოვრობენ აღნიშნული სახლების ყოფ. პატრონები. იქ კი, სადაც ესენი ჯერ კიდევ შერჩენ, ისინი იწვევიან სხვადასხვა გვარ პროვოკაციას ამ ამხანაგობათა წინააღმდეგ. არ იხდიან ბინის ქირას 5-6 თვის განმავლობაში; სახელს უტეხენ ამხანაგობას და სხვ.

თვით მდგმურებიც ბევრგან ვერ იჩენენ სათანადო შეგნებას; უხეშად ეპყრობიან სახლებს; ბინის ქირას არ იხდიან; ამხანაგობის წესდებას და დადგენილებებს არ ემორჩილებიან; არღვევენ მცხოვრებთა მყუდროებას და სხ.

სწორედ მდგმურთა ასეთ ჯგუფს ეკუთვნიან პლეხანოვის პროსპ. მოთავსებული სახლი № 173, მკლავაძეები აკაკი და დომენტი ბერიშვილები, რომელნიც ამხანაგობამ გამორიცხა წევრობიდან; მაგრამ მაინც განაგრძობენ თარეშს.

ალმასკომი და საბინაო კავშირი უნდა დაეხმარონ ამხანაგობათ აღნიშნულ დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად.

განი.

სეტყვა და ნიაღვარი

ბორჩალოს მაზრა

უკანასკნელ დღეებში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოვიდა კოკისპირული წვიმები, და ალაგ-ალაგ სეტყვა, რასაც მოჰყვა ნიაღვრები.

ლიუქსემბურგიდან (ბორჩ. მაზრა) რედაქციამ მიიღო ცნობა, რომ 19 ივნისს საშინელმა სეტყვამ სრულიად გაანადგურა ნათესები, ბოსტნები, ბაღები, ვენახები, დუმანის, კაზრენის, ბოლნის-ხაჩინის. ბოლნის კაპანაქჩის, კაჩაღეთის და ბაშკიჩეთის თემებში.

ნამუშევარი ისე არის განადგურებული, რომ მათი გამობრუნება შეუძლებელია. გლეხები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდენ. ზარალის გამოსარკვევად შექმნილია საგანგებო კომისია.

სამხრეთ - ოსეთი

უკანასკნელ დღეებში მოსულ სეტყვას და ნიაღვარს დიდი ზარალი მიუყენებია აგრეთვე ყორნისის, წუნორის, ცხინვალის და ჯავის თემების (სამხრეთ - ოსეთი) მცხოვრებლებისათვის. სეტყვისაგან განადგურებულია დათესილი ყანები, დალეწილია და ხილისაგან დაძარცვულია სახლე ბაღის ხეები, მოსპობილია ბოსტნები და სხვა. ალაგ-ალაგ ნიაღვრებმა გაიტაცეს ხიდები, და წარეცხეს გზები. ძალიან დაზარალდა შინაური პირუტყვი. არის ადამიანის მსხვერპლიც. ზარალის გამოსარკვევად შედგენილია კომისია.

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ბედის შესახებ

კარგა ხანია სწარმოებს დავა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა და ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირებს შორის. ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი საჭიროდ სთვლის კომუნალურ მეურნეობის მუშ. კავშირის გაერთიანებას ერთ კავშირში. ამ საკითხის გარშემო დიდი მსჯელობაა ხსენებულ კავშირების ც. გამგეობებსა და ცენტრალურ კომიტეტებს შორის საბოლოოდ ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა.

21 მაისს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა განიხილა ეს საკითხი და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შემდეგი დადგენილება გამოიტანა.

1) კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირმა თავის არსებობის განმავლობაში დაამტკიცა არა მარტო მისი მიზანშეწონილება, არამედ მისი არსებობის აუცილებლობაც, როგორც ერთიანი ორგანიზაციის.

2) კომუნალურ მეურნეობის მომუშავეებსა და ხელმძღვანელ ორგანოების სხვა კავშირებზე გადაცემა ცუდ გავლენას მოახდენს კავშირის წევრებზე და დაეცემა კავშირის გავლენა კომუნალურ მეურნეობისადმი.

ამისათვის ცენტ. კომიტეტმა საჭიროდ მიაჩნია: ყველა წამოწყებები კომუნ. მეურნეობისა დარჩეს ერთ კავშირში. მაგრამ ამასთანავე კომ. მეურნეობის კავშირთა კავშირის ცენტ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ შეერთება შეიძლება მოხდეს—მხოლოდ კომუნალურ მეურნეობის მუშ. კავშირის მთელი სახის შენარჩუნებით, თანახმად პროფკარტისა, რომელიც გამომუშავებულია პირველად კომუნ. მეურნ. მუშაკთა კავშირის ცენტ. კომიტეტის მიერ.

კავშირის არსებობის შესახებ შეკითხვები მისდიოდა ცენტ. კომიტეტს. უკანასკნელმა კი ცირკულიარული წერილი დაუგზავნა ყველა ორგანიზაციებს, რომელშიაც ნათქვამია: —საკითხი ჩვენი კავშირის ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშ. კავშირთან გაერთიანებისა ითვლება სადაოდ და საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა".

ცენტ. კომიტეტის პრეზიდიუმი დაბეჯითებით სთხოვს ყველა პროფორგანიზაციებს განაგრძონ მუშაობა და თავი შეიკავონ გაერთიანებისა და დაშლის საკითხების გარჩევიდან.

პროფკორი გ—ძე.

გაფლანგვები პროფკავშირებში

პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების მიერ შეკრებილ ცნობებით ცალკე პროფკავშირებში გაფლანგულ თანხების რაოდენობა ასეთ სურათს იძლევა—გაფლანგულია:

1. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირში . . .	2291 მან.	38 კაპ.
2 მეტყევეთა კავშირში . .	4 „	68 „
3. სახალხო კვების : : :	297 „	50 „
4. კომუნ. მეურნეობის .	1442 „	48 „
5 ადგ. ტრანსპ. მომუშ .	2211 „	20 „
6. სახალხო შეერთების . .	56 „	52 „
7 სურსათ-გემოვნების . .	958 „	02 „
8. აღმშენებელთა	2738 „	10 „
9. მბეჭდავთა	240 „	41 „
სულ . .	10.22[illegible] „	24 „

ახალი სამკურნალო

გუშინ, საღამოს 6 საათზე, თბილისში გაიხსნა დაზღვეულთა დამხმარე ქვე-განყოფილებბი გოგირდის წყლით და ახტალის ტალახით სამკურნალო.

გოგირდის აბანოებში მოსიარულენი უთუოდ შეამჩნევდენ წინედ ირაკლის აბანოების გვერდით მიმწვირულ შენობებს, სადაც მოთავსებული იყო სამიკიტნოები და საეჭვო „ტრაქტირები“. ეხლა უკვე ეს საბინძურე მოსპობილია და მის ადგილას აგებულია მშვენიერი შენობა, რომელსაც ამშვენებს აბრა წარწერით: „ამხ. მიასნიკოვის, ათარბეგოვის და მოგილევსკის სახელობის წყლითა და ტალახის სამკურნალო თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების დაზღვეულთა ქვე-განყოფილებისა“.

სამკურნალოს გახსნას დაესწრენ პასუხისმგებელი ამხანაგები და წარმომადგენლები: პარტიულ, პროფესიონალურ და მუშათა ორგანიზაციებისა. მათ შორის ტრიალებს სამკურნალოს სულის ჩამდგმელი ამხ. **ჯავაირა ხუტულაშვილი**—ენერგიული და მომღიმარი სახით, იგი ყოველ სტუმარს აცნობს და განმარტებებს აძლევს სამკურნალოს მოწყობის შესახებ—„აი“ რაში ვხარჯავთ ჩვენ მუშების ფულებს ამბობს ის, მხიარულის გამომეტყველებით.—ყველაფერი ეს უდიდეს მიღწევად ჩაითვლება ჩვენს საერთო აღმშენებლობაში“.—უდასტურებენ სტუმრები და ამხნევებენ ენერგიულ ამხ. **ჯავაირას**.

— ამ სამკურნალოს ისტორია ასეთია,—უამბობს ამხ. **ჯავაირა** ჩვენს თანამშრომელს. ჩვენ მიზნათ დავისახეთ დაზღვეულთათვის ტალახით მკურნალობის გაადვილება, რადგან მათ უმრავლესობას არ შეეძლო ახტალაში წასვლა და მასთან, როგორც ვიცით, ეს უკანასკნელი ჯერ სათანადოთ ვერ არის მოწყობილი.

ჯერ კიდევ 1924 წელს ვსთხოვეთ თბილისის აღმასკომს გამოეყო ჩვენთვის ამ მიზნით 4 განყოფილება ირაკლის აბანოდან, 4 განყოფილებას შემდეგ მიუმატეთ კიდევ 9 განყოფილება. ასე რომ ამავე წლის ივლისში საშუალება მოგვეცა მოგვეწყო ტალახით მკურნალობა. შემდეგ, სივიწროვისა და უხერხულობის გამო ბუნებრივათ წამოიჭრა ჩვენს წინაშე სამკურნალოს გაფართოების საკითხი. ა.-წ. თებერვლის დამლევს შეუდექით ამ ახალი შენობის აგებას.

როგორ ნახეთ, იგი შესდგება: ვანების მისაღებათ მოსულ მამაკაცთა და ქალთა ორ-ორი მოსაცდელ ოთახებისაგან, სარეგისტრაციო—კანცელარიისაგან, ექიმის კაბინეტისაგან და (ცალკე მამაკაცთა და ცალკე ქალებისათვის). აქ არის [illegible] განყოფილებები გოგირდის წყალით სამკურნალო, სადაც დღიში გატარდება 80-მდე ავადმყოფი და ტალახით სამკურნალო, სადაც მოწყობილია ორთქლის ქვაბი, რომელიც აწვდის სითბოს რადიატორს და ათბობს ტალახს.

სამკურნალოს აქვს სამრეცხაო და ორთქლით საშრობი. საშრობს შეუძლია ერთბაშად 70-დე ზეწრის გაშრობა.

საერთოდ სამკურნალოს ყოველ დღიურათ შეუძლია გაატაროს 200-მდე ავადმყოფი.

მთელ ამ საქმეს დასჭირდა 30.000 მანეთი.

სამკურნალოს პერსონალი შესდგება სულ 32 კაცისაგან. გამგე—ექიმი **ჯავახიშვილი**.

ა. ქ.

საექიმო პუნქტები

თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ დღემდე თბილისის მაზრაში მოაწყო 23 საექიმო პუნქტები: კოჯორში, პრიუტში, მანგლისში, ბარმქსიზში, აზრამლოში, ასურეთში, ხაშმში, პატარძეულში, გომბორში, მარტყოფში, ერწოში, თიანეთში, მცხეთაში, დილომში, ავჭალაში, სართიჭალაში, საგარეჯოში და წყნეთში.

ყველა ამ პუნქტებში მოწყობილია ორ-ორი საწოლი სასწრაფო საჭიროებისათვის.

საფერშლო პუნქტები არსებობს: გლდანში, ირაგაში და დიდლილოში.

მიმდინარე წელში ჯანმრთელობის განყოფილება კიდევ გახსნის რამდენიმე პუნქტს. ამას გარდა განზრახულია თვით პუნქტების გაფართოება და საექიმო პერსონალის ხილფასის გადიდება.

მალარია

აჭარისტანის მაზრებიდან მოსული ცნობებით მიმდინარე წლის გაზაფხულზე,—განსაკუთრებით დაბლობი ადგილებს მრავალ სოფლებში გავრცელდა ტროპიკული ციებ-ცხელება. განსაკუთრებით მალარიით დაავადმყოფების დიდ პროცენტს იძლევა მაისი და ივნისი. გასულ თვეში შედარებით უკანასკნელ ხანებში მალარიით დაავადმყოფებულ პირთა რიცხვს 30 პროცენტით მოუმატია.

„წითელი ნახევარ მთვარი“-ს დადგენილებით მიმდინარე თვის უკანასკნელ რიცხვებში ქობულეთში გაიხსნება მალარიის საწინააღმდეგო სადგური. სადგური ციებ-ცხელების შეპყრობილთა მკურნალობის გარდა, გასწევს პროფილაქტიურ ბრძოლას ციებ-ცხელების აღმოსაფხვრელად.

რკინისგზებზე

ორთქლმავლის გადავარდნა

21 ივნისს, საღამოს 7 საათზე და 40 წუთზე, სადგ. სალოღლში მატ. № 321-ს მანევრების დროს გადავარდა ორთქლმავალი. დამხმარე მატარებელი ორთქლმავლის ამოსაღებად გაიგზავნა ალსტაფიდან 9 საათზე და 50 წუთზე და მივიდა შემთხვევის ადგილზე 11 საათზე.

გზის და მატარებლის დაზიანებას და უბედურ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონიათ.

სალაროს გეგმის დამტკიცება

ა.-კ. გზების მმართველობამ დაამტკიცა გზების სალარო გეგმა ივნისისათვის. გეგმის თანახმად ნავარაუდევია: შემოსავალი—4.500.000 მანეთის, ხოლო გასავალი—3.903.000 მანეთის რაოდენობით

ბაქან ციხის-ძირზე

ა.-კ. გზ. მმართველობამ შესაძლებლად სცნო ბაქან ციხის-ძირზე არა სავალდებულო საბარგო ოპერაციების გახსნა ადგილობრივ მიმოსვლაში.

ქრონომეტრიული ბრიგადა

ა.-კ. რკ. გზების მმართველობამ ნება დართო თბილისის მთავარ სახელოსნოებთან ქრონომეტრიული ბრიგადის დაარსებაზე.

ბოტანიკური ბაღი

თბილისის ბოტანიკურ ბაღში უცხო ჯიშების მცენარეების მოშენებისა და გავრცელების მიზნით და აგრეთვე საჭირო კლიმატიური პირობების შესაქმნელათ, მიწად-მოქმედების კომისარიატის დაწესებულებათა მიერ დაწყებულია სარწყავი არხების გაყვანა ბოტანიკური ბაღის სხვადასხვა კუთხეებში.

ამჟამად სწარმოებს გეგმის შემუშავება სარწყავი სისტემის ასაგებათ. ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად, სამუშაოს შესასრულებლათ საჭირო იქნება 200.000 მანეთი.

სარწყავი არხების გასაყვანად მუშაობას შეუდგებიან ახლო ხანში.

ქრონიკა

ამხ. შ. ელიავას დაბრუნება

სოხუმიდან დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა.

პროფტექნიკური განათლება

საქართველოს პროფტექნიკური განათლების საქმისათვის ა.-კავკასიის საფონდო თანხებიდან ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 90.000 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

— **სამხედრო უწყების** მექანიკური-სარემონტო ქარხანა გადავიდა აღმასკომის განკარგულებაში.

— **უპატრონო ბავშვთათვის** საჭირო დახმარების გასაწევად, მიმდინარე საანგარიშო წელში აღმასკომს გადადებული აქვს 10.000 მან.

— **ზაჰესი** მუშაობას დაიწყებს ოქტომბრიდან. ქალაქის ელსადგურები იმუშავებენ მომავალი წლის 1-ლ იანვრამდე.

— **სავალდებულო დადგენილებათა** დარღვევისათვის მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღმასკომმა შეაგროვა 200 ათასი მანეთი ჯარიმის სახით.

ჯანმრთელობა

— **წითელქარიანთა ავადმყოფობა.** ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან ეწყობა წითელქარიანთა სამკურნალო განყოფილება.

— **ტალახით მკურნალობა.** ტალახით სამკურნალო, რომელიც შეკეთების გამო დაკეტილი იყო, უკვე მოეწყო და დაიწყო მუშაობა.

მიწათმოქმ. სახ. კომისარიატში

— **პრაქტიკანტები.** კომისარიატმა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში სამუშაოდ გაგზავნა სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის 20 სტუდენტი.

— **ტყის ექსპლოატაცია.** სატყეო განყოფილებამ ახმეტის სატყეო რაიონში ტყის წესიერ ექსპლოატაციის საკითხების შესასწავლად მიავლინა ინსტრუქტორი ნ. ბრეგვაძე.

— **ზემო-სვანეთში** ტყის მოსაწყობი მუშაობა დამთავრდება 1 ოქტომბრამდე.

სოციალური დაზღვევა

— **არაზინდოში, აბასთუმანში და ცემში** (სანატორიუმებში) თბილისის დამზღვევ სალაროთ ავადმყოფების პირველ წყებაში გაგზავნა 348 დაზღვეული.

— **გაგრაში** დაზღვეულთა მეორე წყება გაიგზავნება 5 ივლისს.

— **დაზღვეულ უმუშევარ ფეიქართა** ხელახალი აღრიცხვა დაიწყება 23 ივნისიდან.

ჩაუბარებელი დეპეშები

კისლავოდსკიდან—სარაჯიანს, ველისციხიდან—ავაკოვს, ოზურგეთიდან—აბაშიძეს, ბაქოდან—მიშაშვილს, ლენინაკანიდან—მალდოვას, მოსკოვიდან—სააკიანცს, ბაქოდან—გასპაროვს, ბაქოდან—ნაზარბეკოვს, ბაქოდან—სკაკოვს, ცაგერიდან — ჩაკვეტაძეს, — კიზლიარიდან—მეგორევს, მეკვენიდან—ლაბაძეს, ესენტუკიდან—ზუბოვისას, მოსკოვიდან—„ბანკოვოი ბრიგადას“, მოსკოვიდან—კომუნალაკა, პარიზიდან—შერიძეს, ბაგანიდან—გამნოვს, ბათომიდან—კაუფმანს, გორიდან—ბაქრაძეს, ოჩემჩირიდან—დიდებულიძეს, ნახიჩევანიდან—ამიროვს, აღდამიდან—ბარაჩეის, ლენინაკანიდან—გალდავას, შახტახტიდან—გევორქოვს, ლენინგრადიდან—ჩხეიძეს.

შემთხვევები

ექიმბაშის დაპატიმრება

ავჭალის შესახვევში, № 13-ში, სცხოვრობდა მოქ. თამარ კვატაძისა.

მის ბინაზე გამვლელის ყურადღებას იპყრობდა დიდი განცხადება:

„ბებია-ქალი კვატაძისა“. სინამდვილეში კი კვატაძისა ამ სახელწოდებას და უფლებებს უკანონოდ ისაკუთრებდა ანგარების მიზნით.

კვატაძისამ სახელი გაითქვა, როგორც მუცლის მოშლის საუკეთესო მოხელემ. კვატაძისას მოკლე და გარკვეული დიაგნოზის დასმა უყვარდა: „აუცილებელია მუცლის მოშლა“. ასე მიმართავდა იმათაც კი, ვისაც ბავშვის ჩასახვა არ გაჩენოდა და სხვა სატკივრების გამო მიმართა „ბებია-ქალისთვის“. ოპერაციას ახდენდა ჰიგიენის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. არა ერთი ადამიანი დაღუპა კვატაძისამ. ერთ-ერთი მისი მსხვერპლი ხ. ა. იანისა ამჟამად საავადმყოფოში სიკვდილის პირას.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის მიერ „ბებია-ქალი“ შეპყრობილ იქნა.

გაჩხრეკისას კვატაძის ბინის ქვეშ აღმოაჩინეს ორმო, რომელშიაც ჩაფლული იყო 10-მდე ბავშვი.

კვლევა-ძიება სწარმოებს.

ქ.

„გასტროლიორები“

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ლიზა გარკუშინა და არტემ სიმონოვი, რომელნიც „საგასტროლოთ“ ჩამოვიდნენ თბილისში. ბოროტმოქმედნი შეეცადნენ მოეპარათ „ბოეც-ოკა“-ს კოოპერატივიდან შევროს ტყავი, მაგრამ ისინი დააპატიმრეს.

— **ხულიგნობისათვის.** გუშინ მილიციის მიერ ხულიგნობისათვის დაჯარიმებულ იქნა 50 მოქალაქე.

— **ქუჩებში მოძრაობის მოსაწესრიგებლად.** ქუჩებში მოძრაობის სავალდებულო წესების დარღვევისათვის ამ ოცი დღის განმავლობაში დაჯარიმებულნი იქნა 100-მდე შოფერი და მეეტლე.

— **თავდასხმა.** 17 ივნისს, სოფ. ვაშლოვანში ორი შეიარაღებული ავაზაკი თავს დაესხა მოქ. კიკიანოვის ოჯახში სტუმრათ მისულ სოიუნკულო-ოღლის, რომელსაც წაართვეს ფული. ბოროტმოქმედნი იოსებ ძიგურაშვილი და კაკულა აბულაშვილი შეიპყრეს.

— **გაუპატიურებისათვის.** აღბულაღის თემ. მილიციამ შეიპყრო ბიქტორ ფეოდოროვი, მილიუკოვას ქალის გაუპატიურებისათვის.

— **გვამის პოვნა.** ყარაიაზის სარწყავ არხის მახლობლად იპოვეს დამხრჩვალი მწყემსის არმანტოვის გვამი. დამხრჩვალს ხელფეხი შეკრული აქვს თოკით.

— **შეპყრობა.** ერწოს თემ. მილიციამ შეიპყრო იოსებ ქოლოყაური პეტრე წიკლაურის ხარის მოპარვისათვის.

— ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს ვაგან მირიმანოვი.

— **ჯიბგირობა.** 20 ივ. კირკის ქუჩაზე, ტრამვაის რონოდაში ნიკოლოზ ცხაკოლოვს მოჰპარეს ფული და სხვადასხვა საბუთები.

— **ქურდობა.** 21 ივნისს (ევანგულოვის და რაკეტის ქ. კუთხე) ელენე ფაღავას ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, სოსნის ქ. № 32 გაქურდეს ანტონ ანჯაფარიძის ბინა. წაიღეს 180 მ. ნივთები.

— ამავე დღეს კომუნალური ქ. № 37 გაქურდეს მაქსიმე იაჩნიკოვის ბინა.

სასამართლო

გამფლანგველების საქმე

1925 წელს 14 ივლისს, ამიერ-კავკასიის რკინისგზის უმუშევართა არტელის გამგეობაში რევიზიამ აღმოაჩინა 7.000 მანეთის გაფლანგვა. ამის გამო პასუხისგებაში მიცემულ იქნენ გამგეობის თავმჯდომარე ჯანელიძე, გამგეობის მდივანი ახალკაციშვილი და მოლარე გურგენიძე.

გუშინ დასრულდა წინასწარი გამოძიება ამ საქმეზე.

გამოძიებით დადასტურდა, რომ გაფლანგვის საქმეში გამგეობის თავმჯდომარეს არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

გურგენიძის და ახალკაციშვილის მიერ გაფლანგულია არა 7.000 მან. არამედ 700 მანეთი.

სუსლინის, მასხულიას და სხვათა საქმე

სუსლინის, მასხულიას და სხვათა საქმის გარჩევა მთავარი მოწმის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო 24 ივნისისათვის.

კუციძის საქმე

სასამართლოს შემდეგი სხდომა გამფლანგველ კ. კუციძის საქმეზე შესდგება ხუთშაბათს, 24 ივნისს.

საოლქო სასამართლოს სესიის გამგზავრება

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით 26 ივნისს გაემგზავრება სიღნაღის მაზრაში. სესიის მიერ გასარჩევად დანიშნულია—40 საქმე.

შევიოტის მოყვარული

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა მოქ. გიორგაძის საქმე.

გიორგაძე ირიცხებოდა რკინისგზის თანამშრომლად. მას ბრალდებოდა შევიოტის მოპარვა.

მოწმეების დაკითხვით ბრალდებულის მიერ შევიოტის მოპარვის ფაქტი დადასტურდა.

სასამართლომ ბრალდებულ გიორგაძეს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო მისი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა 6 თვით გამსახლში დაპატიმრებით.

დაუდევარი მილიციონერი

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გაირჩა მილიციონერ გუსეინ-საილ-ოღლის საქმე.

გუსეინ საილ-ოღლის ბრალდებოდა სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობა.

ამა წლის 13 მარტს. ბრალდებულს სისხლის სამართლის მილიციიდან სასამართლოში მიჰყავდა პატიმარი აჰკარ-სოინ-ოღლი, რომელსაც ბრალდებოდა ქურდობა. სასამართლოს სხდომის დაწყებამდე ბრალდებულმა პატიმარი, უკანასკნელის თხოვნით, წაიყვანა სასაუზმოთ. პატიმარი გაიპარა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ ბრალდებულ გუსეინ საილ-ოღლის მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით და 3 წლით უფლებების შეზღუდვით.

შრომის დაცვა

შრომის სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს იმ მაზრებში, სადაც არ არსებობს შრომის ინსპექტორების კამერები, შემოიღოს შრომის კომისარიატის რწმუნებულთა თანამდებობა.

ამ თანამდებობათა ასრულება დაეკისრება სამაზრო დამზღვევ სალაროების თავმჯდომარეებს. სადაც სალაროები არ არის, იქ—დამზღვევ პუნქტების გამგეებს. შრომის კომისარიატს ასეთ მაზრებათ აღიარებულია: დუშეთის, ახალქალაქის, რაჭის, ლეჩხუმის, ახალციხის და ოზურგეთის მაზრები და აგრეთვე ბორჯომის, სამტრედიის და ტყიბულის რაიონები.

განათლების ფრონტზე

ხატვა-ძერწვის კურსები

მომავალ სამოსწავლო წლიდან თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს, წარსული წლის მსგავსად, თბილისში გახსნას ხელგარჯიშობისა და ხატვა-ძერწვის კურსები. კურსები მოეწყობა 25—30 კაცისათვის. გასულ წელში კურსები დაამთავრა ამდენივე კაცმა; ისინი მომავალ სასწავლო წლიდან დაგზავნილი იქნებიან დაბალ ჯგუფებში ხელგარჯიშობისა და ხატვა-ძერწვის მასწავლებლად.

ბავშვები აგარაკებზე

თბილ. მესამე საბავშვო სახლში საგარაკოდ იგზავნება აღბულაღში.

მასწავლებლების გადასამზადებელი კურსები

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილება წელს მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს ხსნის ქართულ ენაზე—მანგლისში, რუსულ-ბერძნულ ენებზე—აღბულაღში. მეცადინეობა კურსებზე დაიწყება 15 აგვისტოდან.

სკოლები ღია ფანჯრებით

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებას განზრახული აქვს ბაღებსა, პარკებსა და საერთოდ გაშლილ ადგილებზე აგოს ახალი სკოლები ღია ფანჯრებით. ამ სკოლებში თავმოყრილი იქნებიან სუსტჯანიანი მოწაფეები, რომლებიც ამჟამად გაფანტული არიან ქალაქის სხვადასხვა სკოლებში.

ეს სკოლები ფრიად შეუწყობენ ხელს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას. განსაკუთრებით ამგვარი სკოლები პროფილაქტიური საშუალებებით აადვილებენ ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს.

რუსეთში უკვე შემოღებულია ე. წ. ტყის სკოლა, სადაც სწავლობენ ჯანსუსტნი მოწაფეები. მაგრამ ასეთი სკოლების მოწყობა ძვირი ჯდება, ვინაიდან მაგვარ სკოლებთან უნდა მოეწყოს ინტერნატი.

უფანჯრო სკოლებში დაცული იქნება მუდმივი ტემპერატურა.

რევოლუციის მუზეუმი

„სეკრეტი“-ს მოდელი

საქართველოს რევოლუციის მუზეუმის შენობაში დამთავრდა საკანის მოდელის აგება. მოდელი იძლევა საპატიმრო საკანის („სეკრეტი“-ს) სრულ შთაბეჭდილებას.

საკანი წარმოადგენს ვიწრო ბნელს ოთახს, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი სარკმელი და ისიც სამ მეოთხედზე ქვით ამოშენებული. სარკმელში მოსჩანს პატიმრების გაყვითლებული სახეები. ამჟამად სწარმოებს „სეკრეტის“ შიგნით მოწყობა. საკნის კედლებზე გადმოღებულ იქნება საპატიმრო კამერებისათვის დამახასიათებელი წარწერები, რომელიც ახლაც წაუშლელია მეტეხის და საგუბერნიო ციხის საკნების კედლებზე. სრული ილლიუზიის შესაქმნელად რევოლიუციის მუზეუმის საკანში მოთავსებულ იქნება ცნობილი მუშა-რევოლიუციონერი ზაქარია ჩოდრიშვილის ფიგურა.

ჩოდრიშვილის ფიგურის გამოკვეთა შეკვეთილი აქვს ერთ-ერთ ცნობილ მოქანდაკეს, რომელიც ფიგურის გაკეთებას ამ მოკლე ხანში დაამთავრებს.

უკანასკნელ ხანებში მუზეუმის მიერ შეძენილია მრავალი სურათები რევოლიუციონური მოძრაობიდან.

შეძენილია აგრეთვე „ჩემოდანი“, რომლის საშუალებითაც ციხეში შეჰქონდათ და გამოჰქონდათ საიდუმლო მიწერ-მოწერა.

ხელოვნება

კომპოზიტორ კოტე მეღვინეთ-უხუცესის კონცერტი

ახალი ქართული ოპერის „ამირანი“-ს ავტორის მეღვინეთ-უხუცესის კონცერტი ატარებდა არა მარტო მხატვრულ, არამედ აგრეთვე მუსიკალურ და აღმზრდელობითი ხასიათს. ნაციონალურ სიმღერის მოყვარულთა პირველად მიეცათ საშუალება საუკეთესო მაგალითებზე გასცნობოდენ ქართული სიმღერის და ცეკვის ევოლიუციას (თანდათანობით განვითარებას). ნატურალური სახით (ისე, როგორც მღერიან ხალხში) სიმღერები შესრულეს მომღერალმა თარხნიშვილებმა, ხოლო შემდეგ იგივე სიმღერები პოლიფონიურად, ე. ი. ისე, როგორც ისინი გადატანილი აქვს ამა თუ იმ კომპოზიტორს თავის ოპერებში, შესრულებულ იქნა სახელმწიფო ოპერის მსახიობების მაყაშვილის, ქასნიშვილის, გაბაშიძის, ქუმსიაშვილის, ვეკაძის და ლორთქიფანიძის მიერ. ნიმუშად აღებულ იქნა ნაწყვეტები არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. და ფალიაშვილის—„აბესალომ და ეთერი“-დან და „დაისი“-დან არაყიშვილის ცალკე ვოკალური ნაწარმოებები („ოროველა“ და „ნანა“). შემდეგ შესრულებულ იქნა უფრო რთული ჰარმონიის მუსიკალური ნიმუშები: ოპერა „დაისის“ და „თამარ ცბიერის“ უვერტიურამ და ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. გარდა ამისა პირველად შესრულებულ იქნა მშვენიერი, ტემპერამენტით და ლამაზ მელოდიურ ფორმით დაწერილი ტრიო მეღვინეთ-უხუცესის ოპერა „ამირანიდან“, „სანადირო“ და ქალური „დილა მზიანი“.

მეორე განყოფილებაში შედიოდა ეკლექტიური ხასიათის ნაწარმოებნი (ისეთები, სადაც ავტორი თავისუფალია ამა თუ იმ სტილის დაცვის აუცილებლობისაგან და ქმნის განსაზღვრული კოლორიტის ზეგავლენით). ამ მხრივ რამოდენიმე ადგილი მეღვინეთ-უხუცესის ოპერა „ამირანიდან“ შეასრულეს ზემოდ ჩამოთვლილმა მსახიობებმა. უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს მუსიკალური ნომრები მეტად საინტერესონი იყვნენ შინაარსით და ჰარმონიზაციის ორიგინალობით. განსაკუთრებით ლამაზია დიდი ტრიო „ჰიმნი მზის ამოსვლას“.

კონცერტი დამთავრდა ხორეოგრაფიული განყოფილებით. ნაჩვენებ იქნა ცეკვის ევოლიუცია სოფლის ორიგინალურ ნიმუშიდან საბალეტო შესრულებამდე.

კომპოზიტორს მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ მხურვალე ოვაციები გაუმართა.

მუსიკოსი.

კუკიის მუსიკალურ სასწავლებლის მოწაფეთა პირველი გამოშვება

როგორც ვიცით, სახელმწიფო კონსერვატორიის რეორგანიზაციის შემდეგ, რესპუბლიკაში მუსიკალური განათლების საქმის სათანადო ნიადაგზე დაყენების მიზნით, გამოყოფილ იქნა ისეთ პირთა კონტიგენტი, რომელთა მუსიკალური მომზადება აკმაყოფილებდა უმაღლეს მუსიკალურ განათლების მოთხოვნილებებს—ხოლო უფრო ნაკლებად მომზადებული პირები ჩარიცხულ იქნენ კონსერვატორიის მოსამზადებელ სკოლებში სამუშაოთ. დაარსდა ორი მუსიკალური ტეხნიკუმი, როგორც საშუალო განათლების სასწავლებლები. 19 ივნისს მოხდა კუკიის ტეხნიკუმის მოწაფეთა პირველი გამოშვება. ტეხნიკუმის დირექტორად დანიშნულია ფორტეპიანოზე დაკვრის თეორეტიკოსი და მასწავლებელი შოტნიაშვილი. ამ ტეხნიკუმში მეცადინეობის დადებით მხარეს შეადგენს პედაგოგიურობა, რადგან პროგრამაში შედის პედაგოგიური და არა კონცერტული ხასიათის ნაწარმოებნი. ტეხნიკუმი დაამთავრეს ოლღა ბარათოვამ და ოლღა ლევინამ. უკანასკნელი შოტნიაშვილის კლასის მოწაფეა. ორივე მოწაფეს აღმოაჩნდათ მუსიკალობა და საკმაო მომზადება. სამწუხაროდ ლევინას მიერ შესრულებულ ნაწარმოებთა პროგრამა არ შეეფერებოდა ტეხნიკუმის მოთხოვნილებებს. ეს ნაწარმოებნი უფრო კონსერვატორიის პროგრამაში შედიან. (ბეთჰოვენის მე-5-ე კონცერტი და ლისტის ეტიუდი). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ნაწარმოებთ ასრულებდა მოწაფე, რომელსაც კიდევ ბევრს მისცემს კონსერვატორია, მაშინ პროგრამის შესრულება დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ბარათოვას მიერ შესრულებული პროგრამა ვაცილებით უფრო შეეფერება ტეხნიკუმის მოთხოვნილებებს. კარგათ იქნა შესრულებული ცეზარ ფრანკის სონატა.

პ. ბ.

— **სახალხო კონსერვატორიის დარბაზში** კვირას, 27 ივნისს, დღის 12 საათზე დანიშნულია წლიური აქტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ წრეულს კურსდამთავრებული სტუდენტები.

კინო-კავშირი

სამეცნიერო სურათები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების კინო-ბიურო —„კინოკავშირი“ ამჟამად წარმოადგენს საკმაოდ მტკიცე და ფინანსიურად მოღონიერებულ ორგანიზაციას, რომელიც ნაკლებად ეტანება ეგრედ-წოდებული „კომერციული“ სურათების დაქირავებას და ექსპლოატაციას და მთავარ ყურადღებას აქცევს კლუბებისათვის სამეცნიერო სურათების მიწოდებას.

უკანასკნელ დრომდე ამიერ-კავკასიაში არ ყოფილა ისეთი ორგანიზაცია, რომლის დანიშნულება ყოფილიყო მოეწოდებია ასეთი სურათები.

ამჟამად „კინო-კავშირს“ შეძენილი აქვს სამეცნიერო შინაარსის 60-მდე სურათი. რომელიც რიგ-რიგობით დაურიგდებათ პროფკავშირთა კლუბებს.

ზემოხსენებულ სურათების ჩვენებასთან ერთად კლუბებში წაკითხულ იქნება შესაფერი ლექცია-მოხსენებები.

შეძენილ და მიღებულ სურათებს შორის არის შემდეგი სამეცნიერო ფილმები: „ფორდი და ფორდზონი“—გადაღებული პროფესორ ლავროვის წიგნის მიხედვით; „ლითონის დამამუშავებელი მრეწველობა“, ქაღალდის წარმოება“, „სასოფლო სამეურნეო გამოფენა“; საექიმო. საბუნებისმეტყველო, სასოფლო სამეურნეო სურათები და სხვა.

დოღი

სეზონის დახურვა

დოღის მიმდინარე სეზონი თავდება კვირას, 27 ივნისს; ამ დღეს დიდუბის იპოდრომზე გაიმართება ექვსი განსაკუთრებით საინტერესო დოღი.

სხვათა შორის გათამაშებული იქნება დიდი განდიკაპი 500 მან. ჯილდოთი; ჯილდო დანიშნულია საქართველოს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის მიერ.

აღნიშნულ ჯილდოს გარდა არის კიდევ სხვა დიდი ჯილდოებიც; სულ გათამაშებული იქნება 1000-დე მანეთის ჯილდო.

დოღი დაიწყება 3 საათზე და 30 წუთზე.

დოღის შემოდგომის სეზონი გაიხსნება სექტემბრის პირველ რიცხვებში.

მომავალ კვირას თბილისის იპოდრომზე გაიმართება საინტერესო დოღი. საუკეთესო ჯიშის ცხენების გარდა, დოღში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ცხენოსან მილიციის ცხენები.

გაიცემა რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფეხის დიდი თითის გადანერგვა ხელზე

დასტაქრებმა მრავალხელ სცადეს ფეხის დიდი თითის გადანერგვა ხელზე. უკანასკნელად, 4½ წლის წინად, ასეთი ცდა მარცხით დამთავრდა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანელმა ექიმმა პორცელტმა მოახერხა ეს. ოპერაცია მოახდინეს 29 წლის მამაკაცზე.

პირველად მოკვეთილი დიდი თითის დარჩენილი ნაწილი მიაკრეს ფეხის დიდ თითს. ავადმყოფი ოცდაშვიდი დღის განმავლობაში წელში მოხრილი იწვა. ამ ხნის განმავლობაში დიდი თითის დარჩენილმა ნაწილმა იწყო შეზრდა ფეხის დიდ თითთან. ამის შემდეგ ექიმებმა დაიწყეს ფეხის დიდი თითის მოკვეთა, რომელიც დამთავრებული იქნა მეოცდაცამეტე დღეს. სამი თვის შემდეგ ფეხის დიდი თითი სავსებით შეეზარდა ხელს.

ახალი ტიპის ჰაეროპლანი

ცნობილი ფრანგი მფრინავი მ. ზისუტრუ ამჟამად ემზადება შეუჩერებელ გადაფრენისათვის პარიზიდან ნიუ-იორკში. გადაფრენა განზრახულია მომავალი წლის ზაფხულში აეროპლანზე, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით შენდება.



ჰაეროპლანის წინა-ნაწილი.

აეროპლანს ეწოდება „დე-მონე 75“. დადგმულია მასზე ბოგუტის ორი მოტორი 45 ცხენის ძალის თითო. თითეული მოტორი 3200-ჯერ აბრუნებს წამში საჰაერო ხრახნილს.

საათში აეროპლანი გაივლის 160 მეტრს, მისი წონა უდრის 688 კილოგრამს.

ლონდონი-კაპშტადტი-ლონდონი

ამ რამდენიმე ხნის წინათ მფრინავმა **ალლან კობჰემმა** დაამთავრა დიდი გადაფრენა ლონდონიდან კაპშტადტში (სამხრეთ-აფრიკა) და უკან. კობჰემის მიზანს შეადგენს გამოკვლევა იმ გზის, რომლითაც გაივლის მომავალში საჰაერო ხაზი. ალლან კობჰემი, ცნობილი ინგლისელი მფრინავია, რომელმაც შარშან შეასრულა არა ნაკლებ სახელოვანი გადაფრენა ლონდონიდან რანგუნში (სამხრეთ-აზია) და უკან, ლონდონიდან გაფრინდა 16 ნოემბერს სამგზავრო აეროპლანით ДН 507, რომელზეც დადგმული იყო 385 ცხენის ძალიანი მოტორი.

კობჰემს თან ახლდა მექანიკოსი და კინოოპერატორი ელიოტი. გავლილ იქნა პარიზი, მარსელი, ბრინდიზი, ათინა, სოლუმი, ქაირო და შემდეგ მთელი აფრიკა კაპშტადტამდი, სადაც მფრინავები ჩაფრინდენ 17 თებერვალს მთელ რიგ ქალაქებში დაჯდების შემდეგ. უკან კობჰემი გამოფრინდა 26 თებერვალს და ლონდონში ჩაფრინდა 13 მარტს. გადაფრენის დროს გავლილ იქნა 26.000 კილომეტრი

გადაფრენა შესრულებული იქნა არაჩვეულებრივათ მძიმე პირობებში, სრულიად უცნობ ადგილებზე. გზის გასაკვლევათ მფრინავები რუქითა და კომპასით სარგებლობდენ. მფრინავის სიტყვით, ზოგ რაიონებში სიცხე იმდენად დიდი იყო, რომ აეროპლანის ფრთისათვის ხელის მიკარება არ შეიძლებოდა.

ნარევი

„მაპატიეთ, რომ ფრაკში არა ვარ“

საყოველთაო გაფიცვა ინგლისში ჩაშალეს მემარჯვენურმა ბელადებმა, რომელნიც ხელმძღვანელობენ პროფკავშირთა გენერალურ (ე. ი. ცენტრალურ) საბჭოს. საყოველთაო გაფიცვის დროს საბჭოს ფაქტიური ხელმძღვანელი ტომასი იყო.

ვინ არის ტომასი?

პირველ ყოვლისა როგორია ამ, უკაცრავად პასუხია, მუშათა ბელადის მატერიალური მდგომარეობა?

ტომასი შემოსავლის კვალობით გადასახადს იხდის ასი ათას მანეთს წლიურ შემოსავალზე.

ასი ათასი მანეთი წლიწადში! საიდან? რკინის გზელთა კავშირის შეიძლება ჯამაგირი? რასაკვირველია, არა!

ტომასი კაპიტალისტია. სხვადასხვა სამრეწველო წარმოებათა აქციების საშუალებით ტომასმა შეიძინა 4 მილიონი მანეთის ქონება.



ტომასი

გაფიცვა ტომასისათვის საზარალოა ისევე, როგორც ყოველ სხვა მწარმოებლებისათვის, ყოველ კაპიტალისტისათვის. ამიტომ ბუნებრივია, თუ ტომასი ცდილობს გაფიცვის შეწყვეტას, მის ჩაშლას!

ტომასი მოღალატეა და მოღალატე ისეთი, რომელიც უკიდურეს თავხედობამდე მიდის.

მწარმოებლებთან სამარცხვინო შეთანხმების ხელმოწერის დღეს ტომასი მიემგზავრება ლონდონის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში, სადაც შეკრებილია მწარმოებელთა ჯგუფი საზიზღარი გარიგების [illegible]. აქ ტომასმა მწარმოებლებს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— „მაპატიეთ, რომ მე აქ ფრაკში არ გამოვცხადდი სახლში. მეც ცოლს უთხარი: მე ფრაკში არ წავალ. რესტორანში წასვლის წინ მე სიტყვა უნდა წარმოვსთქვა მუშათა კრებაზე, სადაც მე მინდა დავარწმუნო მუშები, რომ წავიდნენ შეთანხმებაზე. ფრაკში ეს უხერხული იქნებოდა“.

ავიოქიმი

მდგომარეობა ადგილებზე

საქართველოს ავიაქიმმა ადგილებზე მდგომარეობის გამოსარკვევად ამ რამოდენიმე ხნის წინეთ დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში და აჭარისტანში მიავლინა ამხ. **ლეონოვი**, რომელმაც დაკისრებული მუშაობა უკვე ჩაატარა იქ და გამოკვლევის შედეგების შესახებ მოხსენება გაუკეთა პრეზიდიუმს.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, აჭარისტანში ავიაქიმის მუშაობა ცუდათაა დაყენებული. აქ როგორც დიდი, ისე მცირე პრეზიდიუმები საზოგადოებისა არ იკრიბებიან რეგულიარულად, მათი დადგენილებები არ ტარდება ცხოვრებაში, სუსტია კავშირი პარტიასთან და კომკავშირთან, ცუდათ არის დაყენებული ავიაქიმის სამაზრო ორგანიზაციების გამოკვლევის საქმე.

საზოგადოებას არ მოუხდენია წევრთა ხელახალი რეგისტრაცია და საწევრო წიგნაკები დარიგებული აქვს 2.000 წევრს. გლეხობა ავიაქიმის მუშაობით არ არის დაინტერესებული. ცუდათ არის დაყენებული პროპაგანდის საქმე.

ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობა აჭარისტანის ავიაქიმში სუსტია. ცუდათაა დაყენებული აგრეთვე ფინანსიური ანგარიშიანობა, ფულების გაცემა სწარმოებს ყოველგვარ დოკუმენტების გარეშე. აჭარისტანის ორგანიზაციას დიდი მიღწევები აქვს მოდელიზმის დარგში.

დანარჩენ ადგილებში: აფხაზეთში, ფოთში და ქუთაისში ავიაქიმების მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

აჭარისტანის ავიაქიმის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საქართველოს ავიაქიმის პრეზიდიუმმა აირჩია კომისია ამხ. ლეონოვის, ზზეკალავას, უმახსკის, პოლეტაევის და გაიდუკოვის შემადგენლობით. კომისიას დაევალა ამხ. ლეონოვის მიერ წარმოდგენილ მასალების დამუშავება და გარკვეულ ღონისძიებათა შემუშავება.

რაც შეეხება დანარჩენ ორგანიზაციებს, პრეზიდიუმმა სამაგალითოდ სცნო აფხაზეთის, ზუგდიდის, ფოთის და ოზურგეთის ავიაქიმების საბჭოების მუშაობა.

ავიაქიმის დღისათვის

საქართველოს ავიაქიმი უკვე შეუდგა მზადებას ავიაქიმის დღისათვის (14 ივლისი). საზოგადოების პრეზიდიუმმა დაავალა ამხ. გამყრელიძეს ქიმიური რაზმების დაარსება პირველ, მეორე და მესამე რაიონებში. კომისიას ამხ. დურიხანოვის და გამყრელიძის შემადგენლობით დაევალა დღესასწაულის გეგმის შემუშავება.

ავიაქიმის კვირეული დაიწყება 7 ივლისიდან.

ფეხბურთი

„დინამო“—„დურუჯი“

უკანასკნელი შეჯიბრი ფეხბურთის მიმდინარე სეზონის პირველობაზე გაიმართება კვირას, 27 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე „დინამო“-სა და „დურუჯს“ შორის.

ამ მატჩს განსაკუთრებული ინტერესით მიელის ფეხბურთის მოყვარული საზოგადოება, რადგან ეს შეჯიბრი, გარდა იმისა, რომ მასში ერთმანეთს ხვდება თბილისის ორი საუკეთესო გუნდი, რაც თავის-თავად დიდ სპორტიულ ინტერესს წარმოადგენს, სწყვეტს პირველობის საკითხს ყველა გუნდებს შორის.

გუნდი, რომელიც გამარჯვებული გამოვა ამ შეჯიბრიდან, პირველ ადგილს იჭერს, დამარცხებული გუნდი კი აგროვებს 10 ქულას და უკანასკნელ ადგილზე გამოდის.

იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრი ფრედ ვათავდა, მაშინ ოთხი გუნდი—„არსენალი“, „პოლიტეხნიკუმი“, „დინამო“ და „დურუჯი“ აგროვებენ ქულების ერთნაირ რაოდენობას, რაც აჭიანურებს პირველობის საკითხის გადაწყვეტას.

გუნდები გამოდიან შემდეგი შემადგენლობით:

„დინამო“: ცომაია, ფოჩხუა, თედეევი, ანიკინი, ბლანკმანი, გონელი, ვახ. ამბოკაძე, იზიუმსკი, გალპერინი, ჟორდანია და ვლ. ცომაია.

„დურუჯი“: პაპავა, ფრუიძე, ხევსურიანი, იმნაძე, ციტნიცკი, ქუთათელაძე, ნიკო ამბოკაძე, გუნია, აბაშიძე, ვაჩნაძე და ქებაძე.

მსაჯი იქნება ამხ. **იოსავა**.

„საქართველოს მარგანეცი“—„მარლენ“

მეორე კატეგორიის ჯგუფ B-ს გუნდების—„საქართველოს მარგანეცი“-ს და „მარლენი“-ს შეჯიბრი პირველობაზე დამთავრდა 1:0 „საქართველოს მარგანეცი“-ს სასარგებლოთ.

ამრიგად, აღნიშნულ ჯგუფში პირველობა დარჩა „მარგანეცს“.

ოდესის გუნდი ბათუმში

ბათუმში მოელიან ოდესის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს. ოდესის გუნდი ერთ-ერთ საუკეთესო გუნდათ ითვლება საბჭოთა კავშირში. გუნდს განზრახული აქვს ესტუმროს შავი ზღვის სანაპიროების ყველა ნავთსადგურებს.

იურიდიული დახმარება

მეკუთვნის თუ არა გაცდენილ დროის ხელფასი და როგორ მივიღებ

კითხვა

მე ვმსახურობდი შორაპნის მაზრის სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში 14—15 წლების განმავლობაში. უკანასკნელად ვიყავი დანიშნული მაზრის ერთ-ერთ შვიდწლიან შრომის სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. 1924 წლის ნოემბრიდან ადგილობრივი პედაგ. საბჭოს დადგენილებით მომხსნეს თანამდებობიდან, როგორც „სუსტად მცოდნე“ ქართული ენისა (ტომით რუსი) და ამის გამო ვითომდა „გამოუსადეგარი აღნიშნულ თანამდებობისთვის“.

საქმის გამორკვევის შემდეგ განათლების კომისარიატის განკარგულებით ვითვლები აღდგენილად. მაგრამ მაზრაში თავისუფალ ადგილის უქონლობის გამო ჯერ მოვალეობის ასრულებას არ შევდგომივარ. უკვე წელიწად ნახევარია ჯამაგირს ვერ ვიღებ. განვიცდი უკიდურეს გაჭირვებას, როგორც ინვალიდ ქმრის და წვრილი შვილების პატრონი.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მერგება თუ არა გაცდენილ დროის განმავლობაში ჯამაგირი და თუ მერგება, —ვის უნდა მივმართო დასაკმაყოფილებლად.

მასწავლებელი ას—ა.,

პასუხი

თუ თქვენ წინააღმდეგ ბრალდება წამოყენებული იყო სკოლის ადმინისტრაციის მიერ და მისივე თხოვნით თქვენ იქენით სამსახურიდან მოხსნილი, და შემდეგში კვლევა-ძიებით გამოირკვა ბრალდების უსაფუძვლობა და სიყალბე რის გამო თქვენ, მართლაც, აღდგენილი ხართ სახგანათლების კომისარიატის განკარგულებით თანამდებობაზე, თქვენ უნდა მოგეცეთ შრომის ხელთასი მთელ გაცდენილი დროის განმავლობაში.

ამის შემდეგ თქვენ უნდა მიმართოთ შრომის სასამართლოს. სარჩელი უნდა წარედგინოს პედაგოგიურ საბჭოს, როგორც ზიანის უსაფუძვლოდ მიმყენებელის, სამოქ. სამართლის წესით.

მთავრობის მოქმედებ[illegible] და გან[illegible]

დადგენილება № 9157

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

ჩაიზე საბითუმო და საცალო (საეტიკეტო) ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ა-წ. ივნისის 11-ს დადგენილებისა, № 30/86, და გასაუქმებლად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მიერ ამ საგანზე გამოცემული ყველა წინანდელი დადგენილებებისა, — ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) ყველა გადაწონილი ჩაი, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე საზღვარგარეთელი „ბაიხოვის“ შავი ჩაი უნდა იყიდებოდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცალკე ხვეულში, რომელსაც ექნება ეტიკეტი, რაზედაც იქნება აღნიშნული: ა) წონა, ბ) ფირმა, გ) ხარისხი, დ) ჩაის ფასი და ე) შენიშვნა: „ეტიკეტზე აღნიშნულ ფასებზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონით“.

შენიშვნა: ამა დადგენილების 1-ლ მუხლში მოხსენებელი ყველა ნიშანი შეიძლება ეტიკეტზე აღნიშნული იქნეს სათანადო თქვიფარის დასმით, რომლითაც შევსებული იქნება ყველა სავალდებულო ნიშანი რაც-კი არ იქნება აღბეჭდილი ძველ ხვეულზე.

2) დაწესებულ იქნეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შემდეგი საზღვრითი საცალო (საეტიკეტო) ფასები—400 გრამ. ჩაიზე ხარისხების მიხედვით:

ჩაის სამმართველოს (ცენტროსოიუზისა და ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობ. გამგეობ. (ზაკგოსტორგ) მიერ გადაწონილი საზღვარგარეთელ ჩაიზე: უმაღლესი ხარისხის — 4 მ., 1 ხარის. 2 მ., 72 კაპ., 2 ხარ. 2 მ. 08 კაპ.,

საქართველოს სახელმწ. ვაჭრ. საპაიო ამხანაგ. (გრუზგოსტ.) და მიწათ-მოქმედების სახკომის სახ. მამულების ტრესტის მიერ გადაწონილ ადგილობრივ ჩაიზე: უმაღლესი ხარისხის —2 მ., 1 ხარ. 1 მ. 40 კაპ., 2 ხარ. 1 მ., ნაფშვენ ჩაიზე — 50 კაპ.

შენიშვნა: 1. საზღვარგარეთიდან შემოზიდული „ბაიხოვის“ შავი ჩაი ხარისხების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდება:

უმაღლესი ხარისხი:

ა) ჩაის სამმართველოს ჩაი № 40 „საკანგებო შეკვეთილი“ 42, 62, 95 და 105.

ბ) „ცენტროსოიუზის“ ჩაი—ჩინეთის, ცეილონის, ინდოეთის.

გ) ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობის („ზაკგოს-(„ზაკგოსტორგ“) ჩაი „უმაღლესი ხარისხი“.

პირველი ხარისხი:

ა) ჩაის სამმართველოს ჩაი—№ № 10, 40, ყვავილით 60 და 64.

ბ) ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობის („ზაკგოსტორგ) ჩაი—„პირველი—ხარისხი“.

მეორე ხარისხი:

ა) ჩაის სამმართველოს ჩაი № № 20, 30, 50, 66 და 80.

ბ) „ცენტროსოიუზის“ ჩაი—ჩინეთის № 2.

შენიშვნა: 2. უკეთუ ხვეულში 400 გრამზე ნაკლები წონის ჩაია, მისი ფასი განისაზღვრება 400 გრამ. წონა ჩაის გაყოფით მისი სათანადო წვლილის რაოდენობაზე, გარეშე მერმინდელი ზედნართის დამატებისა მცირე ხვეულიან ჩაიზე; ასეთ შემთხვევაში კაპიკის ნაწილაკები შეიძლება 1 კაპიკამდე შესრულებულ იქნეს.

3. გადაწონილი როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთელი — „ბაიხოვის“ შავი ჩაის საბითუმო საგასაცემო ფასი ფრანკო-საწყობი გამყიდველისა განისაზღვრება ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული საეტიკეტო საცალო ფასებზე — 16,66% რაოდენობის მონაკლებით, მაგრამ ხარისხების მიხედვით ჩაის საბითუმო ფასები არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ მაქსიმალურ საზღვარს 400 გრამ. ჩაიზე:

ჩაის სამმართველოს, ცენტროსოიუზისა და ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობ. გამგეობ. („ზაკგოსტორგ“) მიერ გადაწონილ საზღვარგარეთელ შავ ჩაიზე: უმაღლესი ხარისხი—3 მ. 33 კ. პირველი ხარისხ.—2 მ. 26 კ., მეორე ხარისხ.—1 მ. 74 კაპ.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრ. საპაიო ამხანაგობის—(„გრუზგოსტ.“) და მიწამოქმ. სახკომისარიატ. სახ. მამ. ტრ. მიერ გადაწონილ ადგილ. ჩაიზე: უმაღლესი ხარისხის—1 მ. 66 კ., პირველი ხარისხ.—1. 16 კ., მეორე ხარისხ.—83 კაპ., ნაფშვენი ჩაი—41 კაპ.

შენიშვნა: ამა დადგენილების მე-3 მუხლში დაწესებული საზღვრითი საბითუმო საგასაცემო ფასები ჩაისა ვრცელდება პარტიობით გაყიდვაზე—60 კილოგრამიდან დაწყებული და ზევით.

4) საცალო გაყიდვა ამა დადგენილებაში აღნიშნული ჩაისა სახელმწიფო, კოოპერატიული და აგრეთვე კერძო პირების მიერ, გარეშე ამ დადგენილების 1-ლი მუხლით და მისი შენიშვნით გათვალისწინებული პირობების დაცვისა,—აკრძალულია.

5) ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

6) ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

7) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **ახმეტელი**.

საქმეთა მმართველი აბესაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 24 ივნისს საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია **რაიკომის პლენუმი**, დასწრება რაიკომის წევრების და კანდიდატებისა სავალდებულოა.

— პარასკევს, 25 ივნისს, საღამოს 5 საათზე რაიკომი იწვევს მუშათა სასახლეს დიდ დარბაზში **უჯრედების ბიუროების კონფერენციას**. დასწრება ბიუროს ყველა წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბ. კომ. მე-3-ე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, ოთხშაბათს 23 ივნისს, საღამოს 5½ საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება **ქალთა ორგანიზატორების თათბირი**, მცირე წლოვან ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბ. კომ. მე-2-რე რაიკომი იტყობინება, რომ 23 ივნისს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება **უჯრედების ორგ-კომისიების და ქალთა კომისიების თათბირი**.

ორგ-კომისიის და ქალთა კომისიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბ. კომ. მე-3-ე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, ოთხშაბათს 23 ივნისს, საღამოს სრულ 5½ საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება **მესამე რაიონის უჯრედების ბიუროების კონფერენცია**.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბ. კომ. მე-2-რე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო-სტატისტიკურ განყოფილებაში. 1. სარქისიანი გაბრიელ, 2. ლიბაკი თედორე, 3. პავლენკო ნეონილე, 4. მანცოშვილი გიორგი და 5. სალუქვაძე არტემი.

ხუთშაბათს, 24 ივნისს, დილის 9 საათზე, შესდგება ს. ა. ლ. კ. კ. თ. კომიტეტის **ორგ-კოლეგიის სხდომა**.

ორგ-კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 24 ივნისს, დღის 1½ საათზე, თბილისის კომიტეტის შენობაში შედგება ს. ა. ლ. კ. კ. თ. კ. **მიმღებ კომისიის სხდომა**.

ა. ლ. კ. კ. კ-ში ყველა ახლად შესულის, რომელთა ანკეტები მიმღებ კომისიამ უნდა დაამტკიცოს, დასწრება სავალდებულოა.

თბილისის ქალაქის ლომბარდის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ თავისი ძვირფასი ამხანაგის ლომბარდის მოლარის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ამხ. **ალექსანდრე ამბაკოს-ძე მეგრელიშვილის**

უდროოთ გარდაცვალების გამო. 2904

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვლადიმერი, შვილები ანტონი, სონია, ნადია და გიორგი ქორქიები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა თვის 21-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათვის საყვარელი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე მეორეს დედა

ეფროსინე ნიკოლოზის ასული

ქორქიასა

რომლის გამოსვენება მოხდება 24 ივნისს, 4 საათზე, გორის ქ. 25.

2903

სევასტი გლახუას-ძე და მეუღლე მისი აგრაფინა მაქსიმეს ასული ქორქიეები, შვილებით—ანანია, გრიშა, გალაქტიონ და ალექსანდრე (იგ. ვარა), რძლები—ლიდა, საშა და კატო და შვილიშვილი ოთიკო აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს პირველთა დაუვიწყარი რძლის და უკანასკნელთა ბიცოლის

ეფროსინე ნიკოლოზის ასული

კინწურეიშვილი-ქორქიას

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება 24 ივნისს, ნაშუადღევის 4 ს. გამოსვენება, გორის ქ. № 25. პანაშვიდი ყოველდღე.

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

საზაფხულო
აპოლო
(არტოს ბაღში, პლეხ. № 105).

სოლეი

ნ. 1375 0—19

დღეს და ყოველდღიურათ
ახალი სურათი საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის სააქციონერო საზოგადოების ნაწარმოები
„მეცხრე ტალღა“
რეჟისორი ვლ. ბარსკი
ოპერატორი ა. ი. პოლიკევიჩი
მალე „რობინ გუდ“ და „ნიბელუნგები“

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

წალენჯიხა-ჩხოროწყუს უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ხ. მალაშხია

ამით აცხადებს, რომ 11 ივლისს დღით. 10 საათზე სოფ. ფახულანში, ზუგდიდის მაზრაში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება მოძრავი ქონება ფახულიანის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოებისა; გაიყიდება წუღები, ტომრები, ჭიქები, თევშები, ლამპის შუშები და სხვები, დასაკმაყოფილებლად საერთო საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ქუთაისის სააგენტოს ვალისა. აწერილი ქონება შეფასებულია 725 მან. 35 კაპ., ვაჭრობა დაიწყება აღნიშნული თანხიდან მსურველებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობის დროს. ნ. 1464

ქ. თბილისის 2- რე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 29 ივნისს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 9 არღუთინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის რუბენ კაცობაშვილის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 90 მანეთად, თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 27 თებერვლის 1926 წ. თარიღით № 1259 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. ქვ. 2900

ქ. თბილისის 3—2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

26 ივნისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლი № 18 სოლომონის ქუჩაზე საჯარა ვაჭრობით გაყიდის მარგარიტა პერტაია და ევგენია ტერელაძეს სახლს აშენებულს მიწაზე ზომით 52 ოთხ. კუთხ. საჟ. შეფასებულს სამას მანეთად, კომუნალურ ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად ქალ. თბილისის მე-2 უბნ. სახ. სასამართლოს 5 ნოემბრის 1925 წლ. № 416 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით მყიდველთ მიერ დაცული უნდა იქმნეს სამოქ. კოდ. მე-311 მუხლი. ნ. 1468

ქუთაისის სამაზრო აღმასკომ ს მმაჩ-ის ბიურო ამით აცხადებს, თანახმად 5 ივნისის 1926 წლის დადგენილებისა, რომელიც ეყრდნობა ს. ს. ს. რ. დეკრეტის № 28-ის § 61—64, რომ ქუთაისის მაზრის, სოფელ ობჩის მცხოვრებს: კონსტანტინე თედორესძე სიკინჭილიძეს მის მეუღლეს ელისაბედ პავლე ღიბრაძის ასულს სიკინჭილაძისას და შვილებს: ვერას, მარიამს, თამარს, ნინოს და დავითს გვარი „სიკინჭილაძე“ შეცვალოს „ჭილაძე“-ზედ და თუ ვინმეს ამის საწინააღმდეგო აქვს, დღიდან გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში, შეუძლია მიმართოს ზემო აღნიშნულ დაწესებულებას

ნ. 1464

ბიუროს გამგე **ჩხაიძე**

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მმაჩ-ის ბიურო ამით აცხადებს, თანახმად 5 ივნისის 1926 წლის დადგენილებისა, რომელიც ეყრდნობა ს.ს.ს.რ. დეკრეტის № 28-ის § 61—64, რომ ქუთაისის მაზრის, სოფელ ობჩის მცხოვრებს ლავრენტი თედორესძე სიკინჭილაძეს და მის ქალიშვილს ნინოს გვარი „სიკინჭილაძე“ შეეცვალოს „ჭილაძე“-ზედ და თუ ვინმეს ამის საწინააღმდეგო აქვს. დღიდან გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში, შეუძლია მიმართოს ზემოაღნიშნულ დაწესებულებას.

ნ. 1464

ბიუროს გამგე **ჩხაიძე**

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადამყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 31—1

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ჭავჭავაძის ქ. № 9. 12—1 2858

ექიმი ა. დ. კაკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
537 25—12

დავკარგე კავშირის წიგნაკი ელენა ქუთათელაძეს სახელზე, ჩ. გ. 2897

დავკარგე სამთა-მადნო კავშირის წიგნაკი № 5550, სერგო მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1465

დავკარგე სამთა-მადნო კავშირის წიგნაკი № 704, პლატონ ექვთიმეს-ძე გაფრინდაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1465

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 16450, მოსე კონსტანტინეს-ძე ხურციძის სახელზე, ჩ. გ. 2901

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული სენაკის მაზრის მილიციის სამმართველოდან № 1226, დურუ ბეგლარის ძე კატუკიას სახელზე, ჩ. გ. 2901

დავკარგე საამშენებლო კავშირის საწევრო წიგნაკი № 52, სოლომონ თოხაძის სახელზე, ჩ. გ. 2906

დავკარგე ვინაობის წიგნაკი მოცემული 1925 წ. მარიამ თეიმურაზის ასული ვერხვიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2907

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 2704 კირილე სარდალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2899

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 317, აბო ნემსაძის სახელზე, ჩ. გ. 2902

დავკარგე კომპარტიის საწევრო წიგნაკი ვანო ლუარსაბის ძე ჩანგაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2898

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 18554 და პასპორტი თბ. მილიციის უფროსის მიერ გაცემული არსენ გიორგის-ძე კიზირიას სახელზე, ჩ. გ. 2897

პარასკევს, 18 ივნისს, **დაიკარგა** მოხუცი თომა არჯევანიძე სოფ. ლომისხევის მცხოვრები, ახალგორის რაიონ. ჰქონდა 20 მეტრი „ამერიკა“ და ფულად 18 მანეთი. მპოვნელს ვთხოვთ გვაცნობოთ პუშკინის ქ. № 13 ლიზა გოდიშვილთან. 2899

საქართველო[illegible] [illegible]ური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68